მ ა ტ ი ა ნ ე

ჟურნალი გამოდის 1989 წლიდან, 26 მაისი, 2019 წ. 3-4 (29-30)

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი -
- ეროვნული აღორძინების"
თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი



30
1989 - 2019

წაქცევა მისი ნუ ჰგონია ნურვის იოლი!
სული აცვია საქართველოს კავკასიონის!

მუხრანი



მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" (შემოკლებით „საქართველოს ჰელსინკის კავშირი"), არის თანამოაზრეთა პოლიტიკური გაერთიანება, საქართველოს რეაპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოში **1976** წელს შექმნილი ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის ხელშემწყობი ჯგუფის, შემდგომ „საქართველოს ჰელსინკის კავშირისა" და მოგვიანებით მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნის შედეგად ჩამოყალიბებული ორგანიზაციის **(1989)** სამართალმემკვიდრე, საქმიანობისა და ტრადიციების გამგრძელებელი.

კავშირი მოქმედებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული-აღორძინება“ 30 წლისაა!

„ქართველი ერის გზა ქრისტეს გზაა,
ეკლიანი გზა ჯვარცმისა
და გარდაუვალი აღდგომისა“

ზვიად გამსახურდია

ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ფუნდამენტური დოკუმენტი ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის საბჭოს დასკვნითი აქტია, რომელსაც ხელი ჰელსინკში 1975 წლის 31 ივლისს ევროპის 33 ქვეყნის, ამერიკისა და კანადის პირველმა პირებმა მოაწერეს.

ჰელსინკის ხელშეკრულებამ მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს და მსოფლიო პოლიტიკაში ხალხებს საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაფუძნებული ახალი ჰუმანური ერის დაწყების იმედი მისცა. დემოკრატიულ სახელმწიფოებთან ერთად ხელშეკრულებას ხელს აწერდა საბჭოთა კავშირი, მსოფლიოს უკანასკნელი ტოტალიტარული იმპერია, რამაც დაპყრობილ ერებს საერთაშორისო პრაქტიკაში თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპების გამარჯვების და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პრინციპების სამართლებრივი გარანტიების დაკანონების იმედი ჩაუსახა.

ჰელსინკის დასკვნითმა აქტმა განამტკიცა მეორე მსოფლიო ომის პოლიტიკური და ტერიტორიული შედეგები და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის 10 პრინციპი (ჰელსინკის დეკალოგი), ათი ფუნდამენტური პრინციპი დაადგინა. ესენია: ჰელსინკის 1. სუვერენული თანასწორობა, სუვერენიტეტის თანდაყოლილი უფლებების პატივისცემა; 2. ძალის გამოუყენებლობა ან ძალის საფრთხე; 3. საზღვრების ხელშეუხებლობა; 4. სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა; 5. დავების მშვიდობიანი მოგვარება; 6. შინაურ საქმეებში ჩარევა; 7. ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა, მათ შორის აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ჩათვლით; 8. თანასწორობა და ხალხთა უფლება გააკონტროლონ საკუთარი ბედი; 9. სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა; 10. საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეგნებულად შესრულება.

ამას გარდა დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ძირითად შეთანხმებებს, რომლებიც სამ „კალათად“, უსაფრთხოების სამ განზომილებად იყოფა:

• სამხედრო-პოლიტიკური განზომილება — სამხედრო სფეროში ნდობის განმტკიცებისათვის ზომათა შეთანხმება (სამხედრო სწავლებების, მსხვილი საჯარისო შენაერთების

გადაადგილების შესახებ წინასწარი შეტყობინება, სამხედრო სწავლებებზე დამკვირვებლების ნებაყოფლობით გაცვლა);

• ეკონომიკურ-ეკოლოგიური განზომილება — ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკისა და გარემოს სფეროებში თანამშრომლობის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავება და მდგომარეობის ანალიზი;

• ადამიანური განზომილება — ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საკითხებში პოლიტიკური ვალდებულებები — მათ შორის, გადაადგილების, კონტაქტების, ინფორმაციის, კულტურისა და განათლების თავისუფლების საკითხებში — და პრაქტიკაში მათ განხორციელებაზე მეთვალყურეობა.

ზემოხსენებულ საკითხებთან ერთად, „ადამიანის უფლებების სამართალი“ მოიცავს სხვებს, როგორიცაა მოქალაქეობის კანონი და პრობლემები, უცხო ქვეყნის მოქალაქეების უფლებათა დაცვა და რეჟიმის დაცვა, ადამიანის უფლებები და თავშესაფრის უფლებები, ადამიანის უფლებები და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსის სამართლებრივი რეგულირება.

ჰელსინკის დასკვნითი აქტი საფუძვლად დაედო ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მუშაობას და დიდი ხნის მანძილზე ამყარებდა მსოფლიო უსაფრთხოების ძირითად პრინციპებს. მაგრამ გასული წლების განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა და ახლა დასავლეთის ქვეყნები დოკუმენტის გადახედვისკენ მოუწოდებენ. დასავლელი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ბოლო დროს ალაპარაკდა, რომ ორგანიზაცია უძლურია წინ აღუდგეს თანამედროვე გამოწვევებს.

უნდა აღინიშნოს, რომ 1975 წელს საქართველოს ოფიციალურ პრესაში ეს ხელშეკრულება გამოქვეყნდა კუპიურებით, სრული სახით იგი არ გამოქვეყნებულა (კუპიურები გამოაქვეყნა ჰელსინკის ჯგუფის თვითგამოცემულმა ჟურნალმა „მატიანე”-მ 1989 წლის მესამე ნომერში).

აღნიშნული ხელშეკრულების დადების პერიოდში საქართველოში უკვე დაწყებული იყო ეროვნულ-განმათავისუფლერბელი მოძრაობა, თუმცა მას ტოტალიტარული, რეპრესიული რეჟიმის ბატონობის გამო ნახევრად იატაკქვეშა ხასიათი ჰქონდა. ჯერ კიდევ 1974 წლიდან საქართველოში ღიად არსებობდა ზვიად გამსახურდიას მიერ დაარსებული ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი.

ჰელსინკის ხელშეკრულების დადების შემდეგ, მთელს საბჭოთა კავშირში შეიქმნა ამ ხელშეკრულების შესრულებისათვის ხელისშემწყობი საზოგადოებრივი ჯგუფები. საქართველოში ასეთი ჯგუფი შეიქმნა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ინიციატივით. ისინი არიან ამ ჯგუფის დამაარსებელნი.

ჯგუფის საქმიანობა საქართველოში წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის საქმიანობის გაგრძელებას და უფრო ფართო მასშტაბის გაშლას. კერძოდ, ჯგუფის მიზანი იყო ჰელსინკის შეთანხმების აქტის პოპულარიზაცია, თვალყურის დევნება, თუ როგორ სრულდებოდა ეს ხელშეკრულება საქართველოში, როგორ ხორციელდებოდა მისი ჰუმანიტარული პუნქტები.

მართალია ჯგუფი ლეგალურად, ღიად არსებობდა, მაგრამ მისი პრაქტიკული მოქმედება: ჟურნალის გამოცემა, მასალათა გამრავლება და ინფორმაციის გაგზავნა საზღვარგარეთ, უშიშროების ორგანოების მხრივ მეთვალყურეობისა და დევნის მიზეზით ნახევრად არალეგალური მეთოდებით ხდებოდა.

ჯგუფი აგროვებდა დიდძალ ინფორმაციას საჭირბოროტო ეროვნული და სოციალური პრობლემების შესახებ ადმინისტრაციული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში, იბრძოდა ქართული ენის უფლებების, საქართველოს ეკლესიის და კულტურის ძეგლთა დასაცავად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა გარანტიებისათვის. ეს ინფორმაცია გადაეცემოდა უცხოეთის პრესის და სხვა საინფორმაციო საშუალებებს, აგრეთვე მოსკოვის თავისუფალ პრესას. კომუნისტური ხელისუფლების მამხილებელი თვითგა-მოცემისეული ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი ჯგუფმა გამოსცა ზვიად გამსახურდიას რედაქტორობით 1976 წლის დეკემბერში (მანამდის უკვე გამოდიოდა მისივე რედაქტორობით 1975 წლიდან არალეგალური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი „ოქროს საწმისი”). ამის შემდეგ ოფიციალურ პრესაში გაჩაღდა უპრეცედენტო კამპანია ჰელსინკის ჯგუფის წევრთა წინააღმდეგ. ზვიად გამსახურდია ოფიციალურად გარიცხეს მწერალთა კავშირიდან, რასაც მოჰყვა 1977 წლის 7 აპრილს მისი და მერაბ კოსტავას დაპატიმრება. ისინი გაასამართლეს 1978 წლის 18 მაისს და მიუსაჯეს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა და ორი წლით გადასახლება.

ზვიად გამსახურდიას სასამართლოზე არ მოუნანიებია ჰელსინკის ჯგუფის შექმნა და არ გამოუცხადებია მისი თვითდაშლა (იხ. მ. კოსტავა, „ჰელსინკის ჯგუფის ისტორია საქართველოში”, გაზ. `საქართველო~ 1990 წლის 11 თებერვალი). ჰელსინკის ჯგუფმა განაგრძო არსებობა და დოკუმენტების გამოშვება, რომელსაც ზოგჯერ ხელს აწერდა მხოლოდ ერთი კაცი, კერძოდ,

ზ. გამსახურდია გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ და მ. კოსტავა ბანაკში ყოფნისას.

ჰელსინკის ჯგუფი აგროვებდა და უცხოეთის მასობრისი ინფორმაციის საშუალებებს გადასცემდა ყველა მამხილებელ ინფორმაციას საქართველოში ადამიანური და ეროვნული უფლებების დარღვევის შესახებ, პოლიტპატიმრების შესახებ, აფხაზეთისა და საინგილოს ქართველთა დევნის შესახებ და ეკლესიის მდგომარეობის შესახებ 80-იან წლებში. ჰელსინკის ჯგუფი იყო ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი წვევამდელთა აქციებისა 1989 წლის მაისიდან ოქტომბრამდე. ამ პერიოდშივე ჰელსინკის ჯგუფი გარდაიქმნა ჰელსინკის კავშირად, ხოლო ოქტომბერში „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნულ აღორძინებად". ამ დროს კავშირი არა მარტო გაიზარდა რიცხობრივად, არამედ გააფართოვა თავისი მოქმედების არეალი. იგი უკვე იყო არა მარტო უძველესი სამართალდამცავი ორგანიზაცია, არამედ შეიძინა სრული პოლიტიკური ორგანიზაციის დატვირთვა. 1989 წლის 19 ოქტომბერს იმართება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" (ერთადერთი და ნამდვილი სამართალმემკვიდრე ორგანიზაცია 1976 წლის ჰელსინკის ჯგუფისა) I ყრილობა, რომელზეც მიიღეს კავშირის წესდება და პროგრამა. კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბატონი ზვიად გამსახურდია. კავშირის სახელწოდებას დაემატა მისი მიზანი, რასაც ისახავდა ორგანიზაცია - ეროვნული აღორძინება.

ამრიგად, 1989 წლიდან ორგანიზაცია არსებობდა და დღესაც არსებობს „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" სახელწოდებით.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" (შემოკლებით „საქართველოს ჰელსინკის კავშირი") არის თანამოაზრეთა პოლიტიკური გაერთიანება, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოში 1976 წელს შექმნილი ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის ხელშემწყობი ჯგუფის, შემდგომ „საქართველოს ჰელსინკის კავშირისა" და მოგვიანებით მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნის შედეგად ჩამოყალიბებული ორგანიზაციის საქმიანობისა და ტრადიციების გამგრძელებელი და სამართალმემკვიდრე. კავშირი მოქმედებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აქვს საკუთარი სიმბოლიკა, ბეჭედი, შტამპი, სამკერდე ნიშანი, ბლანკი კავშირის სიმბოლიკის გამოსახულებით და ანგარიში ბანკში. კავშირის მიზანია საქართველოს სრული პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევის, საქართველოს ერთიანობის უზრუნველყოფის, განათლებული სამოქალაქო და სოციალური სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბების გზით საქართველოს ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინება, რეალურად დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული, უნიტარული სახელმწიფო წყობილების შექმნა და განმტკიცება, მისი შემდგომი ყოველმხრივი აღორძინება სახელმწიფო მართვაში მონაწილეობა კანონით დადგენილი წესით.

კავშირის საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებს წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა. კავშირი აღიარებს ადამიანისა და საზოგადოების ღირებულებებს, გამოხატავს მოქალაქეთა ინტერესებს, დაფუძვნებულს სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური ჰარმონიის პრინციპებზე, ზნეობის პრიმატისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებით იცავს და ამკვიდრებს ეროვნული თვითმყოფადობის, დემოკრატიისა, სამართლებრივი სახელმწიფოსა და თვითმმართველობის იდეალებს.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" ამოცანაა ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

კავშირი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნორმებისა და წესდების საფუძველზე.

კავშირის თავმჯდომარე (პრეზიდიუმის თავმჯდომარე): მალხაზ მუსერიძე.

კავშირის დევიზი: „დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო და პიროვნების თავისუფლება"

პოლიტიკური მიმართულება: მემარჯვენე-ცენტრისტული.

კავშირის საპროგრამო პრიორიტეტები:

საგარეო პოლიტიკა: დასავლეთზე ორიენტირებული „კავკასიური სახლი".

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა: უნიტარული.

სახელმწიფო სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო.

ეკონომიკა: კერძო საკუთრება კერძო მესაკუთრის ინიციატივითა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკით.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" 1976 წლიდან არის „საერთაშორისო ამნისტიის" (ცენტრი - ლონდონში) წევრი, 1990 წლიდან არის „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ასოციაციის" (მაინის ფრანკფურტი) ასოცირებული წევრი. „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" პირველი რეგისტრაცია - 1990 წელს. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის საფუძველი: მხარდამჭერთა ხელმოწერები, რწმუნებული -ელმირა მესხიშვილი. შემდგომი ხელახალი რეგისტრაციები: 1997, 1998, 2000, 2002, 2005, 2009, 2013, 2017წ.წ.

დაარსების ინიციატორები: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა.

ორგანიზაციული სტრუქტურა: ყრილობა (მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ) - პრეზიდიუმი (ირჩევა 4 წლით - 7 წევრი. წევრთა რაოდენობა: 3500, აქტიური - 1500. 12 რეგიონალური და 50 რაიონული ორგანიზაცია. ბეჭდვითი ორგანო: „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" და „მატიანე".

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" კავშირის იურიდიული მისამართია: ქალაქი თბილისი, კეკელიძის ქუჩა # 10/12, სადარბაზო I, ბინა # 19ა, ელ-ფოსტა: helsinkiunion@gmail.com

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" ძირითადი პრინციპებია:

1. საქართველოში სამართალმემკვიდრეობის - კანონიერების აღდგენა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-აღორძინებისათვის სამართლებრივი მექანიზმების შექმნა;
2. საქართველომ მიზანმიმართულად უნდა გამოიყენოს თავისი გეოპოლიტიკური უპირატესობანი, დამოუკიდებლად შესძლოს პოლიტიკურ-დიპლომატიური აქტიურობა და კავკასიის სტაბილურ რეგიონად გადაქცევა;
3. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სამართლებრივი გადაწყვეტა, საზღვრების ურღვევობისა და ტერიტორიული პრინციპებიდან გამომდინარე სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობა, სახელმწიფოს საზღვრებისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა პრობლემატური საკითხების ნორმატიული ბაზების შექმნა;
4. ისეთი ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელშიც გაცხადდება და განივთდება ქართველი ხალხის ნება;
5. საგარეო პოლიტიკა ჩამოყალიბებული უნდა იყოს ეროვნულ ინტერესებსა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე. მთავარი ამოცანაა ისტორიული ფუნქციის აღდგენა კავკასიაში და ყოველმხრივ თანაბარუფლებიანი პარტნიორული ურთიერთობის განვითარება, მშვიდობიანი სახელმწიფო კურსი მსოფლიო ასპარეზზე, გეოსტრატეგიულ ინტერესთა გადაკვეთაში საქართველოს ადგილის დამკვიდრების გაღრმავება, ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა;
6. სახელმწიფოს ეკონომიკის სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს ეროვნულ-ტრადიციული ეკონომიკის თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე მოწყობას და დემოკრატიულ მმართველობას. აქედან გამომდინარე საკუთარი ეკონომიკით მსოფლიო ეკონომიკურ ინტეგრაციაში თანამშრომლობის დამყარება;
7. სუვერენული სახელმწიფოს სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს საქართველოს მოქალაქეთა კეთილდღეობის მიღწევა, მათი შრომის უფლების რეალიზაცია, სიღარიბის დაძლევა, მთლიანად ქვეყნისა და ასევე რეგიონალური სოციალური პროგრამების ამუშავება, უნდა დამკვიდრდეს სოციალური სამართლიანობა და სოციალურად ორიენტირებული თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა;
8. საფინანსო სისტემა სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის განმტკიცების ერთ-ერთ საფუძვლად უნდა გადაიქცეს. საფინანსო სტრატეგიული კონცეფციების რეალიზაცია უნდა ვაქციოთ საკუთარ საქმედ და გავხადოთ ერთიანი, განუყოფელი საქართველოს სახელმწიფოს, მისი ხალხის ინტერესების დამცველად;
9. სახელმწიფოს თავდაცვის ბაზისის შექმნასა და აღორძინებაში უმნიშვნელოვანესია ეროვნული ღირსების იდეა, რომელიც ქვეყნის ძირითად მსოფლმხედველობის პრინციპს უნდა წარმოადგენდეს;

10. მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის, დაშვებულ შეცდომათა აღიარება-მონანიებისა და მიტევების გზით უნდა შეიქმნას პირობები, საფუძველი და გარანტი სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის, ოკუპაცია-ანექსიის შედეგების ლიკვიდაციისა და საქართველოს ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინებისათვის. საჭიროა მკაფიო, თანამიმდევრული პოლიტიკური კურსისა და მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რაც საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფოებრივი საფუძვლების დამცავ მექანიზმად ამოქმედდება;

11. სახელმწიფოს აუცილებელია ჰქონდეს შეფარდებითი სამართალი, რომლიდანაც გამომდინარე ადამიანის ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება წარმოადგენს ღირსების უზრუნველყოფის, თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიულ და სამართლებრივი სახელმწიფოებრივი მშენებლობის საძირკველს;

12. სახელმწიფოს შეფარდებით სამართალს საფუძვლად უნდა დაედოს სულიერ ღირებულებათა უპირატესობის აღიარება და ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობა და იდეოლოგია. ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობა, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრება, საკუთარი იერ-სახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრეობა;

13. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა იქცეს ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის სისხლხორცეულ საქმედ;

. მთლიანად გადასახალისებელია საარჩევნო სისტემა და კანონი, რომელიც უნდა ემყარებოდეს ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბებისა და აღმშენებლობის პრინციპებს, სამართლეებრივი სახელმწიფოს არსებობის საფუძვლებს;

15. უნდა განმტკიცდეს ქრისტიანული მართლმადიდებლური ქართული ტრადიციული რელიგია. ერისა და ქვეყნის სულიერი, ზნეობრივი ამაღლებისათვის აღიარებული უნდა იქნეს რწმენისა და სინდისის თავისუფლება.

ამ ოცდაათი წლის მანძილზე იყო გამარჯვების სიხარული, დამარცხების სიმწარე, ღალატი, მაგრამ „საქართველოს ჰელსინკის კავშირს“ არ დაუყრია ფარხმალი, იგი იბრძოდა ადამიანთა უფლებების დაცვისათვის, საქართველოს თავისუფლებისათვის, კანონიერების აღდგენისათვის!.. „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება'' არ არის მარტოოდენ პოლიტიკური ორგანიზაცია, იგი ცოცხალი ორგანიზმია საქართველოსი ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობისა, იგი სამართლებრივი საფუძველი და წარმომადგენელია დამოუკიდებელი სახელმწიფო - საქართველოს რესპუბლიკისა!

„ჩვენ უნდა ვიცხოვროთ იდეისთვის, სამშობლოსათვის და არა მარტო ამქვეყნიური კეთილდღეობისთვის, ჩვენ არ უნდა ვუღალატოთ ჩვენს მაღალ მრწამსს, თუნდაც რომ სიკვდილის წინაშე მოგვიხდეს წარდგომა. (ზვიად გამსახურდია: „დილემა კაცობრიობის წინაშე“).

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება'' მისი არსებობის დღიდანვე იყო და არის ფლაგმანი, ერთადერთი ბოლო ბასტიონი, ბოლო ციტადელი კანონიერების აღდგენისა!

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი'' ყველა წევრსა და მხარდამჭერს ვულოცავთ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების'' ოცდაათი წლის იუბილეს!

ღმერთი იყოს ჩვენი და სრულიად საქართველოს მფარველი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის ეკლიან გზაზე!

ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას?!

,,ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას!'' - 1989 წელს ბრძანა „სახალხო ფრონტის“ ყრილობაზე ფილოსოფოსმა მერაბ მამარდაშვილმა. ,,მე ვარ ჭეშმარიტება!'' ბრძანებს უფალი ჩვენი იესო-ქრისტე. მაშ, რა იგულისხმა ბატონმა მამარდაშვილმა? ის, რომ უფალი სამშობლოზე მაღლა დგას?

თითქოს მისი ამ სიტყვებიდან გამომდინარე ასეც უნდა იყოს: ,,მე ჭეშმარიტებას ვაყენებ სამშობლოზე მაღლა და მიჩნდება კითხვა: ბევრ ქართველს შეუძლია ჭეშმარიტების დაყენება თავისი სამშობლოს მოჩვენებით ინტერესებზე მაღლა? თუ არ შეუძლიათ, ცუდი ქრისტიანები ყოფილან.'' მაგრამ სწორედ აქ ცდება მავანი, ვინც ასე ფიქრობს. არა, ძვირფასო მკითხველო, მისთვის იმ დროს სამშობლოში გაიგივებული იყო ბატონი ზვიად გამსახურდია, მან ჭეშმარიტება, ანუ უფალი დააყენა ზვიად გამსახურდიას საპირწონედ, რაც უმალ აიტაცეს ეროვნული მოძრაობისა და მისი ლიდერის საწინააღმდეგოდ იმ ხალხმა, რომელნიც ვითომ სიტყვით უჭერდნენ მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ შინაგანად მთელი არსებით სძულდათ ეროვნული მოძრაობაცა და საქართველოს დამოუკიდებლობაც, მათთვის მთავარი ის კეთილდღეობა იყო, რაც საბჭოთა იმპერიის კალთის ქვეშ მოიპოვეს, თორემ არც უფალი სწამდათ და არც სამშობლოს ჭირვარამზე დარდობდნენ დღენიადაგ, შიშით შესცქეროდნენ მომავალს და მთელი მძულვარებით ნატრობდნენ ზვიად გამსახურდიას სიკვდილს ან ციმბირის ტრამალებში მის გამწესებას და სწორედ ბატონი მამარდაშვილი მოევლინა იმდროინდელ საქართველოს ამ სიძულვილის მედროშედ და ე. წ. ინტელიგენციას წინამძღოლად გამსახურდიასთან ბრძოლაში, აკი დაუფარავად გაიჟღერა შემდგომ მისმა სიტყვებმა: „თუ საქართველო აირჩევს ზვიად გამსახურდიას, მე წავალ საქართველოს წინააღმდეგ.“ ზოგიერთს დღესაც ჭეშმარიტებად მიაჩნია ფილოსოფოს მამარდაშვილის ეს სიტყვები: ,,ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას'' და საზოგადოებას თავს ახვევენ თავიანთ ,,ბრძნულ აზრებს,'' იშველიებენ სხვადასხვა ფილოსოფოსთ, მეტადრე რუს მოაზროვნესა და ფილოსოფოსს პეტრე ჩაადაევს და რატომღაც ივიწყებენ დიდ ილიას.

აი, რას წერდა ერის მამა: ,,მოგვევლინა წმინდა ნინო, გვამცნო და გვასწავლა ქრისტეს რჯული და ახალმა მშვენიერმა აღთქმამ განაახლა ჩვენი ქვეყანა ახალის ცხოვრებისათვის. ქართველმა ამ რჯულს, ამ ახალს აღთქმას, შეუერთა ძველისაგან ყოველივე ის, რაც-კი რამ ძვირფასია ადამიანისათვის და რაც თავის-დღეში არ დაძველდება, მინამ ადამიანი არსებობს: შეუერთა მამული და ეროვნება. ეს სამი ღირსი საგანი ისე ჩაიწნენ, ისე ჩაქსოვდნენ ერთმანეთში, რომ რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდაიქმნა და მიწა-წყლის დაცვა-რჯულის დაცვად.''

მკითხველის საყურადღებოდ დიდი ილიას კიდევ ერთ ნათქვამ-ნააზრევს მოვიყვან მაგალითად: ,,ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ნიშ-ნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ნიშნავდა ქართველობას.

დღესაც, მთელს ამიერსკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავეს მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან: გაქართველდაო. ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნება, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორც-შეთვისებული, უძლეველი ხმალია და შეულეწელი ფარია მტრისა წინაშე. სიტყვას ქადაგებისას, სწავლას, მოძღვრებას სულ იგი სულ იმაზედ მოაქცევდა ხოლმე, რომ მამული და ეროვნება რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და. ყოველივე ამ სამს წმინდას და უდიდეს საგანს, ერთად შეერთებულს, თავდადებით ამსახუროს, თავგანწირვით ამოქმედოს.''

ვინ-ვინ და, დიდმა ილიამ ყველაზე უკეთ უწყოდა, რომ ქართველი კაცისთვის ქრიტე (ჭეშმარიტება) განსხეულებული იყო და არის სამშობლოში და სამშობლო განსხეულებული იყო და არის ქრისტეში (ჭეშმარიტებაში). იგი სწირავდა თავს ქრისტეანობისათვის და ამით იცავდა სამშობლოს, კვდებოდა მამულისათვის და ამით იცავდა ქრისტეს რჯულს, მისთვის ეს ორი რამ ერთი მთლიანობაა, ერთი სხეულია, რამეთუ ,,როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა!..'' სხვაგვარად ქართველი ერი ვერ იარსებებდა და ვერ იარსებებს! ქრისტეანობა ქვაკუთხედია საქართველოს სახელმწიფოებრიობისა! ყოველივე ეს ბრწყინვალედ იცოდნენ ბატონებმა: მერაბ კოსტავამ და ზვიად გამსახურდიამ, ამიტომაც იყო მათ მიერ აზვირთებული ეროვნული მოძრაობა თავისი არსით ეროვნულ-სარწნუნოებრივი!..

ზაზა კორტანელი

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“

საიუბილეო მისალმება შორეული ამერიკიდან

ნოდარ კიკნაძე

(პრეზიდიუმის წევრი, კავშირის თავმჯდომარე 2013 – 2017 წლებში)

მოგესალმებით, მეგობრებო!
გილოცავთ ამ შესანიშნავ თარიღს!
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“ *ეს არის ერთობა სამშობლოს ერთგული, მისთვის თავდადებული ღირსეული ადამიანებისა. როგორც უფალი ამბობს: „თქვენ ხართ მარილი ამა ქვეყნისა". მითქვამს და კვლავაც გავიმეორებ: ამ კავშირის წევრობა, ეს არის, უპირველეს ყოვლისა, სულიერი მდგომარეობა! მსგავსად პირველი ქრისტიანებისა, ჩვენ ვართ დევნილნი, შევიწროებულნი, მაგრამ ამაყნი და გაუტეხელნი. ისევ უფალი გვასწავლის, რომ რწმენას აუცილებლად უნდა ახლდეს საქმე და ამაში შეუფასებელია ღვაწლი კავშირის უდავო ლიდერის - ბატონი ნუკრი ბაღდავაძისა, აგრეთვე მის გვერდში მდგომი, კავშირის თავმჯდომარის - ბატონ მალხაზ მუსერიძისა და თქვენი, თვითთოეულ თქვენგანისა, ამ ორგანიზაციის ძველი, თუ ახალი წევრისა! დღეს, ჩემი აზრით არ არის დრო, ამ საქმის, ამ ღვაწლის შეფასებისა. მეტის გაკეთება ყოველთვის შეიძლება, მაგრამ გაკეთებულსაც დაფასება სჭირდება. მე ამაყი ვარ იმით რომ ვარ თქვენი თანამებრძოლი და შესაბამისად ვირიცხები ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ყოვლად გამორჩეული, უდიდესი მოღვაწის - ბატონ ზვიად გამსახურდიას საქმის გამგრძელებელთა რიგებში. როგორც გალაკტიონი იტყოდა: „მეგობრებო, ჩვენი გზა გასწევს წელთა მრავლობას, იგი მარად დარჩება ხსოვნად შთამომავლობას!"*
წარმატებები! ჩვენთან არს ღმერთი!

ჩემი თბილისის სახლებო,
ჩემი თბილისის ქუჩებო,
ჩემი თბილისის ხეებო,
არ მოიწყინოთ უჩემოდ.
მთის წყაროებო ანკარა,
ნაკადულებო - ურჩებო,
შენ, ჩვენო დიდო მდინარევ,
არ მოიწყინოთ უჩემოდ.
თქვენ, ვინც ამ გულში მინთიხართ,
უჩემოდ ყოფნას უჩვევნო,
ღმერთმა სუყველა დაგლოცოთ,
ჩემთან ერთად, თუ უჩემოდ!

ნ.კ.

პოეტ მუხრან მაჭავარიანის წერილი, რომელიც მან გასული საუკუნის 90-იან წლებში თავის ვაჟს კანადაში მისწერა, დღესაც, ნებისმიერი ახალგაზრდა ადამიანისთვის საყურადღებოა:



„ვწუხვარ, რომ თქვენგან (უპირველეს ყოვლისა – შენგან) არ იგრძნობა თანალმობა ჩემდამი... მუხანოს და რატის ელოდება თავიანთი არგვეთი, პატარა ლაშურა, დიდი კაკლის ხე, ჩვენი ჭა... სამშობლო არ დაივიწყო!შვილები ქართველებად დაზარდე!...დაუკვირდი საკუთარ თავს, კარგად დაუკვირდი – განა არ გრძნობ ყოველმხრივ უპირატესობას ყველა სხვა ერის წარმომადგენელთან შედარებით? არ შეიძლება არ იგრძნო, უკეთუ კარგად დაუკვირდები. და, როგორ გგონია, რა არის ამ გრძნობის საფუძველი? საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონი? დღევანდელი უბადრუკი საქართველო?

არა. შენი ამ უპირატესობის საფუძველი შენივე სისხლია. ის სისხლი, რომელიც ჩქეფდა შენი შორეული წინაპრების ძარღვებში და აწ შენში ჩქეფს. ვინ იყვნენ შენი წინაპრები?!... არ გეგონოს, შენი სისხლის ისტორია დავით აღმაშენებლით, შოთათი, ილიათი, აკაკითი, და ვანიჩკათი იწყებოდეს! შენ იმ ხალხის სისხლი და ხორცი ხარ, რომელიც ფლობდა მთლიან კავკასიას, მცირე აზიას, სირია-პალესტინა-ფინიკიას... ხმელთაშვა ზღვის მთელ აუზს... ქართულმა მოდგმამ პირველმა მოიპოვა და დაამუშავა სპილენძი, რკინა, ფოლად, ვერცხლი, ოქრო... ქართული მოდგმის წვლილია ვენახი და ღვინო... ქართველთაგან გაიცნო მსოფლიომ ცხენი და საომარი ეტლი...

მსოფლიო მეცნიერების აღიარებით – არ არსებობს მეორე ენა – ქართულივით მდიდარი. არ არსებობს ანბანი – ქართული ანბანივით სრულყოფილი. არავისთვის ისე სისხლხორცეული არაა სჯული ქრისტესი, ვითარცა ქართველებისთვის. ქრისტიანული სარწმუნოება ჩვენმა დიდმა წინაპრებმა ეროვნული გახადეს. ბრძოლა საქართველოსთვის – იყო ბრძოლა ქრისტიანობისთვის, თავგანწირვა ქრისტიანობისთვის – თავგანწირვა საქართველოსთვის! ქართველი იყო წმინდა გიორგი კაბადოკიელი, ქართველი იყო ფსევდო-დიონისე არეოპაგელი (პეტრე იბერი)... ბასილი კესარიელი და გრიგოლ ნოსელი... საქართველო წილხვედრია ღვთისმშობლის. საქართველომ ჩაიბარა კვართი უფლისა... დედამიწის ზურგზე არცერთ ერს თავის ქვეყანაში (მით უმეტეს თავისი ქვეყნის გარეთ) იმდენი ტაძარი არა აქვს, რამდენიც ქართველთ. ქართული ქრისტიანობა განსხვავებულია ყველა სხვა ერის ქრისტიანობისგან.

ქართული ქრისტიანობა მხედრული ქრისტიანობაა, წმინდა გიორგის წინამძღოლობით. ბევრი იყო სექტა... და არის... ამ ახალი მოდის სექტებში ჩაბმა ყველას მიეტევება, ქართველის გარდა. ქართველთათვის ის ქრისტიანობა, რომელიც გვაქვს არის არა მარტო სჯული, არამედ მიწა-წყალი საქართველოსი.

ქართული, ოჯახი ქართული, წინაპართა საფლავებია, აკვნებია ნაშიერთა, და ის ქართველი, ვინც ეჭვს შეიტანს ჩვენს ამ მამაპაპისეულ სარწმუნოებაში, ვინც დაუპირისპირდება მას, ვინც კრიტიკულად განეწყობა მისდამი, იგი, (თვითონ შესაძლოა, არც იცის, ისე) უარს ამბობს საკუთარ მამაზე, საკუთარ შვილზე... ერთი სიტყვით, საკუთარ თავზე, ვინაიდან სამშობლოს გარეშე, დედაენის გარეშე, მშობლების გარეშე და მომავლის გარეშე ადამიანი არ არსებობს, როგოც ასეთი! და განა ქრისტე ამას გვიქადაგებს?... ქრისტიანობა არაა მატერიალური რელიგია, როგორც ეს მათ მიაჩნიათ, ქრისტიანობა ღრმადფილოსოფიური რელიგიაა, მისი ჩაწვდომა დიდ ინტელექტუალურ ძალისხმევას და სულიწმინდით აღვსებას საჭიროებს.

ღმერთმა გადაგვარებული დედამიწა პირველად წყლით გაწმინდა, მეორედ განწმენდს ცეცხლით! მეორედ მოსვლა იქნება მართლა სამოთხეში დაბრუნება!

ყურად იღე ღაღადისი შენივე სისხლისა! გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ! წიხლს ნუ ჰკრავ იმ წმინდა ბარძიმს, რომელიც საუკუნეების მანძილზე ივსებოდა შენი სასიქადულო წინაპრების სისხლით!”

წინაპართა ძახილი



მეცნიერული კვლევა ლუდინგრას შესახებ, არის ცნობილი შუმეროლოგი მეცნიერის, მკვლევარის, მუზაჟეზ ილიმიე სიგას ნაშრომის არსი, რომელიც ბოლო 33 წლის განმავლობაში მუშაობს სტამბოლის არქოლოგიურ მუზეუმში. მის მიერ შესწავლილი იქნა 74000-მდე დოკუმენტური მასალა წარმოდგენილი თიხის ფირფიტებზე შუმერულ, აქადურ, ხეთურ ენებზე. მეცნიერი ამ მასალას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, ვინაიდან იგი წარმოდგენას გვიქმნის 4000 წლის წინანდელი ცივილიზაციის შესახებ.

არქეოლოგების მიერ აღმოჩენილ ათეულ ათასობით ფირფიტას შორის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ერთმა, რომელზეც ეწერა: „ლუდინგრას ცხოვრების ისტორია. ფირფიტა N20", რაც ნიშნავდა, რომ კიდევ უნდა ყოფილიყო, სულ მცირე, 19 ასეთი ფირფიტა. საბედნიეროდ, სულ მიკვლეულ იქნა 23 ფირფიტა. მათი საშუალებით გვესაუბრება 4000 წლის წინ მცხოვრები მამაკაცი, სახელად ლუნდინგრა, რომელმაც 75 წლის ასაკში გადაწყვიტა მომავალი თაობებისთვის გაეზიარებინა მისი ცოდნა, გამოცდილება, აღეწერა მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების დეტალები. ჭეშმარიტი პოეტის, მოაზროვნის ოსტატობით ნაირგვარი ლიტერატურული ხერხების გამოყენებით, გადმოეცა მისი თანამედროვე ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი ყველა ნიუანსი. ასევე დიდი გულისტკივილი, რომელსაც ის განიცდიდა იმის გამო, რომ ყოველივე ეს განადგურების საფრთხის წინაშე იდგა სასტიკი დამპყრობელის ძალადობის გამო, რასაც მისი დაუძლურებული ერი ვერანაირ წინააღმდეგობას ვეღარ უწევდა.

„ჩვენი ოჯახები გააჩანაგეს, ჩვენი ბაღები დააშრეს, ჩვენი ცხოველები შიმშილისგან ამოწყდნენ, ჩვენი ერის ფესვები თასობით წლების განმავლობაში დაიღალა, დაუძლურდა. ის ნელ-ნელა ქრება უცხო ხალხის წიაღში"-წერს ლუდინგირა.

„-რატომ ვწერ ამ ისტორიას? მე, შუმერი მასწავლებელი, პოეტი და მწერალი ვარ. მას შემდეგ, რაც 75 წლის შევიქენი, მივატოვე მასწავლებლობა, მაგრამ ჩემი პოეტობა და მწერლობა ალბათ გაგრძელდება, ვიდრე მოვკვდები. ჩემი ერი, ეს შესანიშნავი ხალხი, თვალები, თვალები, ყველგან მშვენიერი თვალები... ისინი თავს დაგვესხნენ როდესაც ამის საშუალება მიეცათ. მათ გადაწვეს ჩვენი ქალაქები, გაანადგურეს ყველაფერი, რაც შეგვიქმნია. ისინი ახლა ჩვენზე ბატონობენ. მოვიდნენ ველურები, რომელთაც არ გააჩნდათ დამწერლობა, არ იცოდნენ მიწის დამუშავება, არ ქონდათ ხელოვნება, სკოლები, რელიგია, სამუშაო იარაღები, არ გააჩნდათ წელთაღრიცხვა, მთვარის კალენდარი. მათ მიითვისეს ყველაფერი, რაც ჩვენ გავაკეთეთ, რასაც მივაღწიეთ. მე ვშიშობ, რომ დროთა განმავლობაში ჩვენი სახელი, ჩვენი ცივილიზაცია დავიწყებას მიეცემა. მე პატარა ადამიანი ვარ. ვის შევჩივლო, რა შემიძლია.ამის გამო წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი. ერთ დღეს მოვიფიქრე, რომ როგორც მწერალმა, ავღწერო, ჩვენი წარსული, ჩვენი ტრადიციები, ყოველივე ის, რასაც ჩვენმა ერმა მიაღწია. ჩვენი ცოდნა უნდა გადაეცეს ჩვენს შთამომავლობას, მომავალ თაობებს. ჩემი ცხოვრების მანძილზე არაერთი მოვლენის მომსწრე ვარ. გარდა ამის, გამოვიკვლიე არქივები ჩვენს ბიბლიოთეკებში, მოვაგროვე ინფორმაციები ჩვენი უხუცესებისგან, ჩემი გარემოცვისგან. ახლა, ამის წყალობით, მინდა გადმოგცეთ ჩვენი ცხოვრების წესები, მწარე და ტკბილი მოგონებები, ტრადიციები, ადათ-წესები, ჩვენი ენა, ჩვენი ღმერთები. ამ ყოველივეს მე გადმოგცემთ ლექსების, თხზულებების, ზღაპრების საშუალებით. ბედნიერი ვარ იმაზე ფიქრით, რომ ოდესმე, მომავლის ადმიანები შეისწავლიან ჩვენს გადმოცემას, რომ ამბავი ჩვენი ცივილიზაციის შესახებ მიაღწევს იმ ადამიანებამდე, რომლებიც იცხოვრებენ ათასობით წლების შემდეგ. ეჰ, ნეტავ თუ შევძლებ, მომავალს მივაწვდინო ხსოვნა ჩემი ერის, ჩვენი კულტურის შესახებ...".

შუმერები აღარ არიან. ვინ იცის, იქნებ ქართველი ერიც იგივე საფრთხის წინაშე დგას და ჩვენი შორეული წინაპრის, ლუნდინგირას მისსია გვარგუნა წილად ბედმა. ეგებ ჩვენ ვართ თანამედროვე ხმელი წიფელის უკანასკნელი ფესვები... თუმცა, საბედნიეროდ, აქა-იქ უკვე ნორჩი ყლორტებიც ამოიზარდნენ!

ბესარიონ გუგუშვილი
ნოდარ კიკნაძე
ნუკრი ბაღდავაძე

საქართველოს სახელმწიფოს გეოპოლიტიკური რეალიზმი და სამართლებრივი ტენდენციები

მონოგრაფია

მამულიშვილნო! დანო და ძმანო!

მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილო ქართველო ერო!

უკვე რამდენი წელია დამცირებული დადის ქართველი კაცი და სიმწრისაგან აღარ იცის რა გზას დაადგეს. მინავლდა და სადაცაა მივიწყებას მიეცემა ჩვენი დიდი წინაპრების, წამებულების მიერ ნალოლიავები ღვთით ბოძებული გრძნობა ჭეშმარიტი ეროვნული თვითშეგნებისა და ცნობიერებისა.

ცნობილია, რომ სახელმწიფოს დანიშნულება, ერის პოლიტიკური და სულიერი დამკვიდრებაა. თვითდამკვიდრების ურთულეს გზაზე კი, ყოველი ერი ესწრაფვის თავისი სულიერი და სოციალურ-პოლიტიკური ველის გაფართოვებას. სწორედ ამაში ვლინდება ერის სიძლიერე და სიცოცხლის უნარიანობა. სახელმწიფოს დემოკრატიულობა ძევს მის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში, რომელიც ამ სახელმწიფოს ისტორიულად ჩამოყალიბებულ, ევოლუციურად აღმავლობაში მყოფი მისი ბუნებიდან გამომდინარეობს და სარგებლობს როგორც სახელმწიფოს შიგნითა ხალხის, ასევე მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საყოველთაო მოწონებით.

თანასწორუფლებიანობის პრინციპებიდან და ქვეყნის საკუთარი გამგებლობის უფლებიდან გამომდინარე, ნამდვილი სახელმწიფო გარედან ჩარევის გარეშე თავადვე უნდა განსაზღვრავდეს თავის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას. ისტორიული პროცესების განვითარების დიალექტიკა კი, თავისთავად გვკარნახობს არსებულ წარმოდგენათა გარკვეული კორექტირების აუცილებლობას, რამეთუ, დღეს, ქვეყნის დაშლასთან, ეკონომიკის რღვევასთან, ხალხის გაღატაკებასთან, განათლების, მეცნიერების, კულტურის დაცემასთან ერთად, საქართველოს ემუქრება ყველაზე საშინელი საფრთხე - თავისი ეროვნული სახის დაკარგვა და უფრო მეტიც, ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ერთიანობის ფიზიკური გაქრობა. ჩვენი სააზროვნო არსენალიდან დღეს ბევრი რამ საჭიროებს აუცილებელ სამართლებრივ გამოსწორებას, სულიერ ფასეულობათა სასწრაფო და გადაუდებელ გადარჩევა-გადაფასებას, რაც მომავალში ქართველი ერის ისტორიული მეხსიერების, დროთა მიერ ტრაგიკულად დარღვეული კავშირისა და „ჩატეხილი ხიდების'' გამრთელების აუცილებელ წინაპირობად უნდა იქცეს.

დადგა გადარჩენის უკანასკნელ შესაძლებლობათა გამონახვა–გატარების აუცილებლობის გარდაუვალობა, ამისათვის ყველა საქმე, იქნება ეს მეურნეობრივი, წარმოებრივი, ცხოვრებისეული, სოციალური, ეკოლოგიური, პოლიტიკური თუ სხვა, უნდა ვაქციოთ საკუთარ საქმედ და გავხადოთ ერთიანი, განუყოფელი საქართველოს სახელმწიფოს, მისი ხალხის ინტერესების დამცველად, რათა აშენდეს ერთიანი ქართული სხეულით გასხივოსნებული სახელმწიფო.

ღვთის იმედად ყოფნა აუცილებელია, მაგრამ არც ჩვენ არ უნდა ჩამოვუშვათ ხელები. სახელმწიფოთა უფლებებისა და თავისუფლებების, როგორც მსოფლიოს ერთა კულტურათა და კოლექტიური უსაფრთხოების, მასთან ერთად ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ფუძემდებლური პრინციპიდან გამომდინარე ადამიანის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოსა და ადამიანის ღირსების უზრუნველყოფის, მისი კანონიერი უფლების რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის საძირკველს, რამეთუ სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სულიერი მდგომარეობის დაუცველობა, ძალზე დიდ დაბრკოლებას იძლევა თვითოეული ერის ღირსების განვითარებაზე. ეროვნული ღირსება კი, არა მარტო თეორიული ცნება, არამედ რეალური ერთეულის, მრავალსაუკუნოვანი წარსულისა და ისტორიის მქონე ერის ძირითადი ატრიბუტია და თავისთავად მიღწევადი რეალობაა, რადგან იგი გამომდინარეობს ერის ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობიდან, რომელიც წარმოშობილია ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა.

აუცილებელია, მხედველობაში იქნას მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ აღიარებული და მომავალშიც ასაღიარებელი პრინციპები აპარტეიდისა და ნეოკოლონიალიზმის ლიკვიდაციის, აგრესიის, უცხო ქვეყნის ოკუპაციისა და სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის დაუშვებლობის შესახებ, „დიდი ევროპის" საქმიანობასთან ერთად, ახლო მომავალში მსოფლიოსათვის მისაღები ახალი იდეის განხორციელება - სრულიად კავკასიის პოლიტიკური კონტინენტის, როგორც მსოფლიოს ახალი რეგიონალური ერთეულის ჩამოყალიბება-აღიარება, რომელიც „დიდი ევროპის" მსგავსად, ოთხ ძირითად მიმართულებას დაეფუძნება: 1. კავკასიის თავისუფალ ადამიანთა დიდი ქარტიის შემუშავება: 2. დიდი კავკასიური ბაზის შექმნა; 3. ევროპულ და დასავლურ პროგრესულ კულტურასთან ერთად და მის გვერდით დიადი კავკასიური კულტურის სივრცის შექმნა; 4. სრულიად კავკასიის უშიშროების კონვენციის მომზადება და ტრადიციულ სახელმწიფოთა ერთიანობის პრინციპზე ჩამოყალიბება.

მისაღებია სახელმწიფოებრივობისა და ადამიანური განზომილებისადმი მიძღვნილი სრულიად კავკასიის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც კავკასიის ქვეყნები გადაჭრით უნდა გმობდნენ ძალებს, რომლებიც თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მსვლელობისას გამოხატული ხალხის ნების საწინააღმდეგოდ და კანონიერად დადგენილი კონსტიტუციური წყობის დარღვევით წარმომადგენლობითი მთავრობისათვის ხელისუფლების წართმევას ლამობენ. ასევე, სრულიად კავკასიის სახელმწიფოებში დემოკრატიულად არჩეული კანონიერი მთავრობის არაკანონიერი გზით დამხობის, ან დამხობის მცდელობისას მონაწილე სახელმწიფოები გაეროს ახალი, გადამუშავებული წესდების თანახმად ულაპარაკოდ უნდა დაუჭირონ მხარი ადამიანის უფლებათა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სადარაჯოზე მდგარ ამ სახელმწიფოთა კანონიერ ორგანოებს, ამით უნდა გამოხატონ რა თავიანთ ზოგადი ვალდებულებულებები და წინ აღუდგენ ამ ფუძემდებელ ფასეულობათა შემზღუდველ ნებისმიერ მცდელობას.

მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა მოწინავე მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც. კაცობრიობის, მოქალაქეობრივი შემწყნარებლობის, მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების დაცვის უმაღლესი შეგნება, ყოველთვის სახელმწიფოებრიობის ფუძემყარ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს, ურომლისოდაც ვერც ერთი ქვეყანა ვერ განვითარდება და განმტკიცდება როგორც სახელმწიფო.

უკვე ახალ საუკუნეში, მსოფლიო ისტორიული მისიაა საფუძველი ჩაეყაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (დანიშნულებისა და ფუნქციებიდან გამომდინარე, მისი უფრო ეფექტური გადაწყვეტილებების დაუბლოკავად, გამარტივებულად მიღებისა და ამ გადაწყვეტილებების დროულად შესრულების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს) თვისობრივად ახალ ინსტიტუტს, რომლის უზენაესი მიზანი ასევე იქნება, ადამიანის უფლებათა დაცვასთან ერთად, მსოფლიოს ერთა კულტურათა და სახელმწიფოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაც. ახალ სიტუაციაში მკვეთრად გაიზრდება როლი საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის სფეროშიც, ასევე გადაუდებელ ამოცანადაა აღიარებული ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტთა რეალური მიზეზების ობიექტური შესწავლა, რაც რომელიმე ავზრახვიან ქვეყანას საშუალებას აღარ მისცემს თავიანთი ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე პერმანენტული ხასიათი მისცენ ეთნიკურ კონფლიქტებს.

საქართველოს სახელმწიფოს გეოპოლიტიკური რეალიზმი და სამართლებრივი ტენდენციები მუდმივ თანაფარდობაში და ჰარმონიაში უნდა იყოს მომავალი მსოფლიოს წესრიგთან. ამავდროულად, ასევე უნდა ვეყრდნობოდეთ 1918 წლის 26 მაისის საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტით, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებით, 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით განცხადებულ პრინციპებს და ვაცნობიერებდეთ პასუხისმგებლობას ქართული ერის წინაშე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, აღდგენა-აღორძინებისა და განვითარების უზრუნველყოფისათვის. ახლა უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საქართველოში 1991-93 წლების შეიარაღებული, სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების გზით დაამხეს კანონიერი ეროვნული, სახალხო ხელისუფლების ყველა შტო და დაამკვიდრეს ანტიქართული და ანტისახალხო კრიმინალური, ნომენკლატურული რეჟიმი. როგორც ცნობილია, 1990 წელს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით, საქართველოს მიწა, საჰაერო სივრცე, წყლის რესურსები, კონტინენტური შელფი და წიაღისეული ეროვნულ საკუთრებად გამოაცხადა, სსრკ-ს ჯარს მიანიჭა საოკუპაციო ჯარის სტატუსი, მიიღო აგრეთვე საკანონმდებლო აქტები სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საზღვრების შესახებ, საბაჟო სამსახურის შესახებ, ეროვნული საჯარისო ფორმირებების შესახებ, ეროვნული უშიშროების სამსახურის შესახებ.

ვინაიდან გასული საუკუნის გარიჯრაჯზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა კანონიერი გზით არ გაუქმებულა, საქართველოს კანონიერ მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია, არ არსებობდა საქართველოს სსრკ-ის

შემადგენლობაში შეყვანის სამართლებრივი საფუძველი. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით გამოაცხადა 1921 წლის თებერვალში საქართველოს დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებამ კი შესაძლებლობა მოუსპო ხელისუფლებას ეწარმოებინა აქტიური პოლიტიკა სახელმწიფოებრივობის აღორძინებისა და განვითარების მიმართულებით. საქართველოს ტერიტორიულ დანაწევრებას სათანადო გეზს აძლევდა გეოპოლიტიკური ტენდენციები და მათ განსახორციელებლად შემუშავებული ქვეყნის შიდა, თუ გარე სქემები. გადატრიალებამ ამ მხრივაც ძირითადი სამართლებრივი ბაზაც გამოაცალა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას. 1992 წლის 2 იანვრის დადგენილებით სამხედრო საბჭომ შეაჩერა საქართველოს რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციის (1990-1991 წლების შესწორებებითა და დამატებებით) მოქმედება ქვეყნის ტერიტორიაზე, არასამართლებრივად და უკანონოდ „აღადგინა" 1921 წლის კონსტიტუცია, აფხაზეთის უზენაეს საბჭოში დაიწყო ქართული დეპუტაციის ყოვლად გაუაზრებელი მოქმედებები, რასაც მოჰყვა 1992 წლის 14 აგვისტოს ომის იურიდიული მომზადება რუსეთის, აფხაზეთისა და საქართველოს _ კომუნისტური ნომენკლატურის მიერ, რის შემდეგ იმ ძალებს, რომლებიც ცდილობდნენ საქართველოსთვის მოეგლიჯათ ტერიტორიები, ხელ-ფეხი გაეხსნათ და აფხაზეთსა და სამაჩაბლოში სეპარატისტული ხელისუფლების ჩამოყალიბებით ქვეყანას ჩამოაშორეს სამაჩაბლო და აფხაზეთი. საფუძველი დაედო საქართველოს ტერიტორიის არასამართლებრივ დანაწევრებას. აღნიშნული დანაწევრების ფაქტობრივი აღიარება საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია იყო, სადაც არ იყო დაფიქსირებული არც აფხაზეთი, არც აჭარა (მოგვიანებით, შედარებით დარეგულირდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკითხი) და არც ე. წ. შიდა ქართლის ე. წ. ყოფილი „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორია (სამაჩაბლო), ანუ არ არსებობს კანონი, რომელიც არეგულირებს დამოკიდებლობას საქართველოს ხელისუფლებასა და აფხაზეთის, ასევე ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ხელისუფლებას შორის.

1978 წლის კონსტიტუცია (1990-1991 წლების შესწორებითა და დამატებებით) კი იყო საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისადმი აფხაზეთისა და აჭარისა ხელისუფლებათა დაქვემდებარებების გარანტი. ეს დაქვემდებარება მათი საკუთარი კონსტიტუციებითაც (აჭარა, აფხაზეთი) იყო განმტკიცებული. აღნიშნული კონსტიტუცია აკონტროლებდა საქართველოს მთელ ტერიტორიასა და სამართალმემკვიდრეობის გამო საკონსტიტუციო ვაკუუმი გამორიცხული იყო. სწორედ 1991-93 წლების სახელმწიფო გადატრიალებამ დაარღვია ზემოთაღნიშნული მოწესრიგებული მდგომარეობა, რისი ერთ-ერთი ძირითადი შედეგიც არის ასევე, 2008 წლის აგვისტოს ე. წ. „რუსეთ-საქართველოს" ომით გამოწვეული ტერიტორიების შემდგომი ფაქტობრივი დაკარგვა და მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნების აზრის საწინააღმდეგოდ რუსეთის მიერ ცალმხრივად აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობა.

დღეს გეოპოლიტიკური სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ამუშავდა სხვა სქემები. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკით, მსოფლიო ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია ოპტიმალურად გადავწყვიტოთ დღევანდელი პრობლემები.

ოღონდ ყოველივე ამის განსახორციელებლად საქართველომ, სხვა მნიშვნელოვან პრობლემათა შორის უნდა გადაჭრას უპირველესი პრობლემა: უნდა აღდგეს და მოწესრიგდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი კანონიერების, სამართალმემკვიდრეობისა და ტერიტორიულ მთლიანობის სამართლებრივი საფუძველი, რაც ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასა და მასთან ერთად ქვეყნის ხელისუფლებისა შიდა ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობებს დაარეგულირებს.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტის (ჰელსინკი, 1975) III და IV პრინციპების თანახმად აკრძალულია ქვეყნის საზღვრების ხელყოფა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. იგივე მიდგომას საზღვრებსა და ტერიტორიული მთლიანობის შესახებ ადასტურებს 1986 წლის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოების ვენის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი.

აღნიშნული დოკუმენტები ცალსახად განმარტავენ, რომ აფხაზეთის და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიები ეკუთვნის საქართველოს და მათ დამოუკიდებელ ქვეყნებად ვერავინ სცნობს, ვინაიდან დაირღვევა საზღვრების ურღვევობისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპები, მაგრამ მითითებული ნორმები ვერ აიძულებენ აღნიშნულ წარმონაქმნებს, დაემორჩილონ საქართველოს ხელისუფლებას, ანუ ისინი მხოლოდ გარედან აწესრიგებენ მდგომარეობას, შიდა მდგომარეობა კი მხოლოდ ქვეყნის კონსტიტუციამ უნდა მოაწესრიგოს. განვლილი წლების განმავლობაში სისხლიანმა კრიმინალურმა რეჟიმმა უდიდესი დანაშაულებები ჩაიდინა ქართველი ხალხის, საქართველოს სახელმწიფოებრივობის მიმართ - მტრულ ძალებს მიჰყიდა საქართველოს ძირძველი ტერიტორიები; გამოიწვია დემოგრაფიული კატასტროფა; მოსპო ინდუსტრია; დაამკვიდრა ნარკომანია, უზნეობა, გარყვნილება და უდიდესი მასშტაბის კორუფცია; გაუხანგრძლივა საქართველოში ყოფნა რუსეთის საოკუპაციო არმიას.

გადატრიალების შემდეგ არც პრეზიდენტ გამსახურდიას და არც საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებას - მთავრობას უფლებამოსილება არ მოუხსნია და დევნილობაში აგრძელებდნენ ფუნქციონირებას. საქმე გვაქვს არა თავისუფალ ქვეყანაში მომხდარ სასახლის კარის გადატრიალებასთან, რომლის მიმართაც მოქალაქეთა უმრავლესობა გულგრილია, საქმე ეხებოდა დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარ საქართველოს, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დაუნდობელ, ბოლშევიკურ იმპერიასთან უთანასწორო ბრძოლაში იყო ჩაბმული. ის, ვინც ეროვნულ ხელისუფლებას დაუპირისპირდა, შეგნებულად, თუ შეუგნებლად ახლადფეხადგმული ქართული სახელმწიფო აქცია სამიზნედ. იმ პირობებში გადადგომა და ბრძოლიდან განდგომა ხელისუფლებისათვის ბრძოლაზე ხელის აღებას კი არ ნიშნავდა, არამედ გარეშე მტერთან კაპიტულაციას. დევნილობაში კანონიერი ხელისუფლების მოქმედების მთავარი მიზანი დანაშაულებრივი რეჟიმის შინაური და საერთაშორისო პოლიტიკის მხილება და იზოლაცია იყო. რეაგირების გარეშე არ დარჩენილა ამ პერიოდის არცერთი რამდენადმე მნიშვნელოვანი მოვლენა, მათ შორის სეპარატისტების მიერ აფხაზეთში მიღებული ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილებაც, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა გაუქმებულად გამოაცხადა. ეს იყო თბილისში შექმნილი საკონსტიტუციო ვაკუუმის შევსების მცდელობა, რაც უპასუხოდ დარჩა ორივე მხრიდან. ასევე უპასუხოდ დარჩა მოწოდება ცეცხლის შეწყვეტისა და სიტუაციის შერეული, ქართულ–აფხაზურ–ჩეჩნური ძალებით გაკონტროლების შესახებ, რაც მიზნად კონფლიქტიდან რუსული ფაქტორის გამორიცხვას ისახავდა. სამწუხაროდ, გადატრიალების შემდეგ გასული წელიწადნახევარი მორალური და მატერიალური თვალსაზრისით იმდენად დამანგრეველი აღმოჩნდა, რომ ზვიად გამსახურდიას ჭეშმარიტად თავგანწირვამ საქმე ვეღარ გამოასწორა.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ არალეგიტიმურმა ფაქტობრივმა ხელისუფლებებმა, უკანონო დროებითმა ფაქტობრივმა მმართველობებმა და მათ უკან მდგარმა ძალებმა ცალსახად არ განაცხადეს მათი დამოკიდებულება 1991-93 წლების პუტჩისა და შემდგომ - 1993 წელს რუსეთის არმიის ინტერვენციის გზით კანონიერი ხელისუფლების ხელახალი განდევნის გამო.

ეროვნულად განწყობილ ქართველობას კარგად ახსოვს, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, ეროვნული ხელისუფლების არაერთი გაფრთხილების მიუხედავად პუტჩის შემდგომ მოღალატე ხელისუფლების მიერ ხელოვნურად გაღვივებული ისტერიის ფონზე საქართველო ჩათრეული იქნა დამარცხებისათვის განწირულ, „გაყიდულ“ სამხედრო კონფლიქტებში სამაჩაბლოსა და აფხაზეთში - ე. წ. „აფხაზეთის ხაფანგში“. ანტიეროვნულმა მმართველმა კასტამ დასავლეთის წაყრუება-წაქეზებით უკიდურესობამდე გააძლიერა ეს ისტერია საქართველოსა და უცხოეთში.

ამასთან, მარიონეტულმა ფაქტობრივმა ხელისუფლებამ ჩაიდინა სახელმწიფოებრივი ღალატის ტოლფასი ქმედება და ის რაც არ გაუკეთებია საბჭოთა კავშირის ხელისუფლებასაც კი, დაარსა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა", მესამე ხელოვნური ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოში, კიდევ უფრო გააღრმავა კრიზისი და მოამზადა ნიადაგი ძირძველი შიდა ქართლის ტერიტორიების მტერზე ჩაბარებისათვის, რაც რუსეთმა აღასრულა კიდეც 2008 წელს. ამასთანავე, 2008 წელს ნაციონალისტური ისტერიის ვითარებაში ინსპირირებულმა და მოღალატურად წარმართულმა ქმედებებმა და „ომმა“ (რომლის მიზანიც იყო საქართელოში რუსეთისა და დასავლეთის გავლენის სფეროების მკაცრი გამიჯვნა) - გამოიწვია ქართველი ხალხის უმძაფრესი საპროტესტო მუხტი, რომლითაც სპეკულატიური მიზნებით სარგებლობენ კვლავ ის ანტიეროვნული ძალები, რომლებმაც თავის დროზე ეროვნული ხელისუფლების განდევნაში მიიღეს მონაწილეობა და ამჟამად კი, ზოგი ხელისუფლებაში და ზოგი ხელისუფლების გარეთ დარჩნენ. გამძაფრდა ფაქტობრივი, დამპყრობლური რეჟიმის არალეგიტიმურობის საკითხი.

დასავლეთი, რომელსაც საკუთარი - ანგარებითი ინტერესები გააჩნია რუსეთის მიმართ - ბოროტად იყენებს რა ქართველობის ბუნებრივ მისწრაფებას დაიბრუნოს წართმეული აფხაზეთი და სამაჩაბლო - აიძულებს საქართველოს უკიდურესობამდე და სერიოზული დადებითი პერსპექტივის გარეშე გაამწვავოს ურთიერთობა რუსეთთან. საქართველოს ხელისუფლებაში ხელახლა მოსული „გველივით პერანგშეცვლილი" ნომენკლატურული „ხუნვეიბინები" პირადი ანგარების მიზნით ნერგავს ქართველობას შორის ცრუ იმედებს, დეზინფორმაციას და ამით უსინდისოდ მანიპულირებს ხალხის აზრით. პარალელურად მიმდინარეობს ყველაფერ ეროვნულზე სასტიკი შეტევა და ყოველგვარი ეროვნული ფასეულობის განადგურება - „ხუნვეიბინური ანტიეროვნული კულტურული რევოლუცია“.

საქართველოში მოშლილია პოლიტიკური პერსპექტივებისა და პროცესების დემოკრატიული, საზოგადოებრივი ანალიზისა და თავისუფალ პაექრობაში საუკეთესო გზების ძებნის მექანიზმი იმ პირობებში როდესაც მასმედიის მთელი სიმძლავრეები მმართველი კასტის პროპაგანდისტული მანქანის როლს არსულებს - პრაქტიკულად, წლებია დამყარებულია ტოტალიტარული ერთპარტიული დიქტატურის სისტემა. ყოველივე ამ პოლიტიკური კრიზისის

გაღრმავების ვითარებაში - არ არის გამორიცხული საქართველოში უარესი სახით განმეორდეს 1992-1993 წლებში აფხაზეთის ავანტიურის მსგავსი მოვლენები - როდესაც საქართველო ამდაგვარი „პოლიტიკური სიბრმავის" ვითარებაში ჩათრეული იქნება ახალ დამღუპველ ომშიც. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს „მმართველი კასტა" არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მტკიცდებოდეს და ფართოვდებოდეს აფხაზ და ოს ხალხთან ნდობა-მეგობრობა, კულტურული ურთიერთობები. ხელისუფლება და მმართველი პოლიტიკური პარტიები არ აწარმოებენ ადამიანურ-ჰუმანიტარულ, სახალხო-დიპლომატიურ ურთიერთობებს აფხაზურ და ოსურ მხარესთან, ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობასთან.

ამავე დროს თვალნათლივ გამოჩნდა, რომ დასავლეთს არ აქვს რაიმე დასტური, ან შეთანხმება რუსეთის მხრივ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში კვლავ რეალური გაერთიანების შესახებ (გარდა ლიტონი დეკლარაციებისა, რომ ცნობენ საქართველოს ტერიტორიულ ერთიანობას) და დასავლეთი საქართველოს ყოველგვარი რეალური გარანტიების გარეშე უბიძგებს რუსეთს ხისტად, მწვავედ, სარისკოდ დაუპირისპირდეს. დასავლეთის დაკვეთით საქართველოსათვის არაფრისმომტანი „შპიონური პიარ-კამპანიის“ მოწყობით - რომლის მიზანი იყო დასავლეთისათვის არგუმენტების მიცემა რუსეთის წინააღმდეგ მიმდინარე საერთაშორისო ფორუმებზე - რუსეთი ინსპირირებული იყო მოეწყო საქართველოსათვის პრაქტიკულად ტოტალური ბლოკადა და ათასობით რუსეთში მომუშავეთა ხარჯზე მცხოვრები ქართული ოჯახი დარჩა შემოსავლების გარეშე. კოდორის ხეობის ვითომ საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში ჩართვისა და იქ ვითომ „აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების“ დაფუძნებას სინამდვილეში მოჰყვა ამ ხეობაში რუსის „სამშვიდობოების“ კონტროლის აღდგენა და ნაშთად დატოვა უკიდურესად გამძაფრებული ურთიერთობები აფხაზ სეპარატისტებთან.

ნატოში გაურკეველ მომავალში და სათუო გაწევრიანების პერსპექტივებით მმართველი ფაქტობრივი ხელისუფლებების მიერ ისტერიული პოლიტიკური სპეკულაციების შედეგად - რეალურად და ამჟამად საქართველოს აქვს ამ სპეკულაციებით პროვოცირებული რუსეთული სადამსჯელო-დრაკონული მეთოდების გამოყენება საქართველოს მიმართ - არსებითად სრული ბლოკადა, ქართველობის რუსეთიდან დეპორტაცია, შესაბამისად - საქართველოს მოსახლეობისათვის და ეკონომიკისათვის ხელოვნურად პროვოცირებულ სირთულეები.

დასავლეთისათვის სულ ერთია - შევა საქართველო ნატო-ში აფხაზეთითა და სამაჩაბლოთი, თუ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე - ამიტომ, დასავლეთი არც იმ შემთხვევაში იქნება წაგებული, თუ საქართველო სამუდამოდ დაკარგავს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, ეს კი ჩვენთვის დაუშვებელია. ყველა უბედურება, რაც საქართველოს დაატყდა თავს 1992 წლიდან ლეგიტიმურობის დარღვევითაა გამოწვეული და დღესაც არ ძალუძთ ლეგიტიმურობაზე დაბრუნება.

ყველაფერ ამაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმათაც, ვინც ახლა საერთო-სახალხო ჯანყის ინსპირირებით სურს ისარგებლოს და ხელისუფლებაზე აცხადებს პრეტენზიებს, ვინც რეჟიმთან კოლაბორაციონისტობდა და ლეგიტიმიზების მორიგ მცდელობაშია საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების გზით. ამ გზით მოსული და ასეთი ხელისუფლება ვერ შესძლებს და არც მოინდომებს საქართველოს წინაშე მდგარ არც ერთი საკვანძო პრობლემის მოგვარებასა და გადაჭრას.

აქედან გამომდინარე, საჭიროა უკომპრომისო ბრძოლა იმ დაჯგუფებების წინააღმდეგ, რომელსაც ხელისუფლება უზურპირებული და ოკუპირებული აქვს. ამასთან, საჭიროა დაპირისპირება ანტიეროვნულ პოლიტიკასა და იდეოლოგიასთან, რომელსაც ქვეყანაში ნერგავენ ხელისუფლების სხვა სატელიტი ფსევდო-დემოკრატიული ორგანიზაციები.

არადა, საქართველო ყოველთვის იყო ცენტრი დიდ კავკასიაში. ეს სტატუსი მოსკოვს არ ემეტებოდა და არ აწყობდა, ამიტომ რუსეთმა ყველაფერი გააკეთა სიტუაციის დაძაბვისა და გამწვავებისათვის. რუსეთს აწყობდა რათა რეგიონში, მეზობელ ქვეყნებს შორის ყოფილიყო მუდმივი დაძაბულობა და კონფლიქტები. ჩვენ გრძელვადიანი თანამშრომლობის კონკრეტული გეგმა უნდა გვქონდეს კავკასიის ხალხებთან. ჩვენ უნდა აღვადგინოთ საქართველოში და სრულიად კავკასიაში არა მარტო დემოკრატია და მშვიდობა, არამედ სამართლიანობა.

საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი - ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეობის ისტორიულობა და მისი ეგზისტენციალური დრო არ შეწყვეტილა. იგი გაგრძელდება, მანამდე, სანამ საქართველო თავის თავისუფლებაში არ განმტკიცდება ყველა ასპექტით: ეკონომიკური, პოლიტიკური და გეოპოლიტიკური. შესაბამისად უწყვეტია ისტორიულ-თემატური დრო და ამ ყოველივეს დამწყები პიროვნების როლი. მის მიერ დატოვებულია კვალი ამ ისტორიულ-თემატურ დროში, რომელიც გრძელდება მომავალში. საერთოდ პიროვნებები, რომლებიც ისტორიას ქმნიან მათი მოღვაწეობა არ მთავრდება ეგზისტენციალური დროის დასრულებით. მათი მოღვაწეობა სიუჟეტურ დროში გრძელდება და ყველა სიუჟეტი, რომელიც მათ ერს შესთავაზეს განსაკუთრებული დატვირთვა ეძლევა. მიუხედავად ლეგიტიმიზების არაერთი

მცდელობისა ვითომ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების გზით - უკანონო რეჟიმმა ვერ შესძლო საბოლოო დამკვიდრება საქართველოში. საქართველოს კანონიერი მთავრობა, ეროვნული ძალები, ქართველი ხალხი არ შეეგუა მის არსებობას, არ აღიარა იგი და მის წინააღმდეგ განუწყვეტელ ბრძოლაში ჩაება.

არსებულ ვითარებაში, ქართველი ერის, ქართული სახელმწიფოებრივობის გადასარჩენად ლეგიტიმური კონსტიტუციის მიხედვით სავსებით აუცილებელი და გადაუდებელია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, როგორც ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალებისათვის ბრძოლის ხელახალი აღმავლობა, მისი ორგანიზაციების აღდგენა-აღორძინება.

ამიტომაც, უმნიშვნელოვანესია საქართველოში ლეგიტიმურობის აღდგენის საკითხები, ანუ ეროვნული ხელისუფლებისა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ეროვნული, ანუ კანონიერი ხელისუფლების აღდგენა პირველ რიგში და საფუძველში გულისხმობს მის აღდგენას როგორც ეროვნული მოძრაობის ინსტიტუციისას, ინსტრუმენტისას და არა რაღაც განყენებული აბსტრაქციისას (თუმცა საქართველოს მტრებს სწორედ ასე აწყობთ). დავსძენთ, რომ ლეგიტიმურობის აღდგენა პირველ რიგში გულისხმობს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ზოგადად ქართველი ერის მიზნების განმახორციელებელი ხელისუფლების აღდგენას. ლეგიტიმურობა და კანონიერება ჩვენი თვალსაზრისით და ჩვენი სიმართლით ეროვნულობაზეა აგებული და არა შემონერგილ რაღაც ტრანსნაციონალურ-ინტერნაციონალურ აბსტრაქტულობებზე.

ამდენად, მთელი ამ ჩვენი მსჯელობების მიზანია დავასაბუთოთ და განვმარტოთ, რომ პირველადია სამართლებრივად კონსტიტუციური საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური ორგანიზაციები, ხოლო ეროვნული მოძრაობის მიერ შექმნილი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები - პარლამენტი იქნება ეს, თუ მთავრობა კი მეორეულია, დაქვემდებარებულია, ინსტრუმენტია და მეტი არაფერი და თუ ეს ასეა, მაშინ, ეროვნული ხელისუფლებისა და ზოგადად ჩვენი კანონიერებისა და ჩვენი სამართალ--სიმართლის აღდგენა შეუძლებელია მთლიანად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციების ხელახალი და მძლავრი აღმავლობისა და მომძლავრების გარეშე.

აქედან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ ბატონ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება ლეგიტიმური იყო და არის პირველ რიგში როგორც ეროვნული ხელისუფლება და მხოლოდ ამავე დროს, მეორე რიგში - როგორც კანონიერი ხელისუფლება. საქართველოში მხოლოდ ეროვნული ხელისუფლება შეიძლება იყოს კანონიერი, ლეგიტიმური და ვერავითარი ტრანსნაციონალურ-ინტერნაციონალური ხელისუფლება ლეგიტიმური ვერ იქნება და ქართველი ერის ინტერესებს ვერ ემსახურება.

„საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის" მიზანია დაანახოს და გააცნოს საქართველოსა და მთელ მსოფლიოს მისი ხედვა ქვეყნის მოწყობის, მისი სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მიღწევის, ერთიანობის უზრუნველყოფის, განათლებული სამოქალაქო და სოციალური სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბების გზით ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების, რეალურად დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების შექმნა-განმტკიცებისა და მისი კანონიერი რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის ფუძემდებლური, ყოველმხრივი აღორძინების რეალური გეგმა და გზები, რომლითაც მოხდება სახელმწიფოს მიერ ადამიანის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება, ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფა და რომელიც დაფუძვნებული იქნება სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური ჰარმონიის პრინციპებზე, ზნეობის პრიმატისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებით დაიცავს და დაამკვიდრებს ეროვნული თვითმყოფადობის, დემოკრატიისა, სამართლებრივი სახელმწიფოსა და თვითმმართველობის იდეალებს, პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს დაუჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას. სახელმწიფოს ამოცანაა ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება. ამ ფუძემდებლურ პრინციპებს კი აშკარად მივყევართ მომავლისაკენ, სადაც წარმატების კრიტერიუმი შრომა, ნიჭი და მსახურება იქნება, სადაც

მთავარია: შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა და სოციალური სოლიდარობა. ეს იქნება ბურჯი, რომელსაც ქართული სახელმწიფო დაეფუძვნება. სახელმწიფო კი უნდა იყოს ენის, მამულის, სარწმუნოების დაცვის გარანტი, ქართული ცხოვრების არსის განმსაზღვრელი.

გამოსავალი აღნიშნული მდგომარეობიდან არის ერთადერთი – რეალობიდან გამომდინარე ლეგიტიმური მთავრობის მიერ 2014 წლის 26 მაისის სამართლებრივი, პოლიტიკური და იურიდიული შეფასების თანახმად, რომელშიც შეფასებულია 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალება და მისგან გამომდინარე ქვეყნის შემდგომი პროცესები, უნდა შემუშავდეს ახალი სამართლებრივი და იურიდიული საკანონმდებლო ბაზა და შესაბამისი აქტები, სადაც გათვალისწინებული იქნება და იურიდიულად აღსდგება 1992 წლის 2 იანვარს შეჩერებული საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისი მუხლები საზღვრების ურღვევობის, ტერიტორიული მთლიანობისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრინციპების შესახებ, რაც სრულიად აღადგენს სამართლებრივ საფუძველს ტერიტორიული მთლიანობისათვის. 1991-1993 წლებისა და 2008 წლის ომები დაკარგავს თავის პოლიტიკურ შინაარსს და ის ტერიტორიები, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის გარეთ დარჩნენ, კანონიერად მოექცევიან მისი გავლენის ქვეშ. ამის შემდეგ ტერიტორიული მთლიანობის ფაქტობრივად აღდგენისათვის წარმოებული ყოველგვარი ღონისძიება საერთაშორისო სამართლის დამატებითი სტატუსითაც იქნება განმტკიცებული.

უნდა შემუშავდეს, მომზადდეს და რეფერენდუმის გზით მიღებულ იქნას ახალი ეროვნული კონსტიტუცია, სადაც ასევე აღნიშნული იქნება სახელისუფლო კანონიერებისა და მისი სამართლებრივი უწყვეტობის საკითხი, რითაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაიჭრას ქვეყნის სამართლებრივი, პოლიტიკური და იურიდიული მოწყობის სამართლიანობა და კანონის უზენაესობა.

საქართველოს ნამდვილ მამულიშვილს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს და სჯეროდეს, რომ უნდა ემსახუროს ქართველი ხალხის უზენაესობას, მარადიული ჭეშმარიტების მოთხოვნებს. დიდი მიზნების მიღწევას შესაძლოა ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდეს. გამარჯვების გარანტი სწორად საქართველოს ჭეშმარიტი თავისუფლებისაკენ დაუოკებელი სწრაფვაა.

არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს გამოსახსნელად ერთადერთი გზაა მშვიდობიანი და სამართლებრივი გზით საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინება და განვითარება.

მიგვაჩნია, რომ არა რომელიმე სხვა მოწოდება, ლოზუნგი, არამედ - სწორედ სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის, დემოკრატიული და სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის გადარჩენის იდეა უნდა გახდეს ის შემაკავშირებული სტრატეგია, რომელმაც შესაძლებელი უნდა გახადოს ეროვნულ ძალთა გაერთიანება და რეალურად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თანხმობის მიღწევა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ეყრდნობა რა, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის აუცილებლობის ძირითად პრინციპებს, კვლავ ხაზს უსვამს, რომ არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს გამოსახსნელი ერთადერთი გზაა ყველა ეროვნული ღირსების მქონე ჯანსაღ ძალთა გაერთიანება და საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის ბრძოლა.

კავკასია კი, განხილულ უნდა იქნას, როგორც მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის გარანტი და საქართველოს, როგორც კავკასიური სახლის ქვეყნის, მედიატორული როლი მსოფლიოსათვის. ცივილიზაციის განვითარება იმ ფაზაში შევიდა, როდესაც მოწინავე ქვეყნები ერთობლივად ცდილობენ გადაჭრან ზოგადსაკაცობრიო პრობლემები. მსოფლიო პროცესები იმდენად დაჩქარებულია, რომ უახლოეს ხანში ამ წინააღმდეგობათა მოუგვარებლობა უაღრესად ზრდის საყოველთაო კატასტროფის შესაძლებლობას.

მსოფლიოს ახლებურად მართვის ეტაპზე დიდად მნიშვნელოვანია პოლიტიკური მოვლენების ახლებურად განსჭვრეტა და წარმართვა. საქართველომ მიზანმიმართულად უნდა გამოიყენოს გეოპოლიტიკური უპირატესობანი და შესძლოს დამოუკიდებელი პოლიტიკურ-დიპლომატიური აქტიურობა.

საქართველოს ისტორია ნათლად მეტყველებს, რომ ქართული ფენომენისათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო ეროვნული, რელიგიური თავსებადობა. ჩვენს ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გარეშე გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლები. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ძველი ერის მტკიცე სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიციების გამო ყოველთვის მიზანმიმართულად ახერხებდა მოწინავე აზრის, კულტურის ექსპორტირებას მეზობელ მონათესავე ტომებში. ამ მოვლენას ნოყიერი ნიადაგი ასაზრდოებდა – იბერიულ-კავკასიური სამყაროს

არსებობა, რომელიც უძველესი და უნიკალური ცივილიზაციის პოლიეთნიკურ და ამავე დროს ერთიან გეოპოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ სივრცეს, დასავლეთსა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინს წარმოადგენდა. საქართველოს კავკასიელ მეზობლებთან სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის მიუხედავად, ისტორიულად მუდამ ჰქონდა მთლიანი კავკასიური სამყაროსადმი კუთვნილების, საერთო წარმომავლობის, ბიოგენეტიკური ნათესაობის გრძნობა, ეროვნული წიაღიდან აღმოცენებული, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მეზობელ ცივილიზაციებთან შემაჯერებელი საერთო მენტალიტეტი, კულტურული, მორალური და ზნეობრივი ღირებულებები.

კავკასიის, როგორც მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონის, შიგა მოწესრიგების პრინციპი კი ისტორიულ-ეთნიკური პროცესების განვითარებამ, მისმა ღრმა ფესვებმა უნდა განსაზღვროს, რაც საქართველოს იბერიულ-კავკასიურ ტომებთან ნათესაობით და ასევე შავი ზღვის ნავსადგურთა გარკვეული ნაწილის კონტროლით განსაზღვრულ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს.

კავკასიური ერთობის შესაქმნელად, რომლის საფუძველი იდეაში ყოველთვის არსებობდა, საჭიროა მკაფიო და მკაცრი, თანმიმდევრული მსოფლიო პოლიტიკური კურსის შემუშავება, რაც საჭიროების შემთხვევაში როგორც კავკასიური სახლის, ასევე მსოფლიოს დამცველ მექანიზმად ამოქმედდება.

ცხადია, კავკასიური სახლი არ გულისხმობს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთი მიმართულებით განვითარებას. ასეთი პოლიტიკა განსაზღვრულია საქართველოს და მსოფლიოს კეთილდღეობის ინტერესებით და ოთხივემხრივ უნდა წარიმართოს.

მაგრამ, მარტო დასავლეთის პროგრესული დემოკრატიული აღმშენებლობის სურვილი საკმარისი არ არის ჩვენი ქვეყნის ეროვნული აღორძინებისათვის, მას ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის სწორად წარმართვამაც, რომელიც დამყარებული იქნება სამართლიანობისა და კანონიერების ბაზაზე.

ვეყრდნობით რა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტით, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებით, 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით განცხადებულ პრინციპებს, ვაცნობიერებთ რა პასუხისმგებლობას ქართული ერის წინაშე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, აღდგენა-აღორძინებისა და განვითარების უზრუნველყოფისათვის, მიგვაჩნია და ვადასტურებთ:

- *უნდა აღსდგეს ისტორიული სამართლიანობა და ჩამოყალიბდეს მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონი და ერთობა - კავკასია, როგორც გარანტი მსოფლიოში მშვიდობისა, სამართლიანობისა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისათვის დაცვისა, სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თანხმობა-ერთობისა და თანასწორობისა;*
- *საშუროა, თუ კავკასიაში და სწორედ საქართველოში განთავსდება და მოეწყობა სახელმწიფოთა უსაფრთხოებისა, ერთა კულტურათა, უფლებებისა და თავისუფლებების, დაცვისა და უზრუნველყოფის „მსოფლიო ერთა ანსამბლეა", რამდენადაც საქართველოს, როგორც „კავკასიური სახლის" ქვეყანას, სახელმწიფოს ისტორიული, გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე და ეროვნული სულის მეოხებით ძალუძს ეზიაროს ჭეშმარიტად საღვრთო საქმეს და განხორციელოს მსოფლიოს სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის აუცილებელი გარანტის როლი. იგი უნდა გახდეს მედიატორი სახელმწიფო, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ქრისტიანულ და მუსულმანურ სამყაროს შორის, რაც მისი ოდინდელი ისტორიული მისიის დაბრუნება იქნება.*

სახელმწიფოთა უფლებებისა და თავისუფლებების, როგორც მსოფლიოს ერთა კულტურათა და კოლექტიური უსაფრთხოების, მასთან ერთად ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ფუძემდებლური პრინციპები უნდა იქნეს აღიარებული ყველა სახელმწიფოს მიერ და ამ პრინციპიდან გამომდინარე ადამიანის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოსა და ადამიანის ღირსების უზრუნველყოფის, მისი კანონიერი უფლების რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის საძირკველს, რამეთუ სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სულიერი მდგომარეობის დაუცველობა, ძალზე დიდ დაბრკოლებას იძლევა თვითოეული ერის ღირსების განვითარებაზე. ეროვნული ღირსება კი, არა მარტო თეორიული ცნება, არამედ რეალური ერთეულის, მრავალსაუკუნოვანი წარსულისა და ისტორიის მქონე ერის ძირითადი ატრიბუტია და თავისთავად მიღწევადი რეალობაა, რადგან იგი გამომდინარეობს ერის

ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობიდან, რომელიც წარმოშობილია ენის, ტეროტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა.

ეროვნული ღირსების გრძნობის ამაღლება შესაძლებელია ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის, ასევე ერის იდეურ-მორალური, ეთიკური, ზნეობრივი და საღმრთო რწმენის დონეთა ამაღლებით. ეროვნული ღირსების გრძნობა თავისთავად ერის ნაყოფიერი ორიენტაციაა და იგი დიდ როლს თამაშობს როგორც პიროვნული ღირსების, ასევე ცხოვრების დონის ამაღლებასა და ქვეყნის განვითარებაზე.

მართალია ისტორიულ ეტაპებზე ხდება ღირებულებათა გადაფასება, მაგრამ მისი მუდმივობის ცვალებადობა ფაქტობრივად არ იცვლება, რამეთუ ცვალებადობას მხოლოდ სუბიექტივიზმი განსაზღვრავს მნიშვნელოვნად. ასე, რომ იდეალიზმთან მიახლოებული რეალობა ობიექტურ, თეორიულ და ემპირიულ განსაზღვრებაში შეიძლება ისტორიულად განსაზღვრულ მუდმივად მივიჩნიოთ. მორალური პრინციპების განხორციელება კი შესაძლებელია არა მხოლოდ სახელმწიფოში და თავად ერში, არამედ საყოველთაოდ და ყველგან.

მოწინვე ქვეყნები უნდა ადასტურებდნენ ერთა თანასწორუფლებიანობის, საკუთარი ბედის განმგებლობის უფლების პატივისცემისა და მათი ეფექტური განხორციელების საყოველთაო მნიშვნელობას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების განვითარებისათვის. მათ უნდა შეახსენონ ურთიერთს აგრეთვე იმის მნიშვნელობა, რომ უნდა გამოირიცხოს ამ პრინციპის დარღვევა ნებისმიერი ფორმით.

მსოფლიო ქვეყნების სახელმწიფოებრიობის დონის ამაღლებისა და აღორძინების მიზნით, ახალი რეალობიდან გამომდინარე სასურველია დაიხვეწოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა აქტები მათი უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხრითაც, რათა ახალ საუკუნეში სახელმწიფოებმა და ხალხებმა იცხოვრონ მშვიდობიან, განვითარებად მსოფლიო თანამეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოში. მსოფლიო პოლიტიკურ ძალებს უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ მოვლენათა შორის მუდმივი და უცილობელი კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც დასტურდება ბუნებასა და საზოგადოების შემეცნების პროცესში. უნდა ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტად შესაბამისი პოლიტიკური წყობა, რომლის დროსაც დამყარებულია და პრაქტიკაში ხორციელდება ერთა ხელისუფლებათა საშუალებები და ფორმები, რომლებიც გამაგრებულია თვითოეული ქვეყნის მოქალაქეთა თავისუფლებებისა და თანასწორობის კანონებში. სახელმწიფოს დემოკრატიულობა ძევს მის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში, რომელიც ამ სახელმწიფოს ისტორიულად ჩამოყალიბებულ, ევოლუციურად აღმავლობაში მყოფი მისი ბუნებიდან გამომდინარეობს და სარგებლობს როგორც სახელმწიფოს შიგნითა ხალხის, ასევე მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საყოველთაო მოწონებით.

ქვეყნის საკუთარი განმგებლობის უფლებიდან და თანასწორუფლებიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მუდამ უნდა ჰქონდეს უფლება სრული თავისუფლების პირობებში დაადგინოს თუ როდის და როგორ სურს მას განსაზღვროს თავისი შინაგანი და გარეგანი პოლიტიკური სტატუსი. ქვეყანა საერთო, საყოველთაო რეფერენდუმის გზით, გარედან ჩარევის გარეშე თავადვე უნდა განსაზღვრავდეს თავის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.

სახელმწიფოს დანიშნულება ერის პოლიტიკური და სულიერი დამკვიდრებაა. თვითდამკვიდრების ურთულეს გზაზე ყოველი ერი ესწრაფვის თავისი სულიერი და სოციალურ-პოლიტიკური ველის გაფართოვებას. სწორედ ამაში ვლინდება ერის სიძლიერე და სიცოცხლის უნარიანობა. დემოკრატიის გარეშე კი შეუძლებელია რაიმე სახის სულიერების გავრცელება.

მნიშვნელოვანია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სამართლებრივი გადაწყვეტა და მისი დაცვა. ქვეყნის სახელწიფოებრიობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისი ტერიტორიის და ბუნებრივი რესურსების დაცვას. სახელმწიფოს ტერიტორიას - ხმელეთს, წყალს, წიაღს, საჰაერო სივრცეს მომიჯნავე სახელმწიფოს ტერიტორიისაგან გამოჰყოფს სახელმწიფო საზღვარი. ამდენად, ნათლად სჩანს სახელმწიფოსათვის საზღვრის მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა პრობლემატური საკითხების გადაწყვეტის სასიცოცხლო მნიშვნელობა, როგორც შიდა სახელმწიფოებრივი ფუნქციონირების, ასევე სახელმწიფოებათაშორისი ურთიერთობის თვალსაზრისითაც.

1921 წლის ანექსიისა და ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ საქართველომ დაკარგა ერთა ლიგის რიგი ქვეყნების მიერ აღიარებული ტერიტორიის თითქმის მესამედი, ლამის ამდენივე მნიშვნელოვანი ტერიტორიული ნაწილები 1991-93 წლების სახელმწიფო გადატრიალებისა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს საომარი პროცესების შედეგად.

სამწუხაროდ, საქართველომ 1918-21 წლების დამოუკიდებლობის პერიოდში, ცნობილ მიზეზთა გამო ვერ შესძლო მეზობელ სახელმწიფოებთან საქართველოს სახელმწიფო საზღვრების სრულად სამართლებრივი განსაზღვრა და დღეისათვის არ მოგვეპოვება ასეთი ნორმატიული ბაზა.

სასაზღვრო სიტუაცია ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან შედარებით ყველაზე კარგად აზერბაიჯანთან იყო დაცული, ამ შემთხვევაშიც იგი 1938 წლის მდგომარეობას ეფუძნება. კომისია შეიქმნა სომხეთთან დაკავშირებითაც, მაგრამ განსაზღვრულ ვითარებათა გამო პრობლემის გადაწყვეტა ყოველთვის ჭიანურდებოდა. საერთაშორისო ნორმების შესაბამისად დელიმიტირებული გარე საზღვარი საქართველოს მხოლოდ თურქეთთან ჰქონდა, იგი მას სსრკ-სთან ჰქონდა გარკვეული და მდგომარეობა ასევე დარჩა.

გარდა ტერიტორიული დანაკარგებისა ბარბაროსულად განადგურდა საქართველოს ბუნება და კულტურის ძეგლები, გაიძარცვა ბუნებრივი რესურსები. ცხადია, ამ პროცესებმა უზარმაზარი ფინანსური ზარალი მიაყენეს ქვეყანას და ეს სათანადოდ საქართველოს ტერიტორიული დაუცველობითა და სახელმწიფო საზღვრების ფაქტობრივი არარსებობითაც იყო გამოწვეული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 1990 წელს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით, საქართველოს მიწა, საჰაერო სივრცე, წყლის რესურსები, კონტინენტური შელფი და წიაღისეული ეროვნულ საკუთრებად გამოაცხადა, სსრკ-ს ჯარს მიანიჭა საოკუპაციო ჯარის სტატუსი, მიიღო აგრეთვე საკანონმდებლო აქტები სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საზღვრების შესახებ, საბაჟო სამსახურის შესახებ, ეროვნული საჯარისო ფორმირებების შესახებ, ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის შესახებ.

ერთის მხრივ, ვინაიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა კანონიერი გზით არ გაუქმებულა, საქართველოს კანონიერ მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია, არ არსებობდა საქართველოს სსრკ-ის შემადგენლობაში შეყვანის სამართლებრივი საფუძველი. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით გამოაცხადა 1921 წლის თებერვალში საქართველოს დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

მეორეს მხრივ, 1991 წლის 21 დეკემბრიდან დაიწყო საქართველოს რესპუბლიკის ცნობა და საქართველოს ტერიტორია, მისი ფარგლები განისაზღვრა 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიის და შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დადგენის საფუძვლად აღიარებულია საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში მოკავშირე რესპუბლიკებთან საქართველოს სსრ-ს ადმინისტრაციული საზღვრები. შესაბამისად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გაერო-ს (რომლის წევრიც საქართველო გახდა), საერთაშორისო თანამეგობრობისა და ორგანიზაციების მიერ საქართველო იურიდიულად და ფაქტობრივად აღიარებულ იქნა მის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ანუ საქართველოს დარჩა სსრკ-ს დაშლის შედეგად მიღებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიების სამართალმემკვიდრე.

საქართველოს 1990 წელს არჩეული ხელისუფლება უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის უმნიშვნელოვანეს საქმეს, რასაც იმ პერიოდთან დაკავშირებული ზემოთ მითითებული შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღებაც ადასტურებს. 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებამ კიდევ უფრო შესაძლებლობა მოუსპო ხელისუფლებას ეწარმოებინა აქტიური პოლიტიკა ზემოთაღნიშნული მიმართულებით.

საქართველოს ტერიტორიულ დანაწევრებას სათანადო გეზს აძლევდა გეოპოლიტიკური ტენდენციები და მათ განსახორციელებლად შემუშავებული ქვეყნის შიდა, თუ გარე სქემები. დღეს გეოპოლიტიკური სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ამუშავდა სხვა სქემები. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკით, მსოფლიო ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია ოპტიმალურად გადავწყვიტოთ დღევანდელი პრობლემები. ოღონდ ყოველივე ამის განსახორციელებლად საქართველომ, სხვა მნიშვნელოვან პრობლემათა შორის უნდა გადაჭრას უპირველესი პრობლემა:

- *უნდა აღდგეს და მოწესრიგდეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის სამართლებრივი საფუძველი, რაც ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასა და მასთან ერთად ქვეყნის ხელისუფლებისა და შიდა ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობებს დაარეგულირებს.*

კვლავ ავღნიშნოთ, რომ ევროპის უშიშროებასა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტის (ჰელსინკი, 1975) III და IV პრინციპების თანახმად აკრძალულია ქვეყნის საზღვრების ხელყოფა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. იგივე მიდგომას საზღვრებსა და ტერიტორიული მთლიანობის შესახებ ადასტურებს 1986 წლის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი მონაწილე სახელმწიფოების ვენის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი.

აღნიშნული დოკუმენტები ცალსახად განმარტავენ, რომ აფხაზეთი და ე. წ. „სამხრეთ ოსეთი" ეკუთვნის საქართველოს და მათ დამოუკიდებელ ქვეყნებად ლეგიტიმურად ვერავინ სცნობს, ვინაიდან დაირღვევა საზღვრების ურღვევობისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპები, მაგრამ მითითებული ნორმები ვერ აიძულებენ აღნიშნულ წარმონაქმნებს, დაემორჩილონ

საქართველოს ხელისუფლებას, ანუ ისინი მხოლოდ გარედან აწესრიგებენ მდგომარეობას, შიდა მდგომარეობა კი მხოლოდ ქვეყნის კონსტიტუციამ უნდა მოაწესრიგოს.

1978 წლის კონსტიტუცია (1990-1991 წლების შესწორებითა და დამატებებით) იყო საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისადმი აფხაზეთის, აჭარისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ხელისუფლებათა დაქვემდებარებების გარანტი. ეს დაქვემდებარება მათი საკუთარი კონსტიტუციებითაც (აჭარა, აფხაზეთი) იყო განმტკიცებული. აღნიშნული კონსტიტუცია აკონტროლებდა საქართველოს მთელ ტერიტორიასა და სამართალმემკვიდრეობის გამო საკონსტიტუციო ვაკუუმი გამორიცხული იყო. 1991-93 წლების სახელმწიფო გადატრიალებამ დაარღვია ზემოთაღნიშნული მოწესრიგებული მდგომარეობა, რისი ერთ-ერთი ძირითადი შედეგიც არის 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომით გამოწვეული ტერიტორიების შემდგომი ფაქტობრივი დაკარგვა და მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნების აზრის საწინააღმდეგოდ რუსეთის მიერ ცალმხრივად აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობა..

- *გამოსავალი აღნიშნული მდგომარეობიდან არის ერთადერთი – რეალობიდან გამომდინარე უნდა შემუშავდეს ახალი სამართლებრივი აქტები, სადაც გათვალისწინებული იქნება და იურიდიულად აღსდგება 1992 წლის 2 იანვარს შეჩერებული საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისი მუხლები საზღვრების ურღვევობისა, ტერიტორიული მთლიანობისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრინციპების შესახებ, რაც სრულიად აღადგენს სამართლებრივ საფუძველს ტერიტორიული მთლიანობისათვის: 1991-1993 წლებისა და 2008 წლის ომები დაკარგავს თავის პოლიტიკურ შინაარსს და ის ტერიტორიები, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის გარეთ დარჩნენ, კანონიერად მოექცევიან მისი გავლენის ქვეშ. ამის შემდეგ ტერიტორიული მთლიანობის ფაქტობრივად აღდგენისათვის წარმოებული ყოველგვარი ღონისძიება საერთაშორისო სამართლის დამატებითი სტატუსითაც იქნება განმტკიცებული.*

ცხადია, არა გვაქვს ილუზია, რომ ზემოთაღნიშნული ქმედებანი ერთბაშად მოაწესრიგებს ყოველივეს, მაგრამ სამართლებრივად მოგვარებული პრობლემების გადაჭრა საერთაშორისო სამართლის პრეროგატივაა. ამას საერთაშორისო არბიტრაჟი მოყვება და ამგვარ დონეზე საკითხთა გადაწყვეტა კი ცხადია, სათანადოდ შეამცირებს ძალადობის ფაქტორს.

საქართველოს სახელმწიფოებრივ, სამართლებრივ სივრცეში არ უნდა არსებობდეს შავი ხვრელები, რომლებიც არამარტო ზედმეტად ტვირთავს ენერგიას, არამედ სწორედ ასეთი არასამართლებრივი, არაკანონიერი და არაკონსტიტუციური ორგანოების მეშვეობით ზიანს აყენებენ ქვეყნის იმიჯს.

ზოგადად, ლეგიტიმურობა კანონიერებას, სამართლებრივი საფუძვლების არსებობას ნიშნავს, ეს ცნობილია. ცნობილია ასევე, დევნილი ხელისუფლების – მთავრობის საკუთრივ სამშობლოში, თუ სხვა ქვეყანაში დევნილობაში მოქმედება, სამართლებრივი, თუ პოლიტიკური თვალსაზრისით მისი პრეცედენტულობა. ამდაგვარი ლეგიტიმური ფუნქციობის მაგალითები კაცობრიობის ისტორიაში საკმაოდ მოიპოვება.

ამას ადასტურებს საქართველოს უახლოესი წარსულიც. მაგალითად, საქართველოს 1918–1921 წლების მთავრობა და 1990–2019 წლების მთავრობა. მათ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გარკვეული სამართლებრივი ფუნქციები გააჩნდათ და გააჩნიათ, მათ შორის, წარმომადგენლობითიც. მაგრამ ასევე, ერთი ქვეყნის შიგნით გადაადგილებული ადგილობრივი და თვითმმართველობითი კანონიერი ხელისუფლების ორგანოების (აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიების სახელისუფლებო, პრეფექტურათა, თუ საკრებულოთა ინსტიტუციები და მათი კანონიერი წარმომადგელობითობა, რომელთა ფუნქციები სამართლებრივად და იურიდიულად არსებობს) ფუნქციობას თანამედროვეობა არ იცნობს. ამიტომაცაა, რომ ეს არის გარკვეულწილად პრეცედენტული. პრეცედენტულობა კი თავისთავად არაკანონიერებას როდი ნიშნავს. აფხაზეთში დარღვეულია ტერიტორიული მთლიანობა. იქ, როგორც მთელ ქვეყანაში, მოქმედებს უკანონო და დანაშაულებრივი რეჟიმი. აფხაზეთი ოკუპირებულია და შექმნილია ხელისუფლების ვაკუუმი. აფხაზეთში არსებული უკანონო ხელისუფლების მიერ გარეშე ძალების დახმარებით განხორციელებულია არამარტო ქართული, არამედ – თავად აფხაზური მოსახლეობის ეთნიკური წმენდა და გენოციდი. მთელი მსოფლიო საზოგადოება, გარდა ერთი ქვეყნისა (რუსეთისა), იქ ჩატარებულ არჩევნებს მიიჩნევს უკანონოდ და ბათილად. აფხაზეთის კანონიერი უზენაესი საბჭოსა და მთავრობის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების წარმომადგენლობითი უმრავლესობა, რომლებიც დევნილნი არიან თავიანთივე სამშობლოსა, თუ ქვეყნის გარეთ, ფაქტობრივად არის მთელი აფხაზეთის მოსახლეობის ინტერესების გამომხატველი.

მართალია ფიქტიურად იგი არსებობს თბილისში ფაქტობრივი, უკანონო ხელისუფლების ძალისხმევით, მაგრამ ის ფიქციაა და უკანონობის დანამატია მხოლოდ. აქ თითქოს სადაო არაფერია, მაგრამ მთავარი ფაქტორი, რაც მათ ლეგიტიმურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აქცევს, არის თითქმის ოცდაექვსწლიანი სამართლებრივი, კანონიერი და კონსტიტუციური გადაურჩევლობა და ყოველივე დღეისათვის არსებულ ზოგიერთ ამ ორგანოს არადემოკრატიულად და თავადაც უკანონოდ აქცევს. აფხაზეთის კანონიერი უზენაესი საბჭოსა და მთავრობის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების დღევანდელი წარმომადგენლობითობის უფლებამოსილება ეჭვქვეშ აყენებს წარმომადგენლობითი არჩევითი ორგანოს ისეთ აუცილებელ ატრიბუტებს, როგორიცაა, სამართალი, კანონიერება, დემოკრატიულობა, არჩევითობა, ხალხის ნების გამოხატვა, პოლიტიკური პლურალიზმი, რესპუბლიკური სახელმწიფოებრივი წყობილება. არ შეიძლება, სამართლებრივად, კანონიერად და კონსტიტუციურად არჩევითი, თუ დანიშვნითი ორგანოები და წარმომადგენლობა იყოს კანონიერი სამართლებრივი და კანონიერი არჩევნების გზით მისი განახლების გარეშე, ასევე, კანონიერი, ლეგიტიმური მთავრობისაგან განყენებული. ეს არის წარმოუდგენელი და მსოფლიოში უპრეცედენტო მოვლენაა. ასეთ შემთხვევაში ირღვევა ადამიანის უფლებები. ხალხის უფლება, იყოს ხელისუფლების წყარო და პიროვნების უფლება, აირჩიოს და იქნეს არჩეული, თავისუფლად გამოხატოს კანონიერ არჩევნებში თავისი ნება. მნიშვნელოვანია ერთი არგუმენტიც, რომ ამ პერიოდის განმავლობაში მათი სამართლებრივი და კანონიერი არჩევნები თუ კონსტიტუციური დანიშვნები უნდა ტარდებოდეს გონივრული პერიოდულობით. მოწინააღმდეგენი შეიძლება თვლიდნენ, რომ კანონიერი, კონსტიტუციური არჩევნები ხელისუფლების დევნილობის პერიოდში, რომ აუცილებლად აფხაზეთში უნდა ჩატარდეს, რაც არსად არ წერია. ამომრჩეველი არის ხალხი და არა ტერიტორია, აფხაზეთის ამომრჩეველთა დიდი უმრავლესობა ხომ, დღეს დევნილთა - იძულებულ გადაადგილებულთა სტატუსით აფხაზეთის გარეთ ცხოვრობს. უსაფუძვლოა ამ აზრის მოწინააღმდეგეთა ის ეჭვიც, რომ ახალი არჩევნების ჩატარება ავტომატურად ლეგიტიმურს გახდის სეპარატისტების საოკუპაციო რეჟიმს.საოკუპაციო რეჟიმის უკანონობა საერთოდ არ არის დამოკიდებული აფხაზეთის უზენაესი საბჭოსა, თუ უმაღლესი საბჭოს არსებობაზე. საოკუპაციო-სეპარატისტული რეჟიმი არცერთ საერთაშორისო ორგანიზაციას არ უცვნია. ნებისმიერი საერთაშორისო დოკუმენტი თვით აფხაზეთში ჩატარებულ არჩევნებს თვლის უკანონოდ, თუნდაც იმიტომ, რომ დარღვეულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, სუვერენიტეტი, არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია ეთნიკური წმენდისა და მასობრივი განადგურების შედეგად დაზარალებულ, ლტოლვილ და იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობას. მაშასადამე, საერთაშორისო ინსტიტუტების აზრით, აფხაზეთში ჩატარებული არჩევნები და, შესაბამისად, მის შედეგად არჩეული ხელისუფლება კანონიერი და ლეგიტიმური იქნება მხოლოდ ამ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ. აფხაზეთი არის ოკუპირებული ტერიტორია. მარტო აფხაზეთი კი არა, უკანონოდ, ძალისმიერად, სახელმწიფო გადატრიალების მეშვეობით საქართველოს შიდა და გარე ძალების მიერ ინტერვენცირებული, ოკუპირებული და ანექსირებულია მთლიანად მთელი საქართველო, მიტაცებულია მთელი სახელმწიფო ხრლისუფლება, სტრუქტურები, დემონიზირებული და დაპყრობილია მოსახლეობა. კონკრეტულად აფხაზეთში მოქმედებს უკანონო რეჟიმი, რომელიც არის ეთნიკური წმენდისა და ადამიანების მასობრივი განადგურების ორგანიზატორი რეჟიმის მემკვიდრე და მონაწილე. ამ ტერიტორიაზე არ ვრცელდება საქართველოს თუნდაც ფაქტობრივი რეჟიმის იურისდიქცია. დღესაც უხეშად ირღვევა ადამიანის ელემენტარული უფლებები. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში შეუძლებელია, ვისაუბროთ ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოხატვის შესაძლებლობაზე. ამა თუ იმ ობიექტური, თუ სუბიექტური მიზეზებით არჩევნებში მონაწილეობის შეუძლებლობა სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ საარჩევნო უფლება წავართვათ დანარჩენ მოსახლეობას. ანუ, თუ იქ არ შეუძლია კაცს არჩევნებში მონაწილეობის მიღება, მაშინ რა დააშავა, როგორც იქ მაცხოვრებელმა და იქედან დევნილმა მოსახლეობის უმრავლესობამ?! ამდაგვარადვე შეგვიძლია განვიხილოთ სამშობლოდან გადახვეწილი ემიგრანტები, რომელთაც, ვფიქრობთ, კანონიერმა მთავრობამ შესაბამისი, მისივე მიღებული კანონით, უნდა მიანიჭოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის სტატუსი. ამ ყოველივეს კი მივყევართ ლეგიტიმური ხელისუფლების სრულ აღდგენამდე და ახალი კანონიერი ხელისუფლების არჩევნებამდე, საჭიროების სემთხვევაში რეფერენდუმის მოწყობამდე და კანონიერად, საერთაშორისო დონეზეც ქვეყნის ლეგიტიმურობის აღდგენა-აღორძინებამდე.

კერძოდ, აფხაზეთის დაბრუნებისა და აფხაზეთში დაბრუნების სუბიექტი აფხაზეთიდან დევნილი საქართველოსა და მთელს მსოფლიოში გადახვეწილი უმრავლესი მოსახლეობაა.

საკუთარი ინტერესების დასაცავად და უკან დასაბრუნებლად მათ სამართლებრივი, კანონიერი და კონსტიტუციური წარმომადგენლობითი ორგანოები სჭირდებათ, რომლებმაც საქართველოს რესპუბლიკის კანონიერ ხელისუფლებასთან ერთად, უნდა დაიცვან მათი შელახული უფლებები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ასეთი ორგანოები კი უნდა იყვნენ სამართლებრივი და კანონიერი კონსტიტუციის სახელმწიფოებრივი სტატუსის მატარებელი და არჩევითობის შემთხვევაში არჩევითი. ისინი უნდა გახდნენ ქმედუნარიანი, მოქმედი, ახალი ძალებითა და საზოგადოებისაგან უფლებამოსილების მატარებელი ადამიანებისაგან დაკომპლექტებული.ანალოგიურად, ოდნავ განსხვავებულად (რამეთუ აჭარა ოკუპირებულია პუტჩის მემკვიდრეთა მიერ ქვეყნის გარეშე ძალების ჩუმი თანხმობითა და უმოქმედობით), სამართლებრივად, კანონიერად და კონსტიტუციურად უნდა აღსდგეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონიერი წარმომადგენლობითი ორგანოების ფუნქციებიც.

ყოველივეს კი ხელს უნდა უწყობდეს ლეგიტიმური, სამართალმემკვიდრე, კანონიერი დევნილი ხელისუფლების კანონიერი, კონსტიტუციური და სამართლებრივი წარმომადგენლობა - საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

საერთაშორისო სამართალი და ადამიანთა უფლებების საერთაშორისო დეკლარაცია კონკრეტულ განმარტებას აძლევს ლეგიტიმურ ხელისუფლებას: ლეგიტიმურია ხელისუფლება, თუ მას აქვს ხალხის ნდობის სამართლებრივი და კანონიერი მანდატი, ანუ თუ იგი გამოხატავს თავისი ერის კანონიერ ნებას.

ყველა დროში ასე აღიქმებოდა იგი.

ერის ნების წინააღმდეგ დაამხეს საქართველოს ისტორიულად მეორე, სამართლებრივად, კანონიერად, საყოველთაოდ, დემოკრატიულად არჩეული ლეგიტიმური ხელისუფლება და საქართველოს წინააღმდეგ ,,შეთქმულმა ძალებმა" სისხლიანი რეჟიმის მეშვეობით ფეხქვეშ გათელეს ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების საერთაშორისო დეკლარაცია, როდესაც ქართველ ხალხს განუცხადეს, რომ სისხლიანი აჯანყების უფლებას ამ დეკლარაციის პრეამბულა უტოვებს ყველა ხალხსო. იცრუეს და ცრუობენ კაცობრიობისა და თითოეული კეთილი ნების ადამიანის მტრები, რადგან ეს დეკლარაცია სწორედ მსგავსი ვანდალიზმების პრევენციისათვის იქნა შექმნილი და იგი გვაუწყებს, რომ უკანასკნელი მეთოდი – სამოქალაქო და ეროვნული დაუმორჩილებლობა მხოლოდ ტირანიის წინააღმდეგ საბრძოლველად არის და არა – დემოკრატიულად, საყოველთაოდ არჩეული ხელისუფლების დასამხობად, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადებიდანვე დემოკრატიულად, ქართველი ერის ნებითა და საერთაშორისო სამართლის, ისტორიული სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე იბრძოდა ქვეყნის სრული თავისუფლებისათვის.

არ არის ზოგადი ცნება. ლეგიტიმური ხელისუფლება, მთავრობა კონკრეტულად არის ნამდვილი (ერის ნების გამომხატველი) რეალური ხელისუფლება და მთავრობა. ნებისმიერი ერი მხოლოდ მაშინაა თავისუფალი ერი საკუთარ მიწაზე, როცა მას ჰყავს საკუთარი ინტერესების გამომხატველი და მსახური ხელისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ერი თავად ხდება მსახური, ნიჰილისტური ფსიქო-ინტოქსიკაციითა და ტერორით იქცევა ვიტალისტურ მასად, რომელსაც არ გააჩნია ეროვნება და, აქედან გამომდინარე, არც – სამშობლო.

ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ შექმნილი სამართლებრივ-პოლიტიკური ბაზა არის ნამდვილი საშუალება და გასაღები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენადაც. ეს მომენტი უაღრესად მნიშვნელოვანია სოციალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისითაც, რადგან ამ „გასაღების", პირობითად, მოსკოვში, ვაშინგტონსა, თუ პეკინში ძებნა მიუთითებს ნიჰილისტურ მარაზმს სრული ამნეზიით, რეალობის აღქმის სრული დაკარგვითა და თვინიერობით რომ აღიწერება.

ლეგიტიმურობის „გასაღები" – დამხობილი ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ შექმნილი კოსტიტუციური და სამართლებრივ-პოლიტიკური ბაზის ამოქმედება, ერთადერთია ასევე აფხაზეთისა და შიდა ქართლის დასაბრუნებლადაც. ის საქართველოშია, მის უდიდებულესობა ხალხშია და მის ნება-გადაწყვეტილებაშია. ლეგიტიმური წყვეტის აღდგენის აუცილებელი ნიშანია არა მხოლოდ კანონიერი არჩევნების დანიშვნა, არამედ – ლეგიტიმური სამართლებრივი ბაზის ამოქმედება საქართველოს გადასარჩენად. აუცილებელია, მოხდეს სამართლებრივი, კანონიერი და კონსტიტუციური წყვეტის აღდგენა და შემდგომ ქვეყანამ უნდა აირჩიოს ახალი ლეგიტიმური ხელისუფლება. კანონიერმა ხელისუფლებამ, მთავრობამ უნდა დანიშნოს და ჩაატაროს არჩევნები. მხოლოდ ამ არჩევნების შედეგად მოსული ხელისუფლება იქნება სამართლებრივი, კანონიერი,

ლეგიტიმური, ასევე უფლებამოსილი და ვალდებულიც, რომ იხელმძღვანელებს ლეგიტიმური, სამართლებრივი ბაზით.

ამ მხრივ კი, აუცილებელია კონსტიტუციურად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივიზაცია, რათა აღსდგეს ეროვნული ცნობიერება, ქრისტიანული რწმენისა და ქართული ეროვნული იდეოლოგიის აღორძინება, ქართული სახელმწიფოებრიობა და ეროვნული ხელისუფლება. ეს კი ჩვენი სამშობლოს ბრძოლის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს. ღვთისა და მამულისათვის თავგანწირვა დღეს ერთადერთი გზაა გადარჩენისა, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგველის ეროვნული გადაგვარება და კატასტროფა.

ამრიგად, ლეგიტიმურობა აუცილებელია იყოს სამართლებრივ–კანონიერი, ანუ რაციონალური. მთავარი ამოცანაა სამართლებრივი, კანონიერი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, რომელიც, თავის მხრივ, უპირისპირდება ტოტალიტარულ, ავტორიტარულ სახელმწიფოებს.

წარმოდგენილი ახლებური კონცეპტუალური მიდგომის ერთ-ერთი აუცილებელი გამოვლენაა, საჭიროებისამებრ, საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდიზაციის მეტ-ნაკლებად ოპტიმალური სქემის ფორმირებაც: რა შეიძლება ავირჩიოთ ძირითად კრიტერიუმად, ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის პროცესის შინაგანი ეტაპების კლასიფიკაციის სისტემად ამ სფეროში, სადაც ძირითად ორიენტირს უნდა წარმოადგენდეს ქართული ეროვნული იდეა – საქართველოს სუვერენიტეტისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეა. ამ იდეის მატარებელი ადამიანები თუ სოციალური ჯგუფები უნდა წარმოადგენდნენ საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის სუბიექტს. ეს სუბიექტი, ცხადია, ყოველთვის იყო გარკვეული ერთობა, გარკვეული ეროვნული მოთხოვნილებებისა და ინტერესების მქონე ადამიანთა აპოლიტიკური დასი. ამასთან, ეს კოლექტიური და იერარქიზებული სუბიექტი, არსებული კრიზისული სიტუაციების პერიოდული ცვალებადობის კვალად, თვითონაც იცვლებოდა რაოდენობრივადაც და ხარისხითაც, განიცდიდა ევოლუციას. სწორედ ამ ევოლუციის ცალკეული ფაზების კონტექსტშია მიზანშეწონილი ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპობრივი დიფერენციაცია. ეროვნული მოძრაობის სუბიექტის შინაგანი დინამიკაა სწორედ ამ უაღრესად ღირებული და პროგრესული პოლიტიკური პროცესის პერიოდიზაციის განმსაზღვრელი ფაქტორი და მისი იმანენტური თვისობრიობისა და ორგანიზაციის ფორმების პოლიტოლოგიური ანალიზისათვის მეცნიერული ბერკეტი.

შესაძლოა, ისტორიის ამ ფაზაზეც, როცა კვლავ არსებობს და საგრძნობლად გაღრმავდა მმართველი უკანონო რეჟიმის დელეგიტიმაციის პროცესი, საქართველოში კვლავ დღის წესრიგში დადგეს გაქტობრივად თავისებური ორხელისუფლებიანობის სიტუაციის წარმოშობა. სახელისუფლო, თუ ოპოზიციური სტრუქტურებისა და ფრთების პოლიტიკური პოტენციიის გამოფიტვისა და მათი მზარდი დეზორიენტაციის პარალელურად, სულ უფრო გაიზრდება სამართლებრივი ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ავტორიტეტი და პოლიტიკური რესურსები. მიუხედავად იმისა, რომ პარადიგმამ „ჩვენ და ისინი” მიიღო ტოტალური ხასიათი, საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელმა მოძრაობამ შეძლო იმ ძალების ბლოკირება და ფაქტობრივი იზოლაცია, რომლებიც ამუხრუჭებდნენ ეროვნული იდეის რეალიზაციის პროცესს. ორხელისუფლებიანობის რეჟიმის დამკვიდრებას, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს იმპერიულ ცენტრში მიმდინარე პროცესებიც. საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობაში ინტეგრირებულმა ძალებმა იმპერიულ ცენტრთან და მის ადგილობრივ ადმინისტრაციასთან ბრძოლის თავისებური, ფრთხილი სინთეზური ტაქტიკაც შეიძლება აირჩიოს ასევე ტაქტიკური ბრძოლის ორიენტირად. ამ ტაქტიკაში ერთმანეთს უნდა შეერწყას, როგორც სამოქალაქო და ეროვნული დაუმორჩილებლობის კურსი, ისე წმინდა პოლიტიკურ-პრაგმატული თვალსაზრისით აუცილებელი მოლაპარაკებებისა და იძულებითი კონტაქტების (მაგრამ არა კაპიტულაციებისა და კომპრომისების) კურსი, რის საფუძველზეც რეჟიმის მიერ თავისივე განვლილი პერიოდის უკანონობა უნდა დაფიქსირდეს თავიანთივე გადაწყვეტილებით. შემდგომ კი ერთობლივი შეთანხმებით, უშუალოდ კანონიერი ხელისუფლების მიერ უნდა დაინიშნოს და ჩატარდეს საყოველთაო, ლეგიტიმური, მრავალპარტიული, დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნები. ცხადია, რომ ამას ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო დონეზე გლობალურმა პროცესებმაც, რისი იურიდიულ ბაზა საჭიროებისამებრ უნდა შექმნას გაეროს გენერალურმა ასამბლეამ სპეციალური დეკლარაციით, რითაც ბოლო მოეღება ე. წ. თალასოკრატიული იმპერიების არსებობას. ამ იმპერიების ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ სტრუქტურას მეტროპოლია-კოლონიის სუბორდინაციის სისტემაზე აგებული იურიდიული ხასიათი უნდა ჰქონდეს. საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უნდა განმარტოს ულტრარადიკალების მცდარი და უიდეო ტაქტიკური ჩავარდნები, რეალურად ეროვნული

ოპოზიციური სტრუქტურების კოორდინაციის გზით უნდა უნდა აიღოს პოლიტიკური ინიციატივა ეროვნული იდეისა და ლეგიტიმიზაციის ფაზის განხორციელებისათვის, ამ ახალ ეტაპზე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავისებურებები ისაა, რომ იგი ამიერიდან სათავეში უნდა ჩაუდგეს დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ ბრძოლას, რამდენადაც მას ენიჭება დუალისტური ფუნქცია – ის, თავის კანონიერ და სამართლებრივ სტრუქტურებთან (ინსტიტუციებთან) ერთად, წარმოადგენს, როგორც ლეგიტიმურ ხელისუფლებას, ასევე ეროვნული მოძრაობის წარმმართველ ცენტრსაც, ეროვნული დაუმორჩილებლობის მთავარ იურიდიულ ინსტიტუტს.

ამდენად, აუცილებელია დაიწყოს საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ლეგიტიმიზაციის, სამართლებრივი განსახელმწიფოებრივობის ახალი ეტაპი, რადგანაც საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა კონსტიტუციურად თავად წარმოადგენს სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეროვნულ ხელისუფლებას, ქვეყნის პოლიტიკური სივრცის იურისდიქციის სუბიექტს. რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია, რატომ უნდა უწოდონ არსებული სამართლებრივი და კანონიერი კონსტიტუციური სისტემის ფარგლებში და საარჩევნო კანონმდებლობის ბაზაზე განხორციელებულ პოლიტიკურ ცვლილებას გადატრიალება, ან ე. წ. ,,რევოლუცია"?! ამ მოვლენისათვის შეიძლება მშვიდობიანი, სამართლებრივი, კანონიერი სახელმწიფო კონსტიტუციური წყობილების აღდგენა გვეწოდებინა, რასაკვირველია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი მოხდებოდა მმართველ რეჟიმზე არაძალადობრივი დაუმორჩილებლობის აქციის ზეწოლის სახით და დაუმორჩილებლობის კოორდინატორი სტრუქტურა შეიძენდა საკანონმდებლო ხელისუფლების პრეროგატივებს. სამართლებრივი და კანონიერი არჩევნების გზით მოსული ლეგიტიმური ხელისუფლება უნდა გახდეს სამართლებრივად წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირმშო, საერთო-ეროვნული სუვერენიტეტის განსახიერება და არა – სახელმწიფო გადატრიალების პროდუქტი.

საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენების მიზიდულობის ცენტრი უდავოდ სამართლებრივი, კანონიერი და ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის იდეა უნდა იყოს და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების კონტექსტში უნდა გავიაზროთ. ეროვნულ-პოლიტიკური თვითიდენტიფიკაციაში უნდა დავინახოთ ამ მოვლენის არსი და იმპერიალისტურმა ნომენკლატურულმა ფაქტობრივმა რეჟიმმა სწორედ რომ ვერ უნდა გაუწიოს რეალური წინააღმდეგობა სამართლებრივი, კანონიერი, ეროვნული ძალების ხელისუფლების სათავეში დაბრუნების პროცესს, რამეთუ პოლიტიკური ტრანსფორმაციის შეფასება კომპლექსურ-ინდუქციური პოლიტიკური ანალიზის საფუძველზე გაცილებით მართებული, ობიექტური იქნება და უნდა შეფასდეს შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთიან სისტემაში და არა – მათგან იზოლირებულად და განყენებულად.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა, როგორც ადრე დაუპირისპირდა, შეიძლება კვლავ დაუპირისპირდეს მსოფლიო იმპერიალისტურ ძალებს. ისტორიულადაც ხომ ამ ბრძოლებში, ეროვნული იდეალებითა და პოლიტიკური გამოცდილებით იკვებებოდა XIX საუკუნის დასაწყისის მონარქისტულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, XIX საუკუნის II ნახევრის ლიბერალურ-დემოკრატიული მოძრაობა (,,ილიას დასი”), ასევე 1918-1921 წლების საქართველოს პირველი რესპუბლიკაც. ამდენად, ეს იყო და არის სერიოზული ეტაპი ჩვენი ქვეყნის ეროვნული აღორძინების გზაზე. თვით აღორძინების არსი, უპირველეს ყოვლისა, არის ეროვნული ისტორიის ღრმა სულიერი გააზრება, ისტორიული ეროვნული თვითშემეცნების აღდგენა, იმპერიათა ექსპანსიამდე არსებული ტრადიციებისაკენ მიბრუნება. აღორძინება ხომ თავადვე მოიაზრება, როგორც მთელი ერის მობილიზაცია სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოპოვებისათვის საბრძოლველად, როგორც მთელი მამულის კონცენტრაცია ეროვნული იდეის ბაზაზე.

კიდევ ერთი ფუძემდებლური მომენტი: ქართული მართლმადიდებელი ეკლესია აუცილებლად უნდა დადგეს ერის გვერდით. მან მთელი თავისი სულიერ-ზნეობრივი ძლიერებით უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს საერთო-ეროვნული აღორძინების პროცესში, რითაც უნდა გამოიკვეთოს ჩვენს ეპოქაში შექმნილი სულიერი ვაკუუმის ქრისტიანული რწმენით შევსების ტენდენცია.

„იბერია – საქართველო გაბრწყინდება!" – ქართული სახელმწიფოებრიობის ფაქტობრივად ერთადერთი ,,პოლიტიკური დოქტრინაა'', რომელიც პოლიტიკური მართლმადიდებლობისა და ქართული ეროვნულობის ჰიბრიდმა წარმოშვა და უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაში დომინირებს.

რადგანაც ამ ხნის მანძილზე საქართველოში მოქმედ არცერთ ფაქტობრივ სახელისუფლებო, თუ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას რეალობასთან მიახლოებული ქართული სახელმწიფოებრიობის არანაირი კონცეფცია არ შეუქმნია, ეს ფორმულა ერთადერთი

პოლიტიკური რეალობის განსახიერებად იქცა. საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის შინაგანი დინამიკა უნდა იყოს ,,ახალი მსოფლიო წესრიგის" არქიტექტონიკაში კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცისა და მისი ღერძული სახელმწიფოს – საქართველოს სუვერენობის საკითხის უცილობელი ჩასმა და აღდგენა და იმ ბარბაროსული კოსმოპოლიტური ოკეანედან გამოსვლა, სადაც პოსტინდუსტრიული ცივილიზაციის გენეზისის ეპოქაში ქართული ეროვნულობა შთაინთქა იმპერიალისტური ძალების დროებითი გარიგებებით.

უნდა გვახსოვდეს ასევე, რომ მთავარი არგუმენტი და უმოკლესი გზა მთელი კავკასიის რეკოლონიზაციისაკენ, დამოუკიდებელი და თავისუფალი კავკასიის, როგორც მსოფლიო ახალი რეგიონის ჩამოყალიბებისაკენ, საქართველოს სამართლებრივ და კანონიერ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე გადის.

თუ ჩვენ ერთ მთლიანობაში გავიაზრებთ ისტორიულ, ეროვნულ და მართლმადიდებელ–ქრისტიანულ ტრადიციებს, მხოლოდ მაშინ აღმოვაჩენთ ეროვნული ღირებულებების ჭეშმარიტ ფასეულობათა სამართლებრივ სისტემას.

ვისაც სჯერა - დაიჯეროს, ვისაც არა – არა, მაგრამ შემთხვევითი როდია წინასწარმეტყველება: „კაცობრიობის ხსნა იბერიიდან მოვა", იბერია კი ოდითგან საქართველოს სახელია. გამგებელნი სახელმწიფოს ბედისანი აცხადებენ, რომ ერი პოლიტიკისათვის არის ქვეყანაზე გაჩენილიო, სახელმწიფოს გულშემატკივარნი, ერის მოყვარენი კი პასუხად მიუგებენ – პოლიტიკაა ერისათვის გაჩენილი და არა ერი – პოლიტიკისათვისაო.

ჩვენ ჩვენი ვიმეცადინოთ, ჩვენი ქვეყნისათვის ვიზრუნოთ, მისი მდგომარეობა ვაუმჯობესოთ, და მაშინ, თუ ვინმე მოინდომებს ჩვენს დახმარებას და ხელის მომართვას, ხომ უკეთესი და თუ არ მოინდომებს, ის ჩვენი ნაშრომი და შენაძენი ხომ ხელიდან მაინც არ წაგვივა და ისევ ჩვენ დაგვრჩება.

ყოველთვის არიან ადამიანები, რომლებსაც მზერა უჭრით გაცილებით უფრო შორს, ვიდრე საზოგადოებას ზოგადად და ამ საზოგადოების ყველაზე განათლებული ნაწილსაც კი. ასეთი ადამიანები ხედავენ საშიშროებას მაშინაც კი, როდესაც საზოგადოების დიდი უმრავლესობა აღტაცებული და ეგზალტირებულია.

სიცოცხლისათვის, არსებობისათვის, გადარჩენისათვის, სიყვარულისათვის, მემკვიდრეობის დატოვება–გაგრძელებისათვის, სწავლისა და ზრდა-განვითარებისათვის ბრძოლამ დღეს მოითხოვა ადამიანის ახალი პარადიგმის აუცილებლობის შეჰქმნა: გულისხმიერად მოქცევა, შემოქმედებითად გამოყენება და საზოგადოებისათვის პატიოსანი სამსახური დადგა დღის წესრიგში. ადამიანმა უნდა გააკეთოს არჩევანი დაბალი იერარქიიდან მაღლისაკენ: წინააღმდეგობა-აჯანყებიდან, ბოროტი დამორჩილებიდან და საკუთარი სურვილის დათმობიდან ხალისიან თანამშრომლობამდე, გულსავსე ვალდებულებამდე და შემოქმედებით აღტკინებამდე.

ასევე გვსურს, ერთ დეტალზე გავამახვილო ქართული ინტელიგენციის ყურადღება: მოგეხსენებათ, კანონიერი ხელისუფლების დამხობის დღიდან საქართველო უმძიმესი ტერორის ქვეშ იმყოფება. ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ამ ტერორისა არის ომი ყოველგვარი ინტელექტუალურის, ანუ გონიერების წინააღმდეგ, მისი განადგურების მიზნით, რადგან მხოლოდ ეროვნული თვითშეგნების ამოძირკვით, ქართული ინტელექტის განადგურებით მიაღწევს მტერი თავის განზრახვას – აღგავოს პირისაგან მიწისა ქართველობა და მოსპოს საქართველოს სახსენებელი! სწორედ ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ერთი სტრატეგიის ფარგლებში ტაქტიკურ ლოიალობას, სრულ ინტოლერანტობას უკანონობისა და არალეგიტიმურთან მიმართებაში, მტრის გეგმის გაანალიზებასა და სწორი სამოქმედო ნაბიჯის გადადგმას. კრიტიკულმა მიდგომამ საკითხებისადმი არ უნდა გამოიწვიოს ურთიერთდაპირისპირება, რადგან ეს მხოლოდ ინტელექტის, ანუ ჭკუის ნაკლებობის მაჩვენებელი იქნება, რაც დამარცხების ტოლფასია. მხოლოდ ეროვნული, ქართული იდეა შესძლებს, გააერთიანოს ქართველი ხალხი და აღმოფხვრას დანარჩენი საზოგადოებრივი, სოციალური და ა.შ. პრობლემები. მხოლოდ ამ აზრით გაერთიანებული ადამიანები შესძლებენ ქვეყნის გამოხსნას, მხოლოდ მაშინ აღიკვეთება ცრუ თავისუფლების ინსტიტუტის ტერორი საქართველოში, თუ ქართველი ხალხის გაერთიანებას საფუძვლად დაედება სულისკვეთება, განწყობა, რწმენა და სამშობლოს სიყვარული. პერმანენტული მშვიდობიანი აქციებითა და კონკრეტული კანონიერი მოთხოვნებით შესძლებს ქართველი ერი, გაწმინდოს საქართველო და გადაარჩინოს მამული განადგურებას. დღევანდელობაში გაბატონებული ზიზღი, უნდობლობა, ურთიერთგამეტება, მასობრივი დეპრესია

ხელოვნურადაა მოხვეული ჩვენს თავს და დამღუპველია, როგორც თითოეული ქართველისათვის, ასევე ქვეყნისათვის მთლიანობაში. ამასთანავე, დავძენთ, რომ ჩვენ არ გვამოძრავებს შურისძიების გრძნობა, თუ არა ქვეყნის გადარჩენის წმიდათაწმიდა იდეა, რაც გვავალებს, მოვთხოვოთ გზააბნეულთ – ზურგი შეაქციონ მორიგ პოლიტიკურ ავანტიურას, საქართველოს განადგურებით რომ ემუქრება და აღიარონ საჯაროდ, ქართველი ერის წინაშე ჩადენილი შეცდომები. მათ, ვინც გაითავისებს კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნას, მიეცემა ტრიბუნა, 31 მარტის – თავისუფლების ტრიბუნა და შანსი საქმით გამოისყიდონ შეცდომები იმ ადამიანების გვერდით, ვისთვისაც თავისუფალი საქართველოს იდეა პირველადია და შეუცვლელი!

ჩვენს ერს, ქართველ ხალხს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ საქართველოში ლეგიტიმური ხელისუფლება შეიძლება, იყოს მხოლოდ ეროვნული ხელისუფლება და არა – ამა თუ იმ დამპყრობლის მიერ დასმული რომელიმე მარიონეტული ძალაუფლება.

ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს, ქართველი ერის მოკავშირე, მფარველი და მხსნელი უფალია და არა – რომელიმე ზესახელმწიფო. საქართველოში არსებულ ყველა ეროვნულ ძალას მოვუწოდებთ გაერთიანებას გულწრფელი, გაუსვრელი ეროვნული მოღვაწეების გარშემო, ვუსურვებთ ეროვნული მოძრაობის თანდათანობით აღორძინებას ტყვეობის ურთულეს გარემოში - რამდენადაც მხოლოდ ეროვნულ მოძრაობას შეუძლია, იხსნას ქართველი ერი, მთელი ქართველი ხალხი ტყვეობისაგან და კვლავ შექმნას ეროვნული, ლეგიტიმური ხელისუფლება – ქართველების, მთელი ქართველი ხალხის უფლებებისა და თავისუფლებების დამცველი ხელისუფლება.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ქართველ ერს ჰპირდება თავისუფლებას!

ღმერთმა დალოცოს ქართველობა!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

ნუკრი ბაღდავაძე

საქართველო, თბილისი

19. 10. 2019



გერმანიაში, გოტინგენის ბიბლიოთეკაში, ფრანგული რუქა. რუქაზე აღნიშნულია საქართველო 1920 წლის მონაცემებით.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“

წ ე რ ი ლ ი - მ ი მ ა რ თ ვ ა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს, საერთაშორისო თანამეგობრობის და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ორგანიზაციებს

გამოხმაურების, ოფიციალური მსვლელობის მხარდაჭერისა და სათანადო წარმართვისათვის

მოგესალმებით და გიდასტურებთ ქართველი ხალხის დიდ ეროვნულ აღიარებას თქვენი უმნიშვნელოვანესი მისიისას დღევანდელი კაცობრიობის ეპოქალურად საბედისწერო განსაცდელის ჟამს, გიდასტურებთ ჩვენს რწმენას, რომ კაცობრიობის სასიცოცხლო პერსპექტივაში, ამ პერსპექტივის სწორად წარმართვაში, უდიდესი როლი შეუძლია, შეასრულოს თქვენმა ძალისხმევამ.

ამ უდიდესი როლის შესრულებისათვის კი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თავად თქვენს სამოქმედო სტრატეგიას, ამასთან მსოფლიოს ხალხთა კეთილშობილი სულის-კვეთების მთელი პოტენციალის ათვისებას, რამდენადაც სწორედ ეს ინტეგრაცია და მისი ხარისხი კიდევ უფრო ნათლად წარმოსახავს თქვენს პოლიტიკურ სიღრმესა და სახეს.

სწორედ თქვენი პასუხისმგებლობა მსოფლიოს წინაშე, პლანეტარული უსაფრთხოებისა და კაცობრიობის სიცოცხლის გადარჩენის საქმეში, დღეს იმდენად მაღალ ახალეპოქალურ ხარისხშია ასული, რომ მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მსოფლიოს ახალი წესრიგის სრულიად ახალ მასშტაბს, დონეს და დღის წესრიგში აყენებს, როგორც გადაუდებელ შესასრულებელ ამოცანას.

ცივილიზაციათა ათასწლეულებგამოვლილი ქართველი ერი, ცხადია, ვერ იქნება გულგრილი მაყურებელი ვერც ამ ზოგადსაკაცობრიო პასუხისმგებლობისა და, მითუმეტეს, ვერც საკუთარი ეროვნული პერსპექტივისა, რომლის ზოგადი სამართლებრივი პრინციპებიც, დღეს, საერთაშორისო ასპარეზზე წყდება.

ვფიქრობთ, აღნიშვნის ღირსია ფაქტი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და საერთაშორისო თანამეგობრობაში გაწევრიანებისათვის სწრაფვა ქართული საზოგადოებრიობის ეროვნულმა სულისკვეთებამ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს გამოხატა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი ერთგვარი საყვედურის წერილით. საყვედურის შინაარსი მდგომარეობდა იმაში, რომ ცივილიზაციათა ათასწლეულებ-გამოვლილ ქართველ ერს, რომელსაც თავისი ეროვნული ინდივიდუალობა მკაცრად ჰქონდა დაცული, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა, რადგან მას არ ჰქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა და სახელმწიფოთა გარკვეული იდეოლოგიური კავშირის, ანუ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა (იხ. ქართულენოვანი ჟურნალი:“სახელმწიფო და სამართალი“, რედაქტორი პროფ, თედო ნინიძე, 1990 წელი, #2).

მთელს საბჭოთა სივრცეში, ჰელსინკის 1975 წლის დეკლარაციაზე აღმოცენებულ დისიდენტურ მოძრაობებში ჩართულმა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად გარდასახულმა, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მოპოვებისას, უკვე საქართველოს ოფიციალური პოლიტიკური ორგანიზაციის მთავარი მიზანდასახულების სახით ჩამოყალიბებულმა - „საქართველოს ჰელსინკის კავშირმა“ სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ერთად, ჯერ კიდევ 1989 წლის 25 თებერვალს მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დეკლარაციით: „საქართველოს ერთიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლობას გააჩნია ისტორიული, იურიდიული, პოლიტიკური და მორალურ-სამართლებრივი საფუძველი, მოითხოვოს საქართველოს

ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. საქართველოს მომავალი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, შეიყვანს თუ არა მას დემოკრატიული სამყარო მსოფლიო პოლიტიკის არეალში, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს?!"

მრავალჯერადად აღსანიშნავია, რომ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" არის თანამოაზრეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება, საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოში 1976 წელს შექმნილი ,,ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის" ხელშემწყობი ჯგუფის, შემდგომ „საქართველოს ჰელსინკის კავშირისა" და მოგვიანებით მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნის შედეგად ჩამოყალიბებული „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" - დღესდღეისობით ლეგიტიმური ხელისუფლების ერთადერთი შემორჩენილი სამართალმემკვიდრე, საქმიანობისა და ტრადიციების გამგრძელებელი ორგანიზაცია, სამართლებრივი სტატუსის მქონე იურიდიული სუბიექტი და ინსტიტუცია.

კავშირის საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებს წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა. კავშირი მიიჩნევს, რომ ამ პრინციპებიდან გამომდინარე ადამიანის ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება წარმოადგენს ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფის, მისი კანონიერი რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის საძირკველს.

კავშირი პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს უჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას.

კავშირი იბრძვის ადამიანის უფლებების დარღვევის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ, საქართველოს სახელისუფლებო კანონიერებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის, საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კატასტროფის წინააღმდეგ, დემოგრაფიული ექსპანსიის შესაჩერებლად, ეროვნული თანხმობისა და ერთიანობისათვის, რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი ყველა ის ძირითადი უფლებანი, რომლებიც განსაზღვრულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით.

კავშირი 1976 წლიდან არის `საერთაშორისო ამნისტიის" (ცენტრი-ლონდონში) წევრი, 1990 წლის 22 სექტემბრიდან არის `ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშირისო ასოციაციის" (IGFM-ISHR, მაინის ფრანსკფურტი) ასოცირებული წევრი.

`საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" მჭიდროდ თანამშრომლობდა და კვლავაც სურს გააფართოვოს ურთიერთობები აშშ-ს სამართალდამცავ ორგანიზაცია `ჰიუმან რაითს ვოთჩთან", რუსეთის საზოგადოება `მემორიალთან", დიდი ბრიტანეთისა და ფინეთის ჰელსინკის ჯგუფებთან, ფინეთის პარლამენტის ე. წ. `საქართველოს ჯგუფთან", პატიმართა უფლებების დამცავ ორგანიზაცია `საერთაშირისო ამნისტიასთან" (ინგლისი) და ა.შ.

ყოველივე ეს და არაერთი სხვა მასალა თვალნათლივ ადასტურებს კავშირის საერთაშორისო სტატუსსა და ავტორიტეტს.

საქართველოში, 1991 წლის 31 მარტს ჩატარებულ რეფერენდუმში: „ეთანხმებით თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?" ამომრჩეველთა 89,9%-მა მისცა ხმა საქართველოს დამოუკიდებლობას, ამასთან დამოუკიდებლობის აღდგენის ამ წესითა და ფორმით.

საქართველოში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები იმავე დღეს ცნო ლეგიტიმიურად ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა. ამავე, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს განხორციელდა ოფიციალური გამოცხადება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველივე სესიაზე. საერთაშორისო საზოგადოებამ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივობა აღიარა, სწორედ ამ რეფერენდუმის შედეგებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის მიღების საფუძველზე.

თუ გულახდილები ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ თქვენს წინაშე ის სიმართლეც, რომელიც „საქართველოს ჰელსინკის კავშირისათვის" დაფარული და მიუწვდომელი არ არის, ხოლო ქართველი ხალხისთვის, სამწუხაროდ, დღემდე გაურკვეველია მისი ქვეყნის, საქართველოს გაეროში გაწევრიანების პროცედურა, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან ოფიციალურად გამოსულმა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის სტატუსით უფლებამოსილმა საქართველომ, მისი პირველი პრეზიდენტის, ზ ვ ი ა დ

გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა ს მეშვეობით, უკვე სუვერენულ სახელმწიფოებად გარდასახული ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ყველა დანარჩენ ხელმძღვანელებთან ერთად, სათანადო დოკუმენტაციის წარდგინებით, ოფიციალურად მოითხოვა, საქართველოს გაწევრიანება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მოითხოვა მაშინვე, როგორც კი 1991 წლის 31 მარტის სახალხო რაფერენდუმის შედეგად, ისტორიული დოკუმენტით დაადასტურა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა იყო არა მხოლოდ საქართველოს დისიდენტური მოძრაობის მიზანი, არამედ ნება და სურვილი მთელი ქართველი ხალხის.

მოითხოვა, მოიპოვა და დაკარგა.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირისათვის“ ცნობილია, როგორ მოიპოვა და როგორ დაკარგა მტრულად შემართული მსოფლიოს საიდუმლო ძალებითა და საიდუმლო მეთოდებით, რევოლუციებისა და სახელმწიფო გადატრიალებების სპეციალისტთა მიერ შემუშავებული პროექტებით.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების: „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ (შემოკლებით „საქართველოს ჰელსინკის კავშირი“) წარმომადგენელთათვის ცნობილი გახლავთ, ის, რაც ფართო საზოგადოებრიობისათვის დღესაც მიუწვდომელია. მოპოვებული საარქივო წყაროებით დასტურდება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ბატონ ზ ვ ი ა დ გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა ს მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარგზავნილი, საქართველოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის ოფიციალური დოკუმენტაცია. ცნობილი გახლავთ ისიც, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური წესრიგით იქნა განხილული და რომ ეს განხილვა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის მიერ წარგზავნილი დოკუმენტაციისა, შესდგა უკვე 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის დღეებში, საქართველოში მიმდინარე სახელმწიფო გადატრიალების პროცესების პარალელურ რეჟიმში. გაცნობიერებული გახლავთ ისიც, რომ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ, იყო შედეგი საერთაშორისო ფარული შეთქმულებისა, რომელიც, მათი აზრით, მსოფლიოს პოლიტიკური დინების საწინააღმდეგოდ მიემართებოდა. გაცნობიერებული გახლავთ ისიც, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების მოთხოვნისათვის ოფიციალური დოკუმენტაცია გაიგზავნა მანამ, სანამ საქართველოში, სახელმწიფო გადატრიალების პროცესები წარმოჩინდებოდა. როგორც კი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ბატონმა ზ ვ ი ა დ გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა მ 1991 წლის 31 მარტის სახალხო რეფერენდუმით შექმნა ისტორიული დოკუმენტი და დაადასტურა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა იყო არა მხოლოდ დისიდენტური მოძრაობის მიზანი, არამედ ნება და სურვილი მთელი ქართველი ხალხისა და მსოფლიო საზოგადოებრიობამ აღიარა რეფერენდუმის შედეგები. ამასთან, მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის დაშლის მოტივით მთელი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლობამ მიიღო უფლება ამავე მოთხოვნის წარდგინებისა და მაშინვე წარგზავნილ იქნა მთელი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკების დოკუმენტაციებიც.

საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისათვის, ცხადია, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მის გაწევრიანებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სწორედ ყველასაგან განსხვავებული სტატუსის გამო (რეფერენდომის შედეგად მიღებული საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის თანახმად).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ წარმომადგენლთათვის ცნობილია ისიც, რომ ზვიად გამსახურდიას მიერ წარდგენილი დოკუმეტაცია საქართველოს გაწევრიანებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ერთხმად იქნა მოწონებული და მხარდაჭერილი, რამეთუ, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანებისათვის წარგზავნილი დოკუმენტაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის აღმოჩნდა ყველა სხვა რესპუბლიკის დოკუმენტაციაზე უფრო უკეთ მომზადებული და ხაზგასმით მოწონებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კრიტერიუმებისათვის.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი დიდი მხარდაჭერისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელი ასამბლეის მხრიდან, მოხდა სასწაული: საქართველოს გაწევრიანების საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აღმოჩნდა ხელახალი განხილვის საგანი. ცხადია, ჩნდება კითხვა: სწორედ იმ დროს, როცა საქართველოს გაწევრიანება და გაეროს მხარდაჭერა ასე ჰაერივით ესაჭიროებოდა სახელმწიფოს,

ვის შეეძლო და ვის აინტერესებდა მისი გაეროში გაწევრიანების აქტი ექცია აუცილებელი გადამოწმებისა და ხელახალი განხილვის საგნად?!

სამწუხაროდ, საქართველოს საკითხი ხელახლა განხილვას დაექვემდებარა, რომელშიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და ამ გზით ჯერ ისევ გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი, ბატონი ე დ უ ა რ დ შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე და მისი „მშობლიური ქვეყანა - საბჭოთა კავშირი“ აღმოჩნდა უფლებამოსილი და თავგანწირული მსურველი ვეტო დაედო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ უკვე პირველივე განხილვის გადაწყვეტილებით აღიარებული საქართველოს წევრობისათვის. მიზანი ამ თავგანწირვისა, ცხადია, ნათელზე ნათელია: საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლებისათვის, ბატონ შევარდნაძეს, საქართველოს მიერ მოპოვებული გაეროს წევრობის წაშლით უნდა აღეკვეთა შესაძლებლობა საქართველოს ხელისუფლების საერთაშორისო მხარდაჭერისა და ნებისმიერი დახმარებისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხრიდან. სწორედ შევარდნაძის ვეტოთი აღმოჩნდა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებაც და თავად დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმურად არჩეული უკანასკნელი პრეზიდენტიც სრულიად დაუცველი, რადგან შევარდნაძის ვეტოდადებული საქართველო აღმოჩნდა ყოველგვარი ვინაობის გარეშე: იგი აღარ იყო აღარც საბჭოთა რესპუბლიკა, აღარც გაეროს წევრი ქვეყანა და საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. დღემდე შეუფასებელია საქართველოში განხორციელებული სახელმწოფო გადატრიალების დანაშაულებრივი მახასიათებლები. როგორც ცნობილია, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ლიდერობით წარმართული XX საუკუნის მეორე ნახევრის დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით მოპოვებული დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ძალაუფლება, მსოფლიოს ფარული ძალების მხარდაჭერით, ხელში აიღო „მსოფლიოს წესრიგის“ ერთ-ერთი არქიტექტორის სტატუსით მოვლენილმა საბჭოთა საქართველოს მთავრობის ყოფილმა ხელმძღვანელმა და საბჭოთა კავშირის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა - ედუარდ შევარდნაძემ. საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მმართველობაში დარული და ზოგჯერ ღია მხარდაჭერით მოდის პიროვნება, რომელიც საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას ხელმძღვანელობს ყველა უღირსი მექანიზმის გამოყენებით. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არც გაეროს მიერ და არც სხვა რომელიმე დონეზე არ მისცემია საუკუნის ამ დანაშაულს ჯეროვანი შეფასება.

დღეს, როდესაც საქართველოში ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებაზე მიუღწეველია იურიდიული პასუხის დოკუმენტირება, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ზვიად გამსახურდიას გაედაცვალების საკითხი მიზანდასახულია, როგორც ეროვნული იდეოლოგიის აღკვეთა, ეს აღკვეთა იწყება მერაბ კოსტავას მკვლელობით და სრულდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთიანი მმართველი ძალის თავიდან მოშორებით.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“, როგორც საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი პრეზიდენტის - ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოში 1976 წელს შექმნილი ,,ჰელსინკის ხელშეკრულებებისათვის“ ხელშემწყობი ჯგუფის სამართალმემკვიდრე და საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი, სამართლებრივი მმართველი პოლიტიკური ორგანიზაცია, კონსტიტუციურად კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრე და იურიდიულ-სამართლებრივი ერთადერთი შემორჩენილი სუბიექტი, თავის ტრადიციულ ჟურნალში „მატიანე“-ში აქვეყნებს უნიკალური მნიშვნელობის წერილს, რომლითაც ამხელს საქართველოში მიმდინარე სახელმწიფო გადატრიალების მთელ სიღრმეს და კავშირს იმ ძალასთან, რომლის წარმომადგენელია ედუარდ შევარდნაძე, ინიციატორი და განმახორციელებელი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეროვნული იდეოლოგიის შეცვლისა და სახელმწიფოს გაუკუღმართოებისა.

ვფიქრობთ, აღნიშნული ფაქტები საკმარისად აშუქებენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის ბრძოლის ორ უმნიშვნელოვანეს ეტაპს:

1) „ჰელსინკის 1975 წლის დეკლარაციაზე“ აღმოცენებული დისიდენტური მოძრაობისას, დაგვირგვინებულს ქართველი ხალხის მონოლითური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით მოპოვებული სახელმწიფო დამოუკიდებლობითა და სახელმწიფო ძალაუფლების მფლობელად ეროვნული ხელისუფლების რამდენიმეთვიანი მოყვანით;

2) ეროვნული ხელისუფლების შეცვლას დღემდე გაუანალიზებელი და შეუფასებელი სახელმწიფო გადატრიალების გზით, თავსმოხვეული უცხო იდეოლოგიითა და მმართველობით.

უკვე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის გააზრებული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები აღიქმებიან როგორც მსოფლიოს ახალი წესრიგის ვითომხელისშემშლელნი და ყველაფერი კეთდება მათი აცილებისა და დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო მმართველობაში ჩანაცვლებისათვის.

სრული სიმკვეთრით შეიძლება განვაცხადოთ, რომ საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების გზით, განხორციელდა არა მხოლოდ ეროვნული ხელისუფლების საკადრო, ანუ პიროვნული შეცვლა, არამედ ეროვნული ხელისუფლების მისადაგისი ეროვნულ-მსოფლმხედველობრივი იდეოლოგიის ალტერნატიული იდეოლოგიური თეორიით შეცვლა, რითაც განხორციელდა არა მხოლოდ ეროვნული ხელისუფლების განდევნა საქართველოდან, არამედ განდევნა ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიისა, ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული ღირებულებებისა.

სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსულმა შევარდნაძემ სახელმწიფო აზროვნების ასპარეზიდან, ელვის სისწრაფით, ეროვნულ იდეოლოგიასთან ერთად, გააძევა „ჰელსინკის დეკლარაციაც, რადგან ჰელსინკის დეკლარაციით სახელმწიფო დამოუკიდებლობის იდეა და მისი განხორციელების მიზანდასახულობა განუყრელად იყო დაკავშირებული ხალხისა, თუ ერების თვითმყოფადობადი განვითარების იდეასთან.

1991-1993 წლების შეიარაღებულმა სამხედრო-კრიმინალურმა, სახელმწიფო გადატრიალებამ საფუძველი დაუდო ტოტალურ უკანონობას, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მასობრივ დარღვევებს, დაამკვიდრა რა ძალმომრეობის კულტი, მოსახლეობის ნაწილში დაამდაბლა სამართალშეგნება, ან სულაც უარი ათქმევინა მას კანონის უზენაესობის პრინციპზე. ამან კი თავისთავად დააბრკოლა საქართველოში სამართლიანობის, დემოკრატიისა და თავისუფლების განმტკიცება, ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაძლიერება და, ამასთან, ქვეყნის საკაცობრიო განვითარებაც. ცხადია, შექმნილმა ვითარებამ განსაზღვრა თავისუფლებისა და დემოკრატიის საფუძვლად ძალადობის მიჩნევა, რამაც მრავალ უკიდურესობას მისცა გასაქანი.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის საკითხი დღეს გლობალური პრობლემაა. დღეს, აშკარად ვხვდებით უფლებათა გაუგონარ დარღვევებს, უფლებებისა, რომელსაც ხელყოფენ, როგორც სახელმწიფოთა მთავრობები, ასევე, ის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც უფლებათა დაცვის ეგიდით სარგებლობენ. „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“ ფიქრობს, რომ ფორმალიზმი, ან თუნდაც ზერელე დამოკიდებულება დამღუპველად მოქმედებს უფლებათა დაცვის ჭეშმარიტი განხორციელების იდეაზე.

თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში დამკვიდრდა ცალსახა შეხედულებები, არსებობს ერთი მიმართულება, რომელიც საიდან მოდის არავინ იცის, მაგრამ ყველანი ჯარისკაცებივით მიჰყვებიან მას. ასეთი მიდგომა მსოფლიო მომავლის გადაწყვეტაში მცდარია და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევასაც ამ წესითა და რიგით გამართული პროგრამით ეცლება საფუძველი.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“ გამოდის ინიციატივით დროზე მოვეგოთ გონს, დრო შეჩერებისა, მაგრამ როგორ? - ამისათვის „ჰელსინკის“ სახელით შექმნილმა და ადამიანის უფლებათა დაცვის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, უპირველესად, უნდა აღიაროს საერთაშორისო დონეზე შექმნილი პარანორმალური სიტუაცია უფლებათა დაცვის საერთაშორისო ნორმებში და შეთანხმდეს ურთიერთობის გაგრძელებაზე საერთაშორისო სტანდარტებით, რომელშიც აუცილებელია თანამედროვე ეპოქის ზოგადსაკაცობრიო დონის გათვალისწინებით ცვლილებათა შეტანა, რაშიც უნდა მოიაზრებოდეს სახელმწიფოთა სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ინდივიდუალური, ეპოქალური თავისებურებები. მიგვაჩნია,რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებში ცვლილებებითთ უნდა დაიწყოს გარდატეხა ამ სფეროში.ცვლილებები უნდა შეეხოს ყველა მუხლს, იმ თვალსაზრისით,რასაც ჰქვია რეალობისთვის ჯანმრთელი აზროვნებით თვალის გასწორება.ანუ ყველა და ყველაფერი საზოგადოების სხვადასხვა ფენის ყოველდღიური საყოველთაო ინტერესების დაცვას უნდა ემსახურებოდეს.

საკმაო დაგვიანებით, მაგრამ მაინც შესაფერისი ახალი გარემოებებისა და პოლიტიკურ - პროცესუალური ფონის მოძიებით, დღის წესრიგში კვლავ დადგა 1975 წლის ჰელსინკის დეკლარაციაზე ხელმომწერი სახელმწიფოების პასუხისმგებლობის საკითხი, რაც

უსათუოდ უნდა იქცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან სერიოზული განხილვისა და შეფასების პრობლემად. ასეთ ვითარებაში, რათქმაუნდა, დღის წესრიგში დგება თავად მსოფლიო თანამეგობრობის საერთაშორისო ორგანიზაციების ხედვის საკითხი კაცობრიობის მომავალზე, როგორც მთელზე და როგორც მისი შემადგენელი ხალხის, ქვეყნების და სახელმწიფოების სტრუქ-ტურულ რაობებზე.

დღის წესრიგში დგება ცალკეული ქვეყნის თვითმყოფადობისა და თვით-მმართველობის უკეთ განხორციელების საკითხი.

მავანთა და მავანთ შეუძლიათ მაინც საკითხი ამგვარად დააყენონ: რისთვის იყო საჭირო „1975 წლის ჰელსიკის დეკლარაციის“ შექმნა, თუ კი მისი გარანტიები ერთა თვიმყოფადობის განვითარებას არ მოემსახურებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის გზით?!

და, მაშინ, პასუხი პირდაპირ პროცესუალურ რეალობაში დევს: „ჰელსინკის დეკლარაცია“ საჭირო ყოფილა მხოლოდ მსოფლიოს ახალი წესრიგის დამყარების იმ მონაკვეთისათვის, რომელსაც უნდა დაეშალა საბჭოთა კავშირი, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გამოდის რომ მას თავისი წინასწარგათვლილი მისია უკვე შესრულებული აქვს და უნდა ჩანაცვლებულიყო. ქართველი ხალხი, რომელიც საბჭოთა რეალობიდან გამოვიდა „ჰელსინკის დეკლარაციის“ გარანტიებზე დაყრდნობით, ამ გამოსვლიდან მესამე ათეული წლის შემდეგაც დღის წესრიგში აყენებს საკითხს „ჰელსინკის დეკლარაციაზე“ ხელმომწერი სახელმწიფოების პასუხისმგებლობის შესახებ, ანუ საკითხს მსოფლიო პასუხისმგებლობისა იმ გარანტიებზე, რომლითაც საბჭოთა კავშირიდან გამოსული ხალხებისათვის საერთაშორისო სამართლით უნდა უზრუნველყოფილიყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობებიც და თვითეული ქვეყნის ინდივიდუალური ეროვნული თვითმყოფადობის განვითარების შესაძლებლობებიც თავთავიანთი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობების გზებით („ჰელსინკის 1975 წლის საერთაშორისო დეკლარაცია“, თავი მერვე).

ამდენად, ჩვენ კვლავ გვჭირდება თქვენი თანადგომა საგანგებო საერთაშორისო კონგრესის (ფორუმის, ანსამბლეის) მოწვევისათვის ჰელსინკის დეკლარაციაზე ხელმომწერი სახელმწიფოების პასუხისმგებლობიდან გამომდინარე: კონკრეტულად ჩვენი ქვეყნის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და ეროვნული თვითმყოფადობის განვითარებისათვის. გვჭირდება აღთქმულ გარანტიებზე პასუხიმგებლობის გზით მივიღოთ მსოფლიო მხარდაჭერა, დაპირებული და შეუსრულებელი პირობის აღსრულებისთვის, რომელიც საფუძვლად დაედება საერთაშორისო ნორმატიულ კანონს ყველა ხალხისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ე. წ. „ვენის შეთანხმების“ დასკვნითი დოკუმენტი იძლევა გარკვეულ იმედს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მოწესრიგებული წევრობისას, ის მაინც არ წარმოადგენს სრულ გარანტს საქართველოს მიერ თავისი უფლებების აღდგენისას, დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყნის სტატუსით, იმ ფორმით მოპოვების შედეგად, რომელიც მას მიენიჭა და გააჩნია საბჭოთა კავშირის დაშლისა და მისი შემადგენლობიდან გამოსვლის შემდეგ.

თუ რა მოგვიტანა მსოფლიოს ახალი წესრიგით დამკვიდრებულმა მსოფლიო სამოქალაქო საზოგადოებად გარდასახვის იდეოლოგიამ გამჭვირვალედ ჩანს საქართველოში გაეროს წარმომადგენლობის მიერ 2013 წელს ჩატარებული კვლევით დადებულ დასკვნაში: „საქართველოს მოსახლეობის 70%-ზე მეტი მოწყვლადია და ქართველმა ხალხმა უნდა გადახედოს თავის სახელმწიფოს პოლიტიკას. საქართველოს სახელმწიფო თავად აღიარებს პირველ ამოცანად ტოტალური სიღატაკის დამარცხების საჭიროებას და არ მალავს, რომ დღემდე ვერ უზრუნველყო ქვეყანა საარსებო მინიმუმით“.

აქედან გამომდინარე, საქართველოს დღევანდელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ძალების თავისუფალი და დემოკრატიული ერთობა მოგმართავთ თხოვნით, გამოყენებულ იქნას არსებული შესაძლებლობანი, რათა ყველა საშუალებით მიეცეს ქართველ ხალხს სამართლებრივი და პოლიტიკური ქმედებით მიაღწიოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის აღდგენასა და ჭეშმარიტად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფლების რეალობას.

გთხოვთ, მოგვცეთ საშუალება, გვქონდეს თქვენი კომპეტენციური დოკუმენტებით დადასტურებული დეტალური ისტორიიდან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანებისა და დღემდე შეუთავსებელი სამართლებრივი საფუძვლების აღდგენა-გამოსწორებისა.

აქედან გამომდინარე მოგმართავთ ასევე მთავარი თხოვნით, მხილებულ იქნას აღნიშნული პერიოდების სახელმწიფოებრივი სამართლებრივი ხარვეზები და ოფიციალური სუვერინიტეტის ფალსიფიცირებული ხასიათი, რათა სამართლებრივად და ცალსახად განისაზღვროს ჩვენი სახელმწიფოს - საქართველოს რესპუბლიკის სამართლებრივად მართებული სტატუსი. მხილებულ იქნას კოლონიალურ მდგომარეობაში მყოფი ორმაგი (ტერიტორიული და სახელმწიფოებრივ-მმართველობითი) ოკუპაციის უღელქვეშ არსებული ქართველი ხალხის მდგომარეობა.

საქართველო, როგორც სახელმწიფოებრივი თვითმართველობის ტერიტორია შეყვანილ იქნას საერთაშორისო მეთვალყურეობის სისტემაში. საქართველოს, როგორც დატყვევებული ქვეყნის დეკოლონიზაციისა და დეოკუპაციის საკითხი გატანილ იქნას გაეროს უსაფრთხოების საბჭოში, მეთვალყურეობის საბჭოში, გენერალური ასამბლეის მე-4 მთავარ კომიტეტში - თვითმართველობასა და მეთვალყურეობასმოკლებული ტერიტორიების საკითხთა მთავარ კომიტეტში, მეთვალყურეობას და თვითმმართველობას მოკლებული ტერიტორიების დეპარტამენტში, დეკლარაციების განხორციელებისა და კოლონიალური ხალხებისა და ქვეყნებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების სპეციალურ კომიტეტში.

ყველა ამ თხოვნათა აღსრულების შედეგად, სამართლებრივ და ლეგიტიმურ საქართველოს სახელმწიფოს, ქართველ ხალხს მიენიჭოს ყველა ის უფლებამოსილება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან და მიიღოს ყველა ის კანონიერი მხარდაჭერა, რომელიც მას ეკუთვნის, როგორც დამოუკიდებელ და თავისუფალ სახელმწიფოსა და სუვერენულ ერს.

საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სრულფასოვანი სამართლებრივი აღდგენა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან მისი სრულყოფილი დოკუმენტური აღიარება, იქნება სამართლიანობის დიდი გამარჯვება ზოგად საკაცობრიო საერთაშორისო ასპარეზზე.

მსოფლიოს იურიდიულ-სამართლებრივი აზროვნების გამარჯვებასთან ერთად, ეს იქნება ბოროტების მძლეველი კეთილშობილების ძალთა გამარჯვება და კაცობრიობისმიერი აღმართვა ქართველი ერის ნამდვილად დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისა და თავისუფლების დროშისა.

ასევე, მასთან ერთად, აუცილებელია, მხედველობაში იქნას მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ აღიარებული და მომავალშიც ასაღიარებელი პრინციპები აპარტეიდისა და ნეოკოლონიალიზმის ლიკვიდაციის, აგრესიის, უცხო ქვეყნის ოკუპაციისა და სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის დაუშვებლობის შესახებ, „დიდი ევროპის" საქმიანობასთან ერთად, ახლო მომავალში მსოფლიოსათვის მისაღები ახალი იდეის განხორციელება - სრულიად კავკასიის პოლიტიკური კონტინენტის, როგორც მსოფლიოს ახალი რეგიონალური ერთეულის ჩამოყალიბება-აღიარება, რომელიც „დიდი ევროპის" მსგავსად ოთხ ძირითად მიმართულებას დაეფუძნება: 1. კავკასიის თავისუფალ ადამიანთა დიდი ქარტიის შემუშავება: 2. დიდი კავკასიური ბაზის შექმნა; 3. ევროპულ და დასავლურ პროგრესულ კულტურასთან ერთად და მის გვერდით დიადი კავკასიური კულტურის სივრცის შექმნა; 4. სრულიად კავკასიის უშიშროების კონვენციის მომზადება და ტრადიციულ სახელმწიფოთა ერთიანობის პრინციპზე ჩამოყალიბება.

ასევე, სახელმწიფოებრივობისა და ადამიანური განზომილებისადმი მიძღვნილი სრულიად კავკასიის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც კავკასიის ქვეყნები გადაჭრით უნდა გმობდნენ ძალებს, რომლებიც თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მსვლელობისას გამოხატული ხალხის ნების საწინააღმდეგოდ და კანონიერად დადგენილი კონსტიტუციური წყობის დარღვევით წარმომადგენლობითი მთავრობისათვის ხელისუფლების წართმევას ლამობენ. ასევე, სრულიად კავკასიის სახელმწიფოებში დემოკრატიულად არჩეული კანონიერი მთავრობის არაკანონიერი გზით დამხობის, ან დამხობის მცდელობისას მონაწილე სახელმწიფოები გაეროს ახალი, გადამუშავებული წესდების თანახმად ულაპარაკოდ უნდა დაუჭირონ მხარი ადამიანის უფლებათა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სადარაჯოზე მდგარ ამ სახელმწიფოთა კანონიერ ორგანოებს, ამით უნდა გამოხატონ რა თავიანთ ზოგადი ვალდებულებულებები და წინ აღუდგენ ამ ფუძემდებელ ფასეულობათა შემზღუდველ ნებისმიერ მცდელობას.

მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა მოწინავე მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც. კაცობრიობის, მოქალაქეობრივი შემწყნარებლობის, მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების დაცვის უმაღლესი შეგნება, ყოველთვის სახელმწიფოებრიობის ფუძემყარ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს, ურომლისოდაც ვერც ერთი ქვეყანა ვერ განვითარდება და განმტკიცდება როგორც სახელმწიფო.

უკვე ახალ საუკუნეში, მსოფლიო ისტორიული მისიაა საფუძველი ჩაეყაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (დანიშნულებისა და ფუნქციებიდან გამომდინარე, მისი უფრო ეფექტური გადაწყვეტილებების დაუბლოკავად, გამარტივებულად მიღებისა და ამ გადაწყვეტილებების დროულად შესრულების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს) თვისობრივად ახალ ინსტიტუტს, რომლის უზენაესი მიზანი ასევე იქნება, ადამიანის უფლებათა დაცვასთან ერთად, მსოფლიოს ერთა კულტურათა და სახელმწიფოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაც. ახალ სიტუაციაში მკვეთრად გაიზრდება როლი საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის სფეროშიც, ასევე გადაუდებელ ამოცანადაა აღიარებული ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტთა რეალური მიზეზების ობიექტური შესწავლა, რაც რომელიმე ავზრახვიან ქვეყანას საშუალებას აღარ მისცემს თავიანთი ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე პერმანენტული ხასიათი მისცენ ეთნიკურ კონფლიქტებს.

დღეს გეოპოლიტიკური სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ამუშავდა სხვა სქემები. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკით, მსოფლიო ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია ოპტიმალურად გადავწყვიტოთ დღევანდელი პრობლემები.

ოღონდ ყოველივე ამის განსახორციელებლად საქართველოს, როგორც კავკასიის რეგიონალური, ახალი პოლიტიკური კონტინენტალური სივრცის ცენტრალურმა ქვეყანამ, მსოფლიოს თანამეგობრობის დახმარებით, მსოფლიო ახალ წესრიგში ჩართვით, სხვა მნიშვნელოვან პრობლემათა შორის უნდა გადაჭრას უპირველესი პრობლემა: უნდა აღდგეს და მოწესრიგდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი კანონიერების, სამართალმემკვიდრეობისა და ტერიტორიულ მთლიანობის სამართლებრივი საფუძველი, რაც ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასა და მასთან ერთად ქვეყნის ხელისუფლებისა შიდა ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობებს დაარეგულირებს და რაც მომავალში მაგალითი იქნება ყველა კავკასიური რეგიონის ქვეყნებისათვის, რამდენადაც საქართველო ისტორიულად ყოველთვის იყო ცენტრი დიდ კავკასიაში.

რამდენადაც საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ისტორიულობა და მისი ეგზისტენციალური დრო არ შეწყვეტილა. იგი გაგრძელდება, მანამდე, სანამ საქართველო თავის თავისუფლებაში არ განმტკიცდბა ყველა ასპექტით: ეკონომიკური, პოლიტიკური და გეოპოლიტიკური. შესაბამისად უწყვეტია ისტორიულ-თემატური დრო და ამ ყოველივეს დამწყები პიროვნების როლი. მის მიერ დატოვებულია კვალი ამ ისტორიულ-თემატურ დროში, რომელიც გრძელდება მომავალში. საერთოდ პიროვნებები, რომლებიც ისტორიას ქმნიან მათი მოღვაწეობა არ მთავრდება ეგზისტენციალური დროის დასრულებით. მათი მოღვაწეობა სიუჟეტურ დროში გრძელდება და ყველა სიუჟეტი, რომელიც მათ ერს შესთავაზეს განსაკუთრებული დატვირთვა ეძლევა.

გამოსავალი აღნიშნული მდგომარეობიდან არის ერთადერთი – რეალობიდან გამომდინარე ლეგიტიმური მთავრობის მიერ 2014 წლის 26 მაისის სამართლებრივი, პოლიტიკური და იურიდიული შეფასების თანახმად, რომელშიც შეფასებულია 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალება და მისგან გამომდინარე ქვეყნის შემდგომი პროცესები, უნდა შემუშავდეს ახალი სამართლებრივი და იურიდიული საკანონმდებლო ბაზა და შესაბამისი აქტები, სადაც გათვალისწინებული იქნება და იურიდიულად აღსდგება 1992 წლის 2 იანვარს შეჩერებული საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისი მუხლები საზღვრების ურღვევობის, ტერიტორიული მთლიანობისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრინციპების შესახებ, რაც სრულიად აღადგენს სამართლებრივ საფუძველს ტერიტორიული მთლიანობისათვის. 1991-1993 წლებისა და 2008 წლის ომები დაკარგავს თავის პოლიტიკურ შინაარსს და ის ტერიტორიები, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის გარეთ დარჩნენ, კანონიერად მოექცევიან მისი გავლენის ქვეშ. ამის შემდეგ ტერიტორიული მთლიანობის ფაქტობრივად აღდგენისათვის წარმოებული ყოველგვარი ღონისძიება საერთაშორისო სამართლის დამატებითი სტატუსითაც იქნება განმტკიცებული.

კავკასია კი, განხილულ უნდა იქნას, როგორც მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის გარანტი და საქართველოს, როგორც კავკასიური სახლის ქვეყნის, მედიატორული როლი მსოფლიოსათვის.ცივილიზაციის განვითარება იმ ფაზაში შევიდა, როდესაც მოწინავე ქვეყნები ერთობლივად ცდილობენ გადაჭრან ზოგადსაკაცობრიო პრობლემები. მსოფლიო პროცესები იმდენად დაჩქარებულია, რომ უახლოეს ხანში ამ წინააღმდეგობათა მოუგვარებლობა უაღრესად ზრდის საყოველთაო კატასტროფის შესაძლებლობას.

კავკასიის, როგორც მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონის, შიგა მოწესრიგების პრინციპი კი ისტორიულ-ეთნიკური პროცესების განვითარებამ, მისმა ღრმა ფესვებმა უნდა განსაზღვროს, რაც საქართველოს იბერიულ-

კავკასიურ ტომებთან ნათესაობით და ასევე შავი ზღვის ნავსადგურთა გარკვეული ნაწილის კონტროლით განსაზღვრულ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს.

კავკასიური ერთობის შესაქმნელად, რომლის საფუძველი იდეაში ყოველთვის არსებობდა, საჭიროა მკაფიო და მკაცრი, თანმიმდევრული მსოფლიო პოლიტიკური კურსის შემუშავება, რაც საჭიროების შემთხვევაში როგორც კავკასიური სახლის, ასევე მსოფლიოს დამცველ მექანიზმად ამოქმედდება.

ცხადია, კავკასიური სახლი არ გულისხმობს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთი მიმართულებით განვითარებას. ასეთი პოლიტიკა განსაზღვრულია საქართველოს და მსოფლიოს კეთილდღეობის ინტერესებით და ოთხივემხრივ უნდა წარიმართოს.

ამრიგად:

- **უნდა აღდგეს და მოწესრიგდეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის სამართლებრივი საფუძველი, რაც ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასა და მასთან ერთად ქვეყნის ხელისუფლებისა და შიდა ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობებს დაარეგულირებს.**
- ***უნდა აღსდგეს ისტორიული სამართლიანობა და ჩამოყალიბდეს მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონი და ერთობა - კავკასია, როგორც გარანტი მსოფლიოში მშვიდობისა, სამართლიანობისა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისათვის დაცვისა, სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თანხმობა-ერთობისა და თანასწორობისა;***
- ***საშუროა, თუ კავკასიაში და სწორედ საქართველოში განთავსდება და მოეწყობა სახელმწიფოთა უსაფრთხოებისა, ერთა კულტურათა, უფლებებისა და თავისუფლებების, დაცვისა და უზრუნველყოფის „მსოფლიო ერთა ანსამბლეა", რამდენადაც საქართველოს, როგორც „კავკასიური სახლის" ქვეყანას, სახელმწიფოს ისტორიული, გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე და ეროვნული სულის მეოხებით ძალუძს ეზიაროს ჭეშმარიტად საღვრთო საქმეს და განხორციელოს მსოფლიოს სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის აუცილებელი გარანტის როლი. იგი უნდა გახდეს მედიატორი სახელმწიფო, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ქრისტიანულ და მუსულმანურ სამყაროს შორის, რაც მისი ოდინდელი ისტორიული მისიის დაბრუნება იქნება.***

სახელმწიფოთა უფლებებისა და თავისუფლებების, როგორც მსოფლიოს ერთა კულტურათა და კოლექტიური უსაფრთხოების, მასთან ერთად ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ფუძემდებლური პრინციპები უნდა იქნეს აღიარებული ყველა სახელმწიფოს მიერ და ამ პრინციპიდან გამომდინარე ადამიანის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოსა და ადამიანის ღირსების უზრუნველყოფის, მისი კანონიერი უფლების რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის საძირკველს, რამეთუ სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სულიერი მდგომარეობის დაუცველობა, ძალზე დიდ დაბრკოლებას იძლევა თვითოეული ერის ღირსების განვითარებაზე. ეროვნული ღირსება კი, არა მარტო თეორიული ცნება, არამედ რეალური ერთეულის, მრავალსაუკუნოვანი წარსულისა და ისტორიის მქონე ერის ძირითადი ატრიბუტია და თავისთავად მიღწევადი რეალობაა, რადგან იგი გამომდინარეობს ერის ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობიდან, რომელიც წარმოშობილია ენის, ტეროტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა.

ეროვნული ღირსების გრძნობის ამაღლება შესაძლებელია ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის, ასევე ერის იდეურ-მორალური, ეთიკური, ზნეობრივი და საღმრთო რწმენის დონეთა ამაღლებით. ეროვნული ღირსების გრძნობა თავისთავად ერის ნაყოფიერი ორიენტაციაა და იგი დიდ როლს თამაშობს როგორც პიროვნული ღირსების, ასევე ცხოვრების დონის ამაღლებასა და ქვეყნის განვითარებაზე.

მართალია ისტორიულ ეტაპებზე ხდება ღირებულებათა გადაფასება, მაგრამ მისი მუდმივობის ცვალებადობა ფაქტობრივად არ იცვლება, რამეთუ ცვალებადობას მხოლოდ სუბიექტივიზმი განსაზღვრავს მნიშვნელოვნად. ასე, რომ იდეალიზმთან მიახლოებული რეალობა ობიექტურ, თეორიულ და ემპირიულ განსაზღვრებაში შეიძლება ისტორიულად

განსაზღვრულ მუდმივად მივიჩნიოთ. მორალური პრინციპების განხორციელება კი შესაძლებელია არა მხოლოდ სახელმწიფოში და თავად ერში, არამედ საყოველთაოდ და ყველგან.

მოწინვე ქვეყნები უნდა ადასტურებდნენ ერთა თანასწორუფლებიანობის, საკუთარი ბედის განმგებლობის უფლების პატივისცემისა და მათი ეფექტური განხორციელების საყოველთაო მნიშვნელობას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების განვითარებისათვის. მათ უნდა შეახსენონ ურთიერთს აგრეთვე იმის მნიშვნელობა, რომ უნდა გამოირიცხოს ამ პრინციპის დარღვევა ნებისმიერი ფორმით.

მსოფლიო ქვეყნების სახელმწიფოებრიობის დონის ამაღლებისა და აღორძინების მიზნით, ახალი რეალობიდან გამომდინარე სასურველია დაიხვეწოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა აქტები მათი უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხრითაც, რათა ახალ საუკუნეში სახელმწიფოებმა და ხალხებმა იცხოვრონ მშვიდობიან, განვითარებად მსოფლიო თანამეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოში. მსოფლიო პოლიტიკურ ძალებს უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ მოვლენათა შორის მუდმივი და უცილობელი კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც დასტურდება ბუნებასა და საზოგადოების შემეცნების პროცესში. უნდა ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტად შესაბამისი პოლიტიკური წყობა, რომლის დროსაც დამყარებულია და პრაქტიკაში ხორციელდება ერთა ხელისუფლებათა საშუალებები და ფორმები, რომლებიც გამაგრებულია თვითოეული ქვეყნის მოქალაქეთა თავისუფლებებისა და თანასწორობის კანონებში. სახელმწიფოს დემოკრატიულობა ძევს მის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში, რომელიც ამ სახელმწიფოს ისტორიულად ჩამოყალიბებულ, ევოლუციურად აღმავლობაში მყოფი მისი ბუნებიდან გამომდინარეობს და სარგებლობს როგორც სახელმწიფოს შიგნითა ხალხის, ასევე მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საყოველთაო მოწონებით.

ქვეყნის საკუთარი განმგებლობის უფლებიდან და თანასწორუფლებიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მუდამ უნდა ჰქონდეს უფლება სრული თავისუფლების პირობებში დაადგინოს თუ როდის და როგორ სურს მას განსაზღვროს თავისი შინაგანი და გარეგანი პოლიტიკური სტატუსი. ქვეყანა საერთო, საყოველთაო რეფერენდუმის გზით, გარედან ჩარევის გარეშე თავადვე უნდა განსაზღვრავდეს თავის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.

სახელმწიფოს დანიშნულება ერის პოლიტიკური და სულიერი დამკვიდრებაა. თვითდამკვიდრების ურთულეს გზაზე ყოველი ერი ესწრაფვის თავისი სულიერი და სოციალურ-პოლიტიკური ველის გაფართოვებას. სწორედ ამაში ვლინდება ერის სიძლიერე და სიცოცხლის უნარიანობა. დემოკრატიის გარეშე კი შეუძლებელია რაიმე სახის სულიერების გავრცელება.

ახალი რეალებიდან გამომდინარე,

1. ვთვლით, რომ დროა ბოლო მოეღოს ყოველგვარ პრობლემებსა და დაბრკოლებებს, რათა `საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნულ აღორძინებამ", როგორც ყველა ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მათ შორის სახელმწიფოთა ,,ჰელსინკის კომიტეტებმა", კვლავ აღიდგინონ ჩვეული ფორმა, აღორძინდნენ და აღიდგინონ თავიანთი აღიარებული და ჩვეული ფუნქცია.

ვგრძნობთ რა ჩვენს ვალდებულებასა და შესაძლებელ ძალას, ვაცხადებთ მზადყოფნას და უდიდეს სურვილს ყოველივე ზემოთთქმულში, ყველა შესაბამისი ფუნქციის მქონე ორგანიზაციათა ურთიერთშორის მუდმივი და უცილობელი კავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავებაში, რომელიც დადასტურდება ბუნებასა და საზოგადოების შემეცნებისა და ურთიერთთანამშრომლობის პროცესში, რისთვისაც ყველას ვთხოვთ შესაბამისსა და შესაძლო კონსულტაციებსა, თუ დახმარებებს ჩვენნაირი, უხუცესი, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ორგანიზაციის აღორძინებასა და სრული ძალით ამოქმედებაში;

2. `საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" შემოდის თქვენს წინაშე ინიციატივით უახლოეს, ყველასათვის მისაღებ დროს, ნებისმიერ ერთობლივად შერჩეულ ადგილას, თუნდაც საქართველოს დედაქალაქ თბილისში, ჩატარდეს ,,ახალი მსოფლიოს ფორუმი" – ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის არსებული ,,ჰელსინკის ორგანიზაციების" წარმომადგენელთა ,,მსოფლიო ფორუმი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და მსოფლიო უსაფრთხოების საკითხებში", საერთო, ერთობლივი ღონისძიებების, ურთიერთობების დამყარებისა და შემდგომი მოქმედებების შემუშავების

მიზნით. მნიშვნელოვანია, დროულად დაიწყოს მსჯელობები აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში და დაისახოს შესაბამისი ღონისძიებები;

3. შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად მნიშვნელოვანია ფორუმში მონაწილე სახელმწიფოთა როლიც. მონაწილე ქვეყნებმა პატივი უნდა სცენ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს: აზრის, სინდისის, რელიგიისა და შეხედულებათა თავისუფლებების ჩათვლით ყველასთვის, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა თუ რელიგიისა. სახელმწიფოები ხელს შეუწყობენ და განავითარებენ სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა უფლებებსა და თავისუფლებების ეფექტურ განხორციელებას, რომელნიც გამომდინარეობენ ადამიანის პიროვნების ღირსებებიდან და არსებით პირობას წარმოადგენენ მისი სრული და თავისუფალი განვითარებისათვის. მონაწილე ქვეყნები ამით აღიარებენ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო მნიშვნელობას, რომელთა პატივისცემაც არის არსებითი ფაქტორი მშვიდობისა, სამართლიანობისა და კეთილდღეობისა, მეგობრული ურთიერთდამოკიდებულებებისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის. ამით ისინი აღიარებენ პიროვნებათა უფლებებსაც საკუთარ უფლებამოვალეობათა ცოდნისას ამ სფეროში და მათ შესაბამისად მოქმედებას.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში მონაწილე ქვეყნები იმოქმედებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, მიზნებისა და პრინციპების, ასევე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად. ამასთან შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს იმისდამიხედვით, თუ როგორ არიან ისინი დადგენილნი საერთაშორისო დეკლარაციებში და შეთანხმებებში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტების ჩათვლით.

მონაწილე ქვეყნებმა ასევე პატივი უნდა სცენ ერთაშორის თანასწორობას და მათ უფლებას. აგრეთვე უნდა იმოქმედონ საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, იმ ნორმების ჩათვლით, რომელნიც ეხება სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობას. მონაწილე ქვეყნები ამით დაადასტურებენ ერთა თანასწორუფლებიანობის საყოველთაო მნიშვნელობას, საკუთარი ბედის განმგებლობის უფლების პატივისცემას და ეფექტურ განხორციელებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების განვითარებისათვის; ისინი ყოველივეთი შეახსენებენ ურთიერთს აგრეთვე იმის მნიშვნელობას, რომ უნდა გამოირიცხოს ამ პრინციპის დარღვევა ნებისმიერი ფორმით;

4. ,,ახალი მსოფლიოს ფორუმის" მონაწილეთა ისტორიული მისიაა საფუძველი ჩაუყარონ თვისობრივად ახალ ინსტიტუტს, რომლის უზენაესი მიზანი იქნება, ადამიანის უფლებათა დაცვასთან ერთად, მსოფლიო კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაც. ახალ სიტუაციაში მკვეთრად გაიზრდება ამავე პროცესის როლი საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის სფეროშიც. ასევე გადაუდებელ ამოცანადაა აღიარებული ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტთა რეალური მიზეზების ობიექტური შესწავლა, რაც იმპერიულ ძალებს საშუალებას აღარ მისცემს თავიანთი ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე პერმანენტული ხასიათი მისცენ ეთნიკურ კონფლიქტებს; ,,ახალი მსოფლიოს" პროცესივე უნდა იქცეს ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ერთა თვითგამორკვევის გარანტად, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით განუყოფელია საზღვრების ურღვევობის ფუძემდებელი პრინციპებიდან;

5. ვინაიდან, საქართველოს ისტორია ნათლად მეტყველებს, რომ ქართული ფენომენისათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო ეროვნული, რელიგიური თავსებადობა და რომ ჩვენს ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გარეშე გვერდი–გვერდ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლები.

ვინაიდან, საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ძველი ერის მტკიცე სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიციების გამო ყოველთვის მიზანმიმართულად ახერხებდა მოწინავე აზრის, კულტურის ექსპორტირებას მეზობელ მონათესავე ტომებში. ამ მოვლენას კი თავის დროზე ნოყიერი ნიადაგი ასაზრდოებდა – იბერიულ-კავკასიური სამყაროს არსებობა, რომელიც უძველესი და უნიკალური ცივილიზაციის პოლიეთნიკურ და ამავე დროს ერთიან გეოპოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ სივრცეს, დასავლეთსა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინს წარმოადგენს.

ვინაიდან, საქართველოს კავკასიელ მეზობლებთან სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის მიუხედავად, ისტორიულად მუდამ ჰქონდა მთლიანი კავკასიური სამყაროსადმი კუთვნილების, საერთო წარმომავლობის, ბიოგენეტიკური ნათესაობის

გრძნობა, ეროვნული წიაღიდან აღმოცენებული, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მეზობელ ცივილიზაციებთან შემაჯერებელი საერთო მენტალიტეტი, კულტურული, მორალური და ზნეობრივი ღირებულებები.

ამიტომაც დარწმუნებულნი ვართ, რომ საქართველოს, როგორც კავკასიური ახალი კონტინენტალური რეგიონის ცენტრალურ სახელმწიფოს, როგორც მსოფლიოში მშვიდობის, სამართლიანობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისათვის დაცვის, სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თანხმობა-ერთობისა და თანასწორობისა შესაძლო გარანტს, ჯერ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა ელის – იგი შეიძლება იყოს და უნდა გახდეს მედიატორი სახელმწიფო, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ყველა რელიგიურ სამყაროთა შორის, რაც, ერთის მხრივ მისი ოდინდელი მსოფლიო ისტორიული მისიის დაბრუნება იქნება და ამავე დროს ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და მსოფლიო უსაფრთხოების მხრივ ახალი გარანტიების შექმნას.

საშუროა, თუ კავკასიაში და სწორედ საქართველოში განთავსდება და მოეწყობა სახელმწიფოთა უსაფრთხოებისა, ერთა კულტურათა, უფლებებისა და თავისუფლებების, დაცვისა და უზრუნველყოფის `მსოფლიო ერთა ანსამბლეა", რამდენადაც საქართველოს, როგორც `კავკასიური სახლის" ქვეყანას, სახელმწიფოს ისტორიული, გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე და ეროვნული სულის მეოხებით ძალუძს ეზიაროს ჭეშმარიტად საღვრთო საქმეს და განხორციელოს მსოფლიოს სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის აუცილებელი გარანტის როლი;

`საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" თავის ერთმნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნევს ერთა თანაარსებობის ზემოთ მითითებულ ტრადიციებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს სახელმწიფოს მიერ რელიგიური თვითმყოფადობის დაცვას. თავსებადობის ამ პრინციპთა ცხოვრებაში გატარება ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი უნდა გახდეს (მით უფრო, რომ ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ თვითმყოფადობის დაცვის პრინციპებს კონსტიტუციური კანონის ძალა აქვს), რაც მისი საერთაშორისო ავტორიტეტის გარანტადაც იქცევა. ამ პრობლემის გადაწყვეტა ძალზე საშური შეიქმნება, რადგან უაღრესად გამძაფრებული პოლიტიკური, ეთნიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გამწვავებამ შესაძლოა კატასტროფა მოაახლოოს. ჩვენ კი, აუცილებლად უნდა ავიცილოთ იგი;

6. მსოფლიოს ქვეყანათა სახელმწიფოებრიობის დონის ამაღლებისა და აღორძინების მიზნით, ახალი რეალობიდან გამომდინარე სასურველია დაიხვეწოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა აქტები ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და მსოფლიო კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის განხრითაც, რათა ახალ საუკუნეში სახელმწიფოებმა და ხალხებმა იცხოვრონ მშვიდობიან, განვითარებად მსოფლიო თანამეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოში. მსოფლიო პოლიტიკურ ძალებს უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ მოვლენათა შორის მუდმივი და უცილობელი კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც დასტურდება ბუნებასა და საზოგადოების შემეცნების პროცესში;

7. უნდა ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტად შესაბამისი ახალი მსოფლიო პოლიტიკური ურთიერთობების წყობა, რომლის დროსაც, მთელს მსოფლიოში, დამყარებულია და პრაქტიკაში ხორციელდება ხალხის ხელისუფლების საშუალებები და ფორმები, რომლებიც გამაგრებული იქნება ქვეყნის მოქალაქეთა თავისუფლებებისა და თანასწორობის კანონებში.

ცხადია, არა გვაქვს ილუზია, რომ ზემოთაღნიშნული ქმედებანი ერთბაშად მოაწესრიგებს ყოველივეს, მაგრამ სამართლებრივად მოგვარებული პრობლემების გადაჭრა საერთაშორისო სამართლის პრეროგატივაა. ამას საერთაშორისო არბიტრაჟი მოყვება და ამგვარ დონეზე საკითხთა გადაწყვეტა კი ცხადია, სათანადოდ შეამცირებს რისკის ფაქტორებს.

მსოფლიოს ზოგად სახელმწიფოებრივ, სამართლებრივ სივრცეში არ უნდა არსებობდეს შავი ხვრელები, რომლებიც არამარტო ზედმეტად ტვირთავს ენერგიას, არამედ სწორედ ასეთი არასამართლებრივი, არაკანონიერი და არაკონსტიტუციური ორგანოების მეშვეობით ზიანს აყენებენ ქვეყნებისა და მსოფლიო რეგიონების იმიჯს.

უნდა გვახსოვდეს ასევე, რომ მთავარი არგუმენტი და უმოკლესი გზა მთელი კავკასიის ჯერ რეკოლონიზაციისაკენ, ხოლო შემდგომ დამოუკიდებელი და თავისუფალი კავკასიის, როგორც მსოფლიო ახალი რეგიონის ჩამოყალიბებისაკენ, როგორც საქართველოს სამართლებრივ და კანონიერ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე, ასევე ახალი

მსოფლიო წესრიგის უთუო ჩამოყალიბებაზე გადის.

თუ ჩვენ ერთ მთლიანობაში გავიაზრებთ მიმართვაში გაცხადებულ იდეებსა და მათი განხორციელებით მიღებულ შედეგებს, მაშინ უცილობლად აღმოვაჩენთ ახალი მსოფლიოსათვის ჭეშმარიტად ფასეული ღირებულებების სამართლებრივ სისტემას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პრინციპებით გაჯერებული მშვიდობიანი მსოფლიოს სახელმწიფოთაშორისი თანაარსებობის კრიტერიუმების რეალობაში აღსრულების უთუო პერსპექტივას.

უსამართლობას შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ სამართლით!
სიცრუეს შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ სიმართლით!
უკანონობას შეიძლება მოვერით მხოლოდ კანონით!
ესაა სვლა წინ, ახალი, პერსპექტიული იდეების დროული გატარებითა და მსოფლიოში ახალი წესრიგის დამყარებით მშვიდობიანი და თავისუფალი ქვეყნების ათასწლოვანი თანაარსებობის გარანტიების შექმნისაკენ!

მალხაზ მუსერიძე - ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ თავმჯდომარე

დენიზა სუმბაძე – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ საპატიო წევრი

ნუკრი ბაღდავაძე: ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ ჟურნალის - „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - - ეროვნული აღორძინების“

წესდების
5 მუხლის 5.5 (გ) პუნქტის შესაბამისად
კავშირის საქმიანობაში და განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული პიროვნული და ორგანიზაციული წვლილისათვის

საპატიო წევრის სტატუსი მიენიჭათ
და
საპატიო წევრის სიგელით
დაჯილდოვდნენ

ლალი მაისურაძე (გარდაცვალების შემდეგ)
ნოდარ იმნაძე (გარდაცვალების შემდეგ)
ვახტანგ ჭითავა (გარდაცვალების შემდეგ)
თენგიზ კიკაჩეიშვილი (გარდაცვალების შემდეგ)
მორის მუსერიძე (გარდაცვალების შემდეგ)
თამაზ ბულაური (გარდაცვალების შემდეგ)

ბესარიონ გუგუშვილი
კლარა ტონია
დენიზა სუმბაძე
ლულუ სვანაძე
ნარგული ფირცხალაიშვილი
ვაშა კაკაბაძე





მარადიული ხსოვნა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, სპპოგ „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო" და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და საქართველოში სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენისათვის ბრძოლის ერთ-ერთ უბადლო ჯარისკაცი, საქართველოს რესპუბლიკის დუშეთის კრეფეექტის მოადგილე, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" ღვაწლმოსილი და გამორჩეული წევრი -

თამაზ ბულაური

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო"და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" თანაუგრძნობს და უსამძიმრებს ბატონი თამაზის ოჯახს - მის მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს და ახლობლებს! ღმერთმა აცხოვნოს მისი სული და შეეწიოს ბატონ თამაზს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი. პირნათელი წავიდა იგი სამშობლოს წინაშე და პირნათლად შეეგებება მას ჩვენი ეროვნული გმირებიც!

„მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი... ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს, მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება, როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი"

/კ. გამსახურდია/

დღეს, დიდ მამულიშვილს, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს „საქართველოს სამეფო ლიგის" გამგეობის წევრსა და ერთ-ერთ ხელმძღვანელს, „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" გამორჩეულ და ღვაწლმოსილ წევრს „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" საპატიო წევრს

ბატონ მორის მუსერიძეს

85 წელი შეუსრულდებოდა



ბატონი მორისის, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელის, მოღვაწეობა, თითოეული ადამიანის, საზოგადოებისა და მთელი ერისათვის წარმოადგენს მისაბაძ მაგალითს, თუ როგორ უნდა ემსახუროს მამულიშვილი ხალხისა და ქვეყნისათვის საბედისწერო ეპოქაში ღვთის ჭეშმარიტი რწმენის, ჰუმანისტური მსოფლმხედველობისა, თუ ეროვნულ ფასეულობათა გადარჩენის, ტრადიციების აღორძინება-დამკვიდრების, შეჭირვებული მოყვასისადმი ქრისტესმიერი სიყვარულისა და თანადგომის საქმეს, რაც ჩვენი ხალხის, სახელმწიფოს ხსნისა და აყვავების უტყუარი საწინდარია. სწორედ ამიტომაც, თანამოაზრეებთან ერთად, იგი ყოველთვის იყო გარემოცული საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით.

მისი მოღვაწეობის სვეტიცხოველი დღესაც შენდება, რამეთი იგი იგებოდა და დუღაბდებოდა რუდუნებით, წუხილით, სიხარულით, შრომით, ფიქრით, დარდით, შვებით, კალმით და სიტყვით. მის გვერდით იდგნენ თანამოაზრენი, მეგობრები, კოლეგები, სტუდენტები, ისინი, ვისთვისაც ბატონი მორისი იყო საზომი კაცობისა, მამულიშვილობისა, ეტალონი ძმობისა, გონისა და ქართველობისა.

ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს, შენი სახელი კი, დიდებულო ადამიანო, მუდამ დარჩება ჩვენი გულის ფიცარზე ამოტვიფრულ სიტყვად: რომელსაც სამყაროს შეცვლა შეუძლია; დაუზარებლად გამოწვდილ მარჯვენად, რომელსაც წყურვილისაგან მომაკვდავის გადარჩენა შეუძლია; საიმედო საყრდენად, რომელსაც უფსკრულის პირას მყოფის ამქვეყნად მობრუნება შეუძლია.

ღმერთმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი
სასიქადულო მამულიშვილს, უდიდეს ადამიანს -
ბატონ მორის მუსერიძეს . . .
. . . იქ, სადაც მართალნი განისვენებენ!
. . . იქ სადაც მასსავით ალალმართალი ქართველები გვეგულება და გველოდებიან . . . .
ღვთაებრივ ბუნებაში ჩაკარგული მისი უბრალოებით მოსილი საფლავი კი საქართველოს აუღებელი ციხესიმაგრე იქნება მუდამ!
ბატონ მორის მუსერიძეს უფალზე და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ და თავგანწირულ გმირ მეომარს, ღირსეული ადგილი უნდა მიეცეს საქართველოს ისტორიაში.

უფალმა აცხონოს მისი სული!

ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პირველ ვიცე-პრემიერთან ბატონ იოსებ ღუდუშაურთან

ბატონო იოსებ, რა შეაფასებას აძლევთ საქართველოს საპატრიარქოს და ზოგადად სამღვდელოების დამოკიდებულებას სამხედრო გადატრიალების (პუტჩის) საკითხში?

მშვიდობა. დიდი მადლობა, რომ საშუალება მომეცა „დიდგორის“ სარედაქციო ჯგუფის კითხვებს ვუპასუხო. ჩემს პასუხებს დიდი ქართველი მამულიშვილისა და პოეტის დავით გურამიშვილს სიტყვებს წარვუმძღვარებდი:

„აწ რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო? ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქვო? კარგს კაცს ვითარ დაუკარგო, რაც რამ სიკარკაცე აქო? ავს კაცს კარგი ვით უძებნო, ორმოს ჩამსვა, თავს დამარქო?“ კატეგორიულად უარყოფითს! ისეთ შეფასებას ვაძლევ როგორი შეფასებაც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ მისცა, ედუარდ შევარდნაძის ხუნტისგან დევნილობაში გადახვეწილმა. მან ილია მეორეს პუტჩისტი პატრიარქი უწოდა. ეს „წოდება“ გადადის ყველა სასულიერო პირზე, რომელსაც ხმა არ ამოუღია ამ ბოროტების სამხილებლად და დღესაც ეშმაკეულად დუმს! დიახ, ეშმაკეულად რადგან ზოგჯერ დუმილით ღმერთი გაიცემა!

„შექმნეს ცრუ წითელი სამღვდელოება, რამაც თავი იჩინა ყველაზე მეტად პუტჩის ავბედით დღეებში. ნაცვლად იმისა, რომ იერარქები ჯვრით ხელში ჩამდგარიყვნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ურთიერთ დაპირისპირებულ მოძმეთა შორის, ისინი ანტიქრისტეს მხედრობას ამოუდგნენ მხარში - ეკლესიები იარაღის საწყობებად მისცეს, ქაშუეთის ტაძარი ბლინდაჟად აქციეს, საიდანაც ჭურვებსა და ტყვიას უშენდნენ კანონიერ ხელისუფლებას; წმინდა პანტელეიმონის ტაძარში სნაიპერები ჩასვეს და ნაღმტყორცნები ჩადგეს, რომელნიც „კოლხურ კოშკს” უშენდნენ. ზოგიერთი სამღვდელო პირი ავტომატით ხელში იბრძოდა პუტჩისტებთან ერთად.

რამდენიმე პატიოსანი სამღვდელო პირი კი, რომელმაც არ უღალატა კანონიერ ხელისუფლებას და ლოცვითა და ქადაგებით ამხნევებდა უზენაესი საბჭოს შენობაში გამომწყვდეულ მის წარმომადგენლებს, პუტჩისტმა პატრიარქმა განკვეთა და გააძევა საქართველოდანაც კი. ასე რომ, სუკ-ი წინ იხედებოდა, როდესაც ცრუ სამღვდელოებას ქმნიდა. წითელი სამღვდელოება სუკ-ის ყველაზე საშინელი დამკვრელი ძალაა“. (ზ.გამსახურდია, პასუხი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაზეთ" „სამანის" რედაქტორის, ბატონ გიორგი ანდრიაძის შეკითხვებზე. 1993. 27 თებერვალი).

ასევე განიხილეთ, თუ შეიძლება, პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას მომხრეების მიერ განდიდება საქართველოს პატრიარქის ილია მეორის პიროვნების, მაშინ როდესაც ბატონი პრეზიდენტი ამხელდა მას სამხედრო ხუნტასთან თანამშრომლობასა და შეთქმულებაში. ასეთები, რომლებიც ილია მეორეს განადიდებენ ზ. გამსახურდიას მომხრეები კი არა ეშმაკის მომხრეები არიან, რადგან ეშმაკეული იყო კაცთმოძულე პუტჩისტებისთვის მხარდაჭერა ილია მეორეს მხრიდან.

სამღვდელოება რომელიც უნდა იყოს საღმრთო კანონიერების დამცველი როგორც სახელმწიფოებრივ - პოლიტიკურ ასევე სულიერ საკითხში, რატომ არის დადუმებული თითქმის ყოველთვის როდესაც საქმე ეხება კანონიერებას და ლეგიტიმურობას. შემოგვთავაზეთ თქვენი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით.

დიახ, სამღვდელოება საღმრთო კანონიერების დამცველი რომ ყოფილიყო სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ საკითხშიც კანონიერების დამცველი იქნებოდა. ვინც ღმრთის სამართალს არაფრად აგდებს და ქრისტეს სარწმუნოების მტრების მიერ დადგენილი „სარწმუნოების“-ეკუმენიზმის მწვალებლური იდოლოგიით მოქმედებს ვერასდროს გახდება ერის ჭირისუფალი და დამცველი. ისინი ამქვეყნიურ კეთილდღეობას, საკუთარ კეთილდღეობას და სასულიერო წოდებებს ანაცვალებენ ყველაფერს.

როგორ ფიქრობთ, მხოლოდ რუსეთმა მიიღო სამხედრო გადატრიალებაში მონაწილეობა, თუ თანამშრომლობდა მსოფლიოს სხვა ზესახელმწიფოებთან?

განვმარტავ, რომ როდესაც პუტჩი დაიგეგმა სახელმწიფო რუსეთის ფედარაცია, ანუ იგივე რუსეთის იმპერია, ჯერ კიდევ არ არსებობდა. იმ დროს იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, ანუ სსრკ. პუტჩი იდეოლოგიურადაც და ფინასურადაც აშშ-ის პროექტი იყო. სსრკ იმდენად იყო „ოკუპირებული“ იმ დროს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა რესპუბლიკების პრემიერ-მინისტრებთან თათბირს მოსკოვში ატარებდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი. ამაზე იგი დაწვრილებით წერს თავის მემუარებში. ვისაც სიმართლის გაგება სურს ის ცდილობს გაიგოს და ვისაც არ უნდა არ წაიკითავს და არ გაიგებს.

დღეს ვინ მართავს საქართველოს არალეგიტიმური რეჟიმების მონაცვლეობას და ქართველი ერის გარყვნას როგორც მასმედიით, ისე გეი-აღლმებით და „თბილისი პრაიდებით“?

როგორც ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბატონმა ბესარიონ გუგუშვილმა მეც იგივეს გეტყვით – სატანა მეფობს და მართავს! რუსეთის იმპერიის და შემდგომ სსრკ იმპერიის 100 % მონობაში იმდენად არ დაცემულა ერი სულიერად და მორალურად, რამდენად ე. წ. დღევანდელი 20 % -იანი ამერიკული ოკუპაციის პირობებში. არ ვგულისხმობ რომ ერთის მონობაში ყოფნას მეორეს მონობა ჯობია, მაგრამ შედარების გაკეთება კი უნდა შეეძლოს საღად მოაზროვნე ადამიანს.

ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი რუსეთის იმპერიის ინტელიგენციასაც წარმოადგენდნენ იმ დროს, მაგრამ რუსეთუმეებად კი არ იქცნენ, არამედ მტკიცედ შეინახეს ქართული ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალები და ამ იდეალების საფუძველზე ცდილობდნენ ერის გამოღვიძებას და განათლებას. თქვენ ვერ დაასახელებთ ვაშინქტონის „სამეფო კარზე“ მომზადებულ და დაწინაურებულ ქართველს, რომელსაც ილიას და აკაკი ფრჩხილის ოდენაც რომ ჰქონდეთ გაკეთებული ერის სულიერ-ზნეობრივი აღზრდის საკითხში. პირიქით კი ხდება. ამერიკული ე.წ. ცივილიზაცია უაღრესად უარყოფით გავლენას ახდებს ქართველი ეროვნული-სარწმუნოებრივ თვითშეგნებაზე.

მხოლოდ რუსულ ოკუპაციაში ხედავთ საქართველოს დაღუპვას, თუ სხვა სახელმწიფეობის ჩარევაშიც და კონკრეტულად ვის განიხილავთ საქართველოს „სხვა ოკუპანტებად“?

ოკუპანტია ყველა, ვინც თავის დროზე საქართველოს ტერიტორიის ნაწილი მიიტაცა. თურქეთი, სომხეთი, და აზრებაიჯანიც ოკუპანტები არიან. მაგრამ დაღუპვას იმაში კი არ ვხედავ, რომ რომ ამა თუ იმ სახელმწიფომ ჩვენი მიწები მიიტაცა. უბედურება იმაშია, რომ ჩვენ სულიერად დავეცით იმდენად, რომ ფიზიკური ფორმით დასუსტებას მივიჩნევთ უფრო დიდ ტრაგედიად ვიდრე სარწმუნოებაში დასუსტებას. მიწა შეიძლება შემოიერთო, ხალახლა დაიმკვიდრო და ა.შ., მაგრამ ჭეშმარიტი სარწმუნოება დაკარგულ კოსმოპოლიტ ერს ესენი სრულიადაც აღარ სჭირდება.

ე. წ. 20%-იან რუსულ ოკუპაციაში ყოფნას საღორეში ყოფნას ეძახიან საქართველოში. რუსულ 20%-იან ოკუპაციაში ყოფნა კი არ ნიშნავს საღორეში ყოფნას, არამედ ის, რომ რუსეთის ოკუპაციისგან განთავისუფლების სანაცვლოდ სულიერებასა და ზნეობაზე ვამბობთ უარს. ანუ, ვითომ ფიზიკური დამოუკიდებლობის სანაცვლოდ და ტერიტორიების დაბრუნების სანაცვლოდ მზად ვართ სულიერ ოკუპაციაზე ხელი მოვაწეროთ. დღევანდელი უზნეო და უსულო, ანტიეროვნული და ანტიქრისტიანული პოლიტიკური სისტემის მარწუხებში ყოფნაა საღორეში ყოფნა!

ამასთან ერთად უკვე თვალნათლივ დავინახეთ, რომ „ნატო“ არ და ვერ იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტი.

რუსეთი თუ საქართველოს ძველი მთავარი დამპყრობი და ოკუპანტია, ამერიკა უკვე ახალია. ეს ახალი ოკუპანტი კიდევ უფრო ვერაგია, ვიდრე ძველი, რადგან იგი ქართველი ერის სულიერი საძირკვლის, ქრისტიანული სულიერებისა და ზნეობის აშკარა და უბოროტესი მტერია.

ამასთან ერთად თავად ამერიკელებმა მოხსნეს გრიფი საიდუმლო დოკუმენტებს, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ ისინი აფინანსებდნენ რუსეთ-უკრაინის სამხედრო ფლოტს საქართველოს კანონიერი ხელისუფლების და მისი კანონიერი პრეზიდენტის დასამხობად.

თქვენ, საქართველოს რესპუბლიკის მთავარობას ეროვნულ-სარწმუნოებრივი გეწოდებათ. გთხოვთ, განგვიმარტოთ, საქმით, რაში გამოიხატება თქვენი სარწმუნოებრივი საქმიანობა?

დავაზუსტებ, რომ ჩვენს მთავრობას ისევ ის ეწოდება, რაც ზვიად გამსახურდიას მთავრობას ერქვა. ჩვენ ვართ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც ქვეყნის მართვის სადავეები სატანისტური ძალადობით წაართვეს. ჩვენი გეზი კი, ანუ საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობისა და განვითარების გეზი არის ეროვნულ-სარწმუნოებრივი. ჩვენი საქმიანობა ჯერ-ჯერობით ეროვნულ-სარწმუნოებრივი გეზის ქადაგებაში გამოიხატება. ეს იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე ქვეყანას მართავდე და ამისა არაფერი გაგეგებოდეს რა.

როდის და როგორ დაარსდა „დიდგორის“ რელიგიური ვებ-საითი. როგორც ვიცით, თქვენ ხართ ერთ-ერთი დამაარსებელი და მეორე რედაქტორია ბატონი გიორგი წულაძე. როგორი პიროვნებაა ბატონი გიორგი, როგორ დაახასიათებთ მას და თქვენი თანამშრომლობა არის თუ არა მტკიცე და ურთიერთ ნდობაზე მტკიცედ დამყარებული. რა როლს ასრულებს თქვენი რელიგიური ვებ-საიტი და მისი ფეისბუკები დღევანდელ ურთულეს აპოსტასიურ მდგომარეობაში?

დიდგორის რელიგიური ვებ-საითი დაარსდა 2004 წლის მიწურულს. საქართველოში ჭეშმარიტ მართლმადიდებლობას არ ჰყავს იმაზე დიდი დამცველი და ქომაგი ვიდრე გიორგი წულაძეა.

რას მოგვითხრობთ ბატონ ბესარიონ გუგუშვილზე, მის პიროვნებაზე და მის მისიაზე დღევანდელობაში და როგორ ფიქრობთ საიდან იმართება მის წინააღმდეგ ამუშავებული მძლავრი ცილისმწამებლური კამპანია?

ბესარიონ გუგუშვილი არის ჩვენი დროის გმირი, რომელმაც ზვიადისა და მერაბის ტვირთი იკისრა. იგი არის სამხედრო ხუნტის აუღებელი ლეგიტიმურობის ციხე სიმაგრე. იგი არის ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის ერთ-ერთი დიდი დამცველი და „დიდგორის“ რელიგიური ვებ-საიტის ყველაზე აქტიური მკითხველი და ქომაგი. მას დღემდე კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერა პუტჩის მემკვიდრე პოლიტიკურ სისტემისთვის. მის წინააღმდეგ წარმოებული ცილისმწამებლური კამპანია სწორედ ამიტომ არის ატეხილი და რაც მთავარია იგი ზვიადის მაგალითით დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს. იგი არის დღესდღეობით და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელსაც კონსტიტუციის მიხედვით ევალება და უფლებამოსილია დანიშნოს ახალი არჩევნები. არჩევნები რომ დანიშნოს იგი ჯერ ხელისუფლებაში უნდა აღსდგეს რათა მოხდეს ხელისუფლების ლეგიტიმური ცვლა და არა ისე, როგორც დღეს ხდება. ყოველივე შემდგომი ხელისუფლება ზიზღის, წყევლისა და კრულვის სამიზნე ხდება და ხელისუფლების ცვლის პუტჩისტური მეთოდების დამუშავების მეტი არაფერი არ ხდება. ამ ნაირნაირ რევოლუციურ მეთოდების აპრობირებას კი უცხო ქვეყნების აგენტურები ეწევიან.

თქვენი აზრით, როგორ შეძლებს ეროვნული მთავრობა ზვიადის იდეის საქართველოს სულიერი მისიის აღსრულებას?

კიდევ ერთი განმარტება. რატომღაც არადანიშნულებისამებრ ვიყენებთ ხოლმე სიტვა ეროვნულს. დღეს ყველაფერს ეროვნული ჰქვია: ეროვნული გამოცდები, ეროვნული თეატრი, ეროვნული ფეხბურთი. მთავრობას ჰქვია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და მისი გეზია ეროვნულ-სარწმუნოებრივი. ამ მთავრობის წევრი შეიძლება საქართველოში მცხოვრები სხვა ერის წარმომადგენელიც იყოს. ჩვენ არ ვართ ფაშისტური მთავრობა, რომელიც მხოლოდ არიელი

გერმანელებით უნდა ყოფილიყო დაკომპლექტებული. ასევე ჯარიც ვერ იქნება ეროვნული, რადგან მასში ქართველების მხარდამხარ სხვა ეროვნებების წარმომადგენლებმსაც ევალებათ დაიცვან თავისი ქვეყანა.

მოვიყვან ციტატას, ისტორიული ფუნდამენტალური მოხსენებიდან, რომელიც 1990 წლის 14 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ გააკეთა:

„ძვირფასო მეგობრებო! ჩვენი მოძრაობა, უწინარეს ყოვლისა, რელიგიური მოძრაობაა, რამეთუ რელიგიის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი ეროვნული აღორძინება. ამიტომაც არის დღეს ერთად ჩვენი ერი და ჩვენი ეკლესია. ჩვენ ვებრძვით უღმერთობისა და უსამართლობის უკუნით ღამეს, ჩვენს მართალ საქმეს მფარველობს განგება და ამიტომაც დავამარცხეთ მტერი. ქართველი ერი არ წავა ბარაბას გზით, უღმერთობის, ავაზაკობის, ტერორიზმის გზით. ქართველი ერის გზა სათნოების გზაა, სიქველის გზაა, სიყვარულის გზაა და ქრისტეს გზაა აწ და მარადის და უკუნისიადნ უკუნისამდე!

კურთხეულ იყოს ღვთისმშობლის წილხვდომილი საქართველო!

ჩვენთან არს ღმერთი! ამინ!“

აი, ასე შეიძლება ამ მისიის აღსრულება! ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული თუ როგორ გაითავისებს ამას ქართველი ერი. თუ ქართველი ერის მისია „ნატოში“, ან რომელიმე სამხედრო ალიანსში შესვლა იქნება, მაშინ ამ მისიას აღსრულება არ უწერია.

როგორ აპირებთ ეროვნული თანხმობის, ურთიერთთანადგომის აღდგენას?

მესმის რაც გაღელვებთ, მაგრამ აქაც იგივე შენიშვნა. ერს თავის თავთან არ უომია, არ ყოფილა არავითარი უთანხმოება ერში იმ პოლიტიკურ კურსთან, რომელსაც ზვიად გამსახურდია აწარმოებდა, ამიტომ საკითხის ამ კუთხით განხილვას რაღაც სხვა სახელი უნდა მოვუძებნოთ. იყო იმპერიის მიერ მოსყიდული წითელი ინტელიგენციის ამბოხი კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. გააჩინა ვისთან უნდა მოხდეს თანხმობა და რა საკითხებზე. პოლიტიკურ მიმდინარეობებს, თუ პოლიტიკურ პარტიებს შორის თანხმობას არაფერი საერთო არა აქვს ერის შიგნით არსებულ სხვა და სხვა პრობლემებთან. შესაძლებელია პოლიტიკური დიალოგი იმ პოლიტიკურ მიმდინარეობებთან, თუ კონკრეტულ პიროვნებებთან, რომლებიც აღიარებენ ბესარიონ გუგუშვილის მთავრობას საქართველოს რესპუბლიკის ერთადერთ სამართალმემკვიდრედ. ზოგადად კი ღმერთთან თანხმობაში მოსვლითაა შესაძლებელი ურთიერთ თანადგომის აღდგენა.

უნდა გასამართლდეს თუ არა ხუნტა?

რა თქმა უნდა ამ პოლიტიკურ სისტემაში არასდროს არ მოვალ და თუ ოდესმე ქართველი ერის ნება იქნება კანონიერი ხელისუფლების აღდგენა, ეს იქნება საკმაოდ ურთულესი პროცესი და ძალიან ძნელია იმის წინასწარ განსაზღვრა, თუ როგორი საკანონმდებლო ორგანო ეყოლება იმ დროს საქართველოს და სახელმწიფოებრივი მოწყობის როგორ გზას დაადგება.

ეს საკითხები საკანონმდებლო ორგანოს გადასაწყვეტი იქნება და არა ერთი რომელიმე პიროვნებისა. თუ ვიქნებოდი ამ საკანონმდებლო ორგანოს წევრი პირველ რიგში დღევანდელი ეკლესიის რეფორმით დავინტერესდებოდი, უსამართლოდ და უკანონოდ მიტაცებულის ნაციონალიზაციის საკითხებით დავინტერესდებოდი. ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდოლოგიის აკადემიის დაარსების ინიციატორი ვიქნებოდი. ქვეყნის რესურსებით სარგებლობის და განაწილების თანასწორუფლებიანობის პრინციპების მექანიზმების შექმნაში მივიღებდი აქტიურ მონაწილეობას.

როგორ შეიძლება საქართველოს გადარჩენა იმ შავბნელი ძალებისაგან, რომელიც მას გარშემო ახვევია?

ქართველ ერს ისტორიულად უწევდა ბრძოლა შავ-ბნელ ძალებთან, მაგრამ ღვთის წყალობით იგი გადარჩა. ახლაც ღვთის წყალობით თუ გადარჩება ქართველი ერი და არა „ნატოში“ ან რომელიმესხვა სამხედრო გაერთიანებით. ამას კი დამსახურება უნდა. ჭირსა შიგან გამაგრება გვმართებს. ყველაფრისთვის თავის სახელის დარქმევით, „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზაციებში გაწევრიანებით და აქტიური პოზიციით.

როგორ უნდა შეძლოთ სულიერად დაცემული და გადაგვარებული ქვეყნის მორალურ ზნეობრივად და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივად გაძლიერება?

ბატონი ბესარიონ გუგუშვილი ერთ-ერთ თავის ინტერვიუში ბრძანებს: „რელიგიური და ეროვნული შეგნების დაკნინებამ მოგვცა მხოლოდ და მხოლოდ ჩაცმა-დახურვაზე, სმა-ჭამაზე, მაღაზიებზე, ვიდეოფილმებზე, გართობაზე და ფეხბურთზე მოსაუბრე საზოგადოება, რომელიც არას დაგიდევთ არც ერის ტკივილებს და არც მისი ყოფნა-არყოფნის საკითხებს“-ო.

ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდების აღზრდაში აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ ოჯახის გარდა სკოლა, ეკლესია და სახელმწიფო. ოჯახი, სკოლა, ეკლესია და სახელმწიფო ჰარმონიულად უნდა თანამშრომლობდნენ.

თქვენი აზრით შეიქმნება თუ არა კავკასიური სახლი და გაერთიანება?

კავკასიური სახლის ფუნდამენტი ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოა. მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი კავკასიური სახლის შექმნა.

რას გვეტყოდით, ქართული სამეფო დინასტიის ტახტის აღდგენაზე ... დღეს არის ეს შესაძლებელი და თუ არა, მაშინ რატომ?

თუ სიმართლეს შევხედავთ თვალებში და რეალობას გავითვალისწინებთ უნდა ვაღიაროთ, რომ ნამდვილი ჭეშმარიტების მიმდევარი სამეფო დინასტია აღარ არსებობს და შესაბამისად ამ დინასტიის მემკვიდრეც აღარ გვყავს. ბაგრატოვანთა სამეფო გვარის ის მემკვიდრეები, რომლებიც პრეტენზიებს აცხადებენ სამეფო ტახტზე ჭეშმარიტ მართლმადიდებლობაზე მწყრალად არიან. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან ვინ უფრო დაწინაურდება პუტჩისტ-კომუნისტი-ეკუმენისტი პატრიარქის ილია მეორის კარზე. ასევე უკანონო რეჟიმებთან მეგობრობაში ხედავენ თავიანთ „მისიას“ და ელემენტარულად გულიც კი არ შესტკივათ ქართველი ერის გაჭირვებაზე. მითხარით ბაგრატოვანთა შტოს რომელმა წარმომადგენელმა ამოიღო ხმა იმ უსამართლობაზე, რომელიც ედუარდ შევარდნაძის პუტჩისტურმა ხუნტამ დაატეხა თავს ქართველ ერს.

საქართველოს ისტორიის ამ ეტაპზე ქართველი ერის ჭირისუფალი არის საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლება. დიახ, ქართველმა ერმა მას გადასცა ეს ლეგიტიმურობა, და თუ ამ ლეგიტიმურობას აღიარებს ბაგრატოვანთა წარმომადგენლები და საპატრიარქოს მოღალატურ პოზიციას ამხელენ როგორც დიდი სჯულის კანონისადმი ისე სამშობლოსთან მიმართებაში, აი მერე ვიფიქროთ სამეფო დინასტიის აღდგენაზე. არიან დღეს ანგლიკანი და სხვა სარწმუნოების მიმდევარი სამეფო დინასტიები მსოფლიოში, მაგრამ ღმერთისთვის ისინი გინდა ყოფილან გინდა არა. ჩვენ გვინდა დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის და ჩვენი სხვა რწმენისათვის თავდადებული ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტესათვის თავდადებული დიდი მეფეების დარი დღევანდელი მეფე.

1990 წლის 28 ოქტომბერის არჩევნებით და მას შემდეგ ამ მთავრობაზე ლეგიტიმური ხელისუფლება ქართველ ერს აღარ ჰყოლია.

იდეაში საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმურ ხელისუფლებას უნდა შეემზადებინა ქართველი ერის ჭეშმარიტად მართლმადიდებელი სამეფო დინასტიის აღსადგენად, მაგრამ ყველასთვის ცნობილი გარემოებების გამო მას არ მიეცა საშუალება ამ საკითხში ქართველი ერის წინამძღვრობისა.

დღეს ქართველი ერის დავით აღმაშენებელი ის არის და მომავალშიც ის იქნება, ვინც ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის ქვაკუთხედად ჭეშმარიტ მართლმადიდებლობას გამოაცხადებს და მისი პრინციპების თანახმად იმოქმედებს.

ინტერვიუ მოამზადა
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“
რელიგიური ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ
ნარგული ფირცხალაიშვილმა

ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსდახურდიას პირადი დაცვის წევრთან ბატონ ზაზა ლიპარტელიანთან

ინტერვიუს უძღვება ჟურნალ „მატიანეს“ კორესპონდენტი ქალბატონი
ნინო რაზმაძე

1) მოგესალმებით ბატონო ზაზა! ორიოდ სიტყვით, რას იტყოდით თქვენს შესახებ ?

მე, ზაზა ლიპარ-ტელიანი, ვცხოვრობ ქუთაისში, მყავს მეუღლე და ორი შვილი.

2) თქვენ იყავით საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრი თითქმის თავიდან ბოლომდე არა? ბოლო პერიოდი რატომ არ იყავით პრეზიდენტის გვერდით სამეგრელოში დევნილობისას?

მე ვიყავი ბოლომდე დაცვაში ოღონდ არ ვიყავი სამეგრელოში დევნილობისას პრეზიდენტის გვერდით, რადგან სანამ სოხუმს დავკარგავდით ორი დღით ადრე პრეზიდენტმა მე და სოსო თორია გაგვიშვა ზუგდიდიდან გროზნოში თავის ოჯახში, მერე წამოვედით, მინდოდა შესვლა სამეგრელოში, მაგრამ ბათუმიდან აღარ შეგვიშვეს, რადგან სამეგრელოს გზა გადაკეტილი იყო. მაგ დროს კი, ზვიადი უკვე ტყეში იყო და მე მომიწია ბათუმში დარჩენა.

3) რას იტყოდით მისი სიცოცხლის ბოლო პერიოდზე?

ტრაგიკული ისტორიაა! ფრთხილად უნდა შევეხო ამ თემას თვითონ ადამიანი იყო ტრაგიზმით სავსე, სულ ბრძოლა, სულ ომი და ტრაგიკული სიტუაციები. მოკლედ ასეთი ცხოვრებით იცხოვრა ამ ადამიანმა.

4) *რას იტყოდით ბატონ ბესარიონ გუგუშვილზე?*

იგი იყო მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე - პრემიერ მინისტრი და ამჟამად საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრობასთან ერთად მთავრობის თავმჯდომარე და საქართველოს რესპუბლიკის პირველი პირის მოვალეობის შემსრულებელი. ბესარიონ გუგუშვილი იმ გმირებს მიეკუთვნება, დიდი ნოკო ლორთქიფანიძე, რომ იტყოდა, „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიანო!'' აი,ზუსტად ეს ეპითეტი შეგვიძლია მოვარგოთ ბატონ ბესარიონს იმიტომ, რომ იგი არის უდიდესი ქართველი.

5) რა დამოკიდებულება გაქვთ პრეზიდენტის ოჯახთან?

მეგობრული ოღონდ შვილებთან. ზვიადის მეუღლესთან ქალბატონ მანანასთან შეხება არ მაქვს, რადგან ქალბატონი მანანა არის ამბიციური ქალბატონი, არ სჯერა არაფრის და თვითონაც არ იცის რა უნდა.

6) მოქმედებს თუ არა თქვენში ფორმულა, რომელიც ბევრმა ზვიადის მთავრობისა, თუ უზენაესი საბჭოს წევრმა, ან სხვა ჩინოსანმა და მომხრემ გაითავისა და პოლიტიკიდან თავის აცილების მიზნით გამოიყენა ,,- არ არის ზვიადი, მეც ვერ ვხედავ ჩემი პოლიტიკაში ყოფნის აზრს".

რათქმაუნდა არა, მე ვარ რეალისტი ადამიანი, იდეალისტი. ვაგრძელებ ცხოვრებას, მიყვარს ჩემი ქვეყანა, მიყვარს ჩემი ხალხი, რომელიც მიისწრაფვის დასავლეთის ღირებებულებებისაკენ და მიყვარს ინოვაციები.

7) თქვენი აზრით ბატონმა ზვიადმა თავი მოიკლა, თუ მოკლეს?

ბატონმა ზვიადმა ზვარაკად შესწირა თავი სამშობლოს, ხოლო იმ დღეს სინამდვილეში რაც მოხდა ეს გამოძიებამ გაარკვიოს. ჩემის აზრით იმ გასროლილმა ტყვიამ წერტილი დაუსვა ძმათა მკვლელ ომს, ეს საქციელი კი ხალხმა სისუსტეში ჩაუთვალა.

8) ეგრედწოდებულ რომელ ზვიადისტურ-ეროვნულ დაჯგუფებებთნ, ან პიროვნებებთან გაქვთ კავშირი-ურთიერთობა?

9)

რომელ დაჯგუფებაშიც არ უნდა იყოს პიროვნება აბსოლიტურად მე ყველა ზვიადისტი მიყვარს. ერთადერთი ჩემთვის რაც მიუღებელია - ადამიანი პრორუსი არ უნდა იყოს. მაგრამ თუ ზვიადისტი იყო და ახლა პრორუსია ჩემთვის შეუსაბამო კია მაგრამ მე მაინც მიყვარს. არამარტო ზვიადისტი ეროვნული მოძრაობის ყველა წევრი მიყვარს და მაქვს ურთიერთობა, რომელიც 87 წლიდან აქტიურად გამოვიდა ქუჩაში და იძახოდა: „საბჭოთა კავშირი უნდა დაიშალოს როგორც ბოროტების იპერია და არ უნდა იარსებოს" აი, ეს ადამიანები ყველა მიყვარს.

10) როგორ ფიქრობთ, რა არის სამშობლო თქვენთვის და თუ არის იგი დღეს დამოუკიდებელი და თავისუფალი?

ძალიან ბანალურად გამომივა მაგრამ მაინც ვიტყვი სამშობლო აბსტრაქტული თემაა ჩემთვის, დავესესხები რაფიელ ერისთავს და ბევრი, რომ არ ვილაპარაკო ,,როგორც უფალი სამშობლო ერთია ქვეყანაზედა".

11) ცხოვრობთ თუ არა ეროვნულ-სარწმუნოებრივად? რელიგიის საკითხებში ენდობით თუ არა საქართველოს საპატრიარქოსა და პატრიარქს, როგორია თქვენი დამოკიდებულება მათდამი?

მინდა არააგრესიული, ტოლერანტული და რომ ყველაზე კარგი და სამართლიანი საპატრიარქო ჰყავდეს ქვეყანას. მე არ ვენდობი დღევანდელ საპატრიარქოს და პატრიარქს.

12) რომელ პოლიტიკურ მიმართულებას ემხრომით - დასავლურს, პრორუსულს, კავკასიურს, თუ სხვას?

კავკასიური იდეოლოგია თითქმის იდენტურია. მე ვემხრობი კავკასიურს რუსული არის საშინელი იდეოლოგია რუსეთს აქვს მხოლოდ ერთი მიზანი როგორ გაანადგუროს საქართველო.

13) როგორ ფიქრობთ რა გზით მიიღწევა ჩვენი ქვეყნის სამართლიანობა-ლეგიტიმურობა, სახელმწიფოებრივი აღორძინება, კეთილდღეობა და საერთაშორისო წინსვლა?

ზვიადის მერე, უკანონო არჩევნები ჩატარდა, დროც ბევრი გავიდა და ამის გარკვევა, რომ დავიწყოთ განვითარებას შევაჩერებთ. ჩვენ მომზადებული არ ვართ იმისათვის, რომ გარკვევა დავიწყოთ უკანონო არჩევნებზე, უკანონოდ მოსულ ხელისუფლებაზე. ჩვენ კი ვართ ერი, მაგრამ არ ვართ ჩამოყალიბებული. ამ უკანონობის აღმოფხვრა რომ დავიწყოთ, დავჭამთ ერთმანეთს და შეიძლება ეს ყველფერი ომითაც დამთავრდეს ამიტომ მივყვეთ დინებს და იქნებ აღდგეს სამართლიანობა-ლეგიტიმურობა.

14) რას დაამატებდით ამ კითხვების გარდა და თავადვე რომ უპასუხებდით?

მე არავის ვაძლევ ინტერვიუს, მაგრამ რადგან ჟურნალი „მატიანე“ ხართ ამიტომ დავთანხმდი ინტერვიუს და მე მინდა ჩვენმა მომავალმა თაობამ იცოდეს რა მოხდა სინამდვილეში და ამის გარკვევაში მათ დაეხმარებათ ჟურნალი „მატიანე“ და ვურჩევ მათ ისწავლონ, ისწავლონ და ისევ ისწავლონ და ისინი არასდროს არ იომებენ ერთმანეთში, თუ ნასწავლები და განათლებულნი იქნებინ მაშინ ჩვენ მივაღწევთ ეროვნულ განვითარებას.

15) 19 ოქტომბერს ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ დაარსებიდან 30 წელი გავიდა, დაესწრებით და მიიღებთ თუ არა მასში მონაწილეობას?

სულით და გულით თქვენთან ვარ და თუ მოვახერხებ აუცილებლად დავესწრები.

16) რას უსურვებდით ჟურნალ ,,მატიანეს“?

შესანიშნავია ჟურნალი „მატიანე“ რომ გამოდის იმიტომ, რომ ეს ჟურნალი აუცილებლად დასჭირდება ჩვენს მომავალ თაობას, რადგან ჩვენმა მომავალმა თაობამ სიმართლე და ყველაფერი უნდა იცოდეს. როცა ყველაფერი იცი არც ომს იწყებ და არც არავის მტერი ხდები, ხოლო რაც შეეხება ჟურნალ „მატიანეს“ მას ვუსურვებდი ყველაფერს საუკეთესოს, წარმატებებს და ყოველთვის ასეთი სამართლიანი ყოფილიყოს ეს ჟურნალი.

აფხაზეთი – რეალობა და სიცრუე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ინჟინერ–გეოლოგი,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ–კორესპოდენტი,
მწერალი, საზოგადო მოღვაწე **ვაჟა კაკაბაძე**

წარმოდგენილ დოკუმენტურ ნაშრომში აღწერილია საქართველოს ერთ–ერთ მხარეში, სახელდობრ აფხაზეთში საომარი პროცესების გამომწვევი პირდაპირი და ირიბი მოვლენების მიზეზ–შედეგობრივი გარემოებანი და ომის მთავარ მიზეზად დასახელებულია საქართველოს აფხაზეთის მხარის სტრატეგიულად მიმზიდველი გეოგრაფიული მდებარეობა (სამხედრო, ეკოლოგიური და პოლიტიკური ასპექტებით), ხოლო ომის მთავარ პროვოცირების მხარედ სომხები და მიზეზად სომხების გლობალური პოლიტიკა, რომლის მთავარი მიზანია მსოფლიოში დაამკვიდრონ აზრი, რომ სომხები წარმოადგენენ მსოფლიო ცივილიზაციის შემქმნელები. და, ამ მიზნის განსახორციელებლად, მათ სჭირდებათ საქრთველოს კულტურა, ისტორიული ფასეულობანი, მითები და ლეგენდები, რისთვისაც ყველაზე ხელსაყრელი პირობაა აფხაზეთის ხელში ჩაგდება და თავის ისტორიულ სამშობლოდ გამოცხადება. ასევე, ომის მეორე მთავარი გამომწვევი მიზეზია რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა სურვილი საბჭოთა კავშირის რესტავრაციისა.

ნაშრომი წარმოადგენს ჩემი მომავალი წიგნის მცირე ნაწილს და დაწერილია რუსულ ენაზე იმიტომ, რომ გასაგები იყოს პოსტსაბჭოთა კავშირის ქვეყნების ყველა მოსახლეობისათვის.

ასევე მსურს აღვნიშნო, რომ ნაშრომში მოყვანილი ფაქტების უტყუარობა დადასტურებულია ინფორმაციის წყაროს მითითებით და მხოლოდ ამ წყაროების საფუძველზეა აგებული ჩემი ანალიზი.

Абхазия - ложь и реальность

Хорошо понимая важное стратегическое значение Абхазии, русские стремились удалить в Турцию ее мусульманское население, что, по их мнению, могло способствовать установлению политической стабильности в крае, так начелос изгнание живущщих в Абхазии Абсуа. Наместник Кавказа, русский князь М. Н. Романов прямо говорил, что «главная цель предположенного переселения (абхазов) в Турцию состоит в удалении от пределов наших той части населения, которая заключает в себе элементы наиболее нам враждебные» (*Дзидзария Г.А. Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Второе, дополненное издание. Сухуми, 1982, с. 284*). По указу императора (май, 1880 года) абхазы (точнее Абсуи) из-за участие в восстании 1877 года получили статус «виновного населения», который был отменен 30 лет спустя. Впредь им разрешалось селиться лишь на удалении 20 верст от Сухума. Вследствие вышеупомянутых факторов население Абхазии значительно уменьшилось. Как отмечал выдающийся кавказовед Н. Я. Марр, «Абхазия была обездолена… остались одни одичалые дворы с фруктовыми деревьями, ни души абхазской, ни звука абхазского» (*Марр Н. Я. О языке и истории абхазов. М – Л. 1938, с. 177*).Таким образом, в результате махаджирства в Абхазии появилось много свободных земель....

Армянская иммиграция в Абхазию началась в конце XIX века. В октябре 1879 года на Пицундском берегу высадилась первая группа армян из Трапезундской области Османской империи. В отличие от русских колонистов, армяне легче переносили субтропическую влажность и меньше страдали от малярии и цинги. Известный абхазский педагог и просветитель С. П. Басария писал об армянских колонистах конца XIX века следующее: «армяне очень осторожны к абхазам, признают за абхазской нацией исторические, юридические и насиженные права на территорию, называют себя гостями в Абхазии, ... (а тепер всё наабарот)

С. П. Басария не понимая тактику русских, и тем более армян, он во всех бедах вынил грузин.

Царская Россия, в дальнейше Советская и нынешняя Россия стремясь полностью поставить под свой контроль Абхазию, всячески помогали армян в геноциде абхазов и грузин.

Российские СМИ, контролирующиеся армянским лобби, уже давно ставят вопрос о том, что абхазы «криминальный» и «неблагодарный» этнос который не способен развивать экономику такого райского уголка как Абхазия, развели этнократию, криминал и коррупцию. Русскоязычному читателю внушается мысль о том, что «лучшие хозяевами» Абхазии будут «древние», «культурные» и «трудолюбивые» армяне, которые по факту уже стали в Абхазии большинством, но вот им «мешают» сами абхазы.

Было время, что по армянской пропаганде раньше Абхазии «мешали развиваться» грузины. Но абхазские сепаратисты вместе с армянскими боевиками из батальона им. Баграмяна и других формирований во время войны 1992-1993 гг. изгнали и истребили большую часть коренного грузинского населения. И вот теперь судя по всему, настала очередь самих абхазов.

Именно с целью того чтобы убедить русских в почти неизбежном конфликте поддержать армян и облегчить им геноцид грузин и абхазов появляются «заказные» материалы, статьи и разные ложные документы. И вот на этом ресурсе появился материал «Армянский вопрос в Абхазии» чье содержание в принципе близко к позиции армянских кругов близких к Кремлю. В общем, основная мысль материала «Армянский вопрос в Абхазии» заключается в том что Россия в Абхазии должна всячески поддерживать армян и обеспечить им полностью стать не только демографическое и экономическое, но и политическое доминирование на этой территории. Причем очевидно, что «арменизация» Абхазии может сопровождаться геноцидом и этническими чистками, но на этот раз в отношении самих абхазов. В итоге по всем информационным и пропагандистским каналам муссирует мысль о том, что «Абхазию нужно отдать армянам».

Таким образом, армянское лобби «вцепилось» в Абхазию мертвой схваткой. Оно не опустить ее, даже если в Кремле поменяться власть, поскольку и оппозиционные силы также в абхазском вопросе настроены проармянски.

Естественно армянское лобби делает все, чтобы исключить саму постановку вопроса возвращении Абхазии Грузии и возвращении грузинских беженцев. Не для того армянами разыгрывались «геополитические комбинации» по факту поставившие Абхазию под армянский контроль чтобы сейчас от этой земли отказываться.

Для этого они уже начали действовать, например для создании географический и экономический непрерывный контакт с "будущей Армении", армянское лобби решило быстро организовать транзит своих грузов через оккупированные территории Грузии – Абхазию и Цхинвальский регион, но «без лишнего шума». И убедило также «тихо», игнорируя национальные интересы Грузии и общественное мнение, действовать “грузинское” правительство (в правительстве грузии много армян с грузинскими фамилиями) и последовало действия в Грузии, была создана так называемая «межведомственная комиссия по реализации грузино-российского соглашения о «мониторинге товарооборота на границе», в том числе на территории самопровозглашенных Абхазии и Южной Осетии (Самачабло - древное название этой территории). Интересно то что Швейцарская компания Société Générale de Surveillance SA (SGS) будет контролировать грузы, проходящие через Верхний Ларс, реку Псоу (ее грузинский берег контролируется сепаратистским режимом Сухуми) и Рокский туннель (Цхинвальский сепаратистский режим). Грузы будут свободно передвигаться по сепаратистским территориям, а контролировать их будут лишь на грузинских и российских таможенных терминалах примыкающим к этим территориям. При этом все прекрасно понимают, что этот нарушающий государственный суверенитет и территориальную целостность Грузии, «мониторинг на границе» осуществляться исключительно в армянских интересах.

Министр транспорта, связи и информационных технологий Акоп Аршакян официально заявил, что переговоры продолжаются в ползу Армении, однако он пока предпочитает воздержаться от представления подробностей и комментариев, «чтобы не повредить им». Он отметил: "надо сделать все по-тихому и не «вспугнуть» грузинское общество.

При этом Акоп Аршакян отметил, что речь не идет о паромной переправе Поти-Новороссийск, которой армянская сторона пользуется по мере необходимости. Т.е. намек более чем прозрачен – речь идет об оккупированных территориях Грузии – Абхазии и Цхинвальском регионе и только о них.

Обратим еще внимание на один факт – этнические абхазы в Гагре в 1977 г. составляли ничтожное меньшинство. Самой крупной по численности этнической группой здесь были именно армяне. Стали большинством в Гагре армяне тоже не случайно. Как отметил (2018 г.) в своем вступлении депутат Милли Меджлиса, председатель Социал-демократической партии Азербайджана Араз Ализаде «когда в 60-е годы в городе Гагры первым секретарем стал армянин Гаранян, он тут же стал переселять туда армян. И они стали компактно селиться в городе, там до сих пор одну улицу называют улицей Гараняна».

Фактически оккупировав Гагру к началу 70-х годов, и став здесь большинством армяне решили не останавливаться на достигнутом и поставили целью сделать «армянской» всю Абхазию. А для этого им нужно было поссорить братские абхазский и грузинский народы и отделить Абхазию от Грузии.

Получается именно армяне в Гагры и начали сепаратистское движение за «независимость Абхазии» еще в 70-х годах прошлого века. Естественно не для «блага абхазов», а в своих, армянских интересах. Но истоки сепаратизма идёт с давних лет и его основа является письмо (письмо было направлено в Кремль) написанное человеком живущий в Донецке и требующее отделения Абхазии от Грузии. Ну а составителем письма стал проживающий в Донецке армянин (Есианов - Есаянц). В том самом Донецке, который по какой-то злой иронии судьбы сегодня является «столицей» непризнанной сепаратистской ДНР, отделившейся от Украины.

Т.е. толчок абхазскому сепаратизму составлением провокационного письма более 40 лет назад положил этнический армянин Есаянц – Есианов. Естественно он действовал не один. За ним стояло могущественное армянское лобби, которое уже тогда, похоже, планировало этнические чистки на Кавказе в интересах Армении и армян.

Напомним, что все это было задолго до карабахского конфликта. Т.е. армянские националисты начали «делить по живому» Грузию в своих интересах еще до того, как сформулировали свои территориальные претензии к Азербайджану.

Поэтому не нужно удивляться ненависти армянских националистов к Грузии и то, что Армения регулярно голосует на Генассамблее ООН против возвращения грузинских беженцев в Абхазию, где большинством населения стали армяне, которые таким образом «добились своего» и сегодня полностью контролируют экономику сепаратистской территории.

А вот еще один доказательство: 1 декабря 2018 г. в отеле Radisson Blue Iveria в Тбилиси прошла традиционная зимняя благотворительная ярмарка. В девятнадцатой по счету ярмарке приняли участие сотрудники диппредставительств 25 посольств, включая посольство Армении. Участниками предновогодней выставки-продажи были сотрудники посольств. Они представляли книги, сувениры, декоративные изделия, образцы ручной работы и национальные новогодние лакомства разных стран и т. д..

К экспозиции посольства Армении был повышенный интерес: еще бы в этом году (1918) Армения пережила «майданную» революцию! И сейчас готовится провести парламентские выборы, которые победу той «революции» закрепят. И что же предложили «революционные» армяне гостям выставки: Центральным объектом выставки было новые издания хорошо иллюстрированного сборника «Исторические карты Армении». Его автором является основатель Армянского института в Лондоне, почетный доктор Национальной Академии Наук Армении Рубен Галичян. Понятно, что большинство карт посвящено никогда не существовавшей «великой Армении» невероятных размеров «раскинувшейся» на землях Азербайджана, Турции и Грузии.

Учитывая то, что президент Армении Армен Саркисян связан с Лондоном и вообще является британским гражданином, то очевидно, что решение «выставить» исторически сфальсифицированные карты Армении принималось на самом высоком уровне. Но и это не все. Из карт обращает внимание то, как представляют себе «картографически» армянские власти современную политическую ситуацию на Южном Кавказе. Здесь грузинские территории, где сейчас расположены сепаратистские Абхазия и Цхинвальский регион (т. н. Самачабло) выделены отличным от остальной Грузии цветом как, по сути, «отдельные государства».

Но самое главное – на международно-признанных землях Азербайджана – в Карабахе, ныне оккупированном Арменией, изображено никем не признанное псевдо-«государство» – «НКР» или «Арцах».

Даа, у армян аппетит большой ведь не зря воевали: в начале февраля 1993 года был сформирован армянский Отдельный мотострелковый батальон им. маршала И. Х. Баграмяна во главе с командиром Вагаршаком Косяном. За истребление грузин, армянские воины представлены к различным наградам. Звания Героя Абхазии удостоены двадцать человек, в их числе Ашот Косян, Ваган Раганян, Галуст Трапизонян, все члены легендарного танка «Тигр» - лабринцы Габриэл и Айк Кесяны и Смбат Керселян, командир Сухумского батальона, а после Датской операции командир армянского батальона Сергей Матосян, а также посмертно - Мисак Еремян, Артур Исаханян, Ованес Барцикян; многие награждены орденом Леона, в их числе Вагаршак Косян, и медалями.

საქართველოს ხსნის გასაღები ლეგიტიმური მთვარობის აღდგენაშია

ნარგული ფირცხალაიშვილი

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ რელიგიური ქვეკომიტეტის თავმჯდომარე

ქართველი ერი რწმენამ გადაარჩინა, ქრისტეს სჯულისთვის თავდადებამ და ჯვარზე გაკვრამ გადაარჩინა. უფლისთვის თავდადებული ქვეყანა ებრძოდა ყოველი მხრიდან შემოსეულ გარეშე, თუ შინაურ მტერს და გმირულად უმკლავდებოდა.

როცა რწმენა ძლიერი იყო ერში, მტერს ადვილად სძლევდა, მაგრამ უფლის სიყვარული როცა შესუსტებოდა, როცა ერი ზნეობრივად და სულიერად გადაგვარდებოდა, მას უამრავ განსაცდელს უგზავნიდა.

მრავალი ქრისტიანული ქვეყანა გაეხვა მწვალებლობის ქსელში და უარყო ჭეშმარიტი რწმენა, სატანის მოციქულებს შეუერთდა.

„ერთი ასზე მოდიოდა." „არ გავთათრდებით, არა!" იყო ქართველების პასუხი და გულანთებულნი თავს დებდნენ ქრისტეს სჯულისთვის. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ერის მამამ ილია ჭავჭავაძემ გამოაფხიზლა საღათას ძილში გახვეული ქართველობა, გულში ჩაუბეჭდა სამი უძვირფასესი სიტყვა: "მამული, ენა, სარწმუნოება".

დიდ მამულიშვილს არ აპატიეს სამშობლოს სულიერი აღორძინებისათვის ბრძოლა და შინაურმა მტრებმა მოგვიკლეს. ილიამ ერში კეთილი ნაყოფი აღმოაცენა და მის მიერ გაკვალულ გზას ბევრი გაჰყვა. ილია ჭავჭავაძის იდეა ქართველი ერისთვის მთავარი მიზანი გახდა.

მე- 20 საუკუნის 20-იან წლებში, 1918 წლის 26 მაისს ქართველმა ერმა მიაღწია ნანატრ თავისუფლებას, რომელიც ხანმოკლე გამოდგა. ათეისტმა ღვთის მტრებმა - ბოლშევიკებმა ცეცხლითა და მახვილით, დახვრეტებითა და გადასახლებებით გაანადგურეს მორწმუნე ადამიანები როგორც რუსეთში ისე საქართველოში, გადაწვეს ეკლესია-მონასტრები, მაგრამ ქართველ ერში ქრისტეს სჯული მართლმადიდებლობა, ვერ ამოშანთეს.

კოლხურ კოშკში, კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში იშვა ქართველი ერისთვის ზნეობრივი და მართლმადიდებლობის მქადაგებელი, ბატონი ზვიად გამსახურდია, რომელსაც ბავშვობიდანვე აუნთეს გულში უფლისა და სამშობლოს სიყვარულის ჩაუქრობელი ცეცხლი.

მასთან ერთად აღიზარდა მომავალი გმირი ქრისტეს მხედარი - მერაბ კოსტავა. საუკუნის გმირებმა, გულში ღრმად ჩაინერგეს ილია ჭავჭავაძის მოწოდება და დაიწყეს ბრძოლა სამშობლოს გათავისუფლებისათვის. გამოაფხიზლეს ქართველი ხალხიც და შეებრძოლენ წითელ გველეშაპს - საბჭოთა კავშირს.

სულიერად გაძლიერებულმა ორმა უშიშარმა ქრისტესმიერმა მეგობარმა შეძლო ასიათასობით ქართველის დარაზმვა და საქართველოს დამოუკილებლობის გამოცხადება.

ბატონმა ზვიადმა სიღრმისეულად იცოდა ქრისტიანობის არსი, მიწიერი და ზეციური ეკლესიის არსი, მან მშვენივრად იცოდა, რომ ცხვრის ქურქში გახვეული მგელმტაცებელი მღვდლების და „ბრბოს ფსიქოლოგიით" ერი ვერ მიაღწევდა სულიერ აღმავლობას.

როცა საქართველოს სულიერი ძალები გამოეცლებოდა, იგი ფიზიკურადაც სუსტდებოდა, ასეა დღესაც. სულიერებისაგან დაცლილი და გამოფიტული ერი ვერაფერს შექმნის. რის მიღწევას შეძლებს იგი? შექმნის კი ძლიერ ქრისტიანული მრწამსის ქვეყანას? რა თქმა უნდა, ვერა.

გადაგვარებული, გზასაცდენილი, სოდომის ცოდვით და ნარკოტიკებით გაბრუებული „ბიომასა" შეძლებს კი ძლიერი მართლმადიდებლური სახელმწიფოს შექმნას? არა და ვერა. იქ, სადაც უშლიან მართლმხილებას და ამას განკითხვას ეძახიან, ჭეშმარიტება ვერ იარსებებს.

ბატონი ზვიადი მართლმადიდებლობის შესახებ წერს: „რაც შეეხება საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას, როგორც მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ- ერთი ნაწილი იგი კვლავაც ღვთის მადლის მატარებლად რომ დარჩეს, ამისთვის საჭიროა „ტაძრის მსახურთა" კეთილმსახურება, ე. ი. ჩვენ შემთხვევაში ბოროტმსახურთაგან ტაძრის განწმენდა, რასაც მხოლოდ სრული სასულიერო კრება ახორციელებს, მთელი მართლმადიდებელი ერის თანადგომითა და უშუალო მონაწილეობით."

იბერია ვერ გაბრწყინდება „უზნეო ბრბოს" ფსიქოლოგიით, სექტანტობაში ათქვეფილი ვითომ ქრისტიანობით ,ანუ ეკუმენიზმით! საჭიროა ერის აღზრდა მართლმადიდებელური ჭეშმარიტი რწმენით, ეროვნული სულისკვეთებითა და ამაღლებული ზნეობით.

სულს ოქროსა და ვერცხლზე კი არ უნდა ვყიდდეთ, არამედ ცოდვებისაგან ვასუფთავებდეთ. აბა, რა მოგვცა სულიერებისაგან დაცლილმა მთავრობებმა და ხალხმა 1992 წლიდან დღემდე, საშინელებები: კაცთა-კვლა, ღმერთისა და სამშობლოს ღალატი, ტერიტორიების გაყიდვა, ახალგაზრდების განარკომანება, სოდომის ცოდვით დაცემა, ქაოსი და ქვეყნის გაპარტახება, სამშობლოს მტრებისადმი დამონება და ერის დაცემა სულიერად და ფიზიკურად.

რომელმა მთავრობამ განახორციელა დღემდე მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, რომელმა მთავრობამ მოიწვია ახალი რუსი-ურბნისის კრება და განწმინდა ტაძრები უღირსი სამღვდელოებისაგან?

არადა უფალზე ვართ დამოკიდებული, მხოლოდ მას შეუძლია ჩვენი ხსნა. დღემდე არავის უფიქრია ამაზე გარდა ლეგიტიმური მთავრობისა. ბატონი ზვიადის აზრით, რიგით მოქალაქეს უნდა ახასიათებდეს: ღვთის, მოყვასის და სამართლიანობის სიყვარული. მისივე აზრით, ქვეყნის მმართველი უნდა იყოს ქრისტეს მბაძავი მოყვასის სიყვარულით, სამართლიანობით, შემწყნარელობით, სიმტკიცითა და ბოროტი ძალებისადმი შეურიგებლობით გამორჩეული პიროვნება.

რომელი მთავრობა იყო დღემდე ასეთი? არცერთი. რა გააკეთეს? არაფერი, გარდა კაცთა კვლისა, ტერიტორიების დაკარგვისა, ახალგაზრდობის განაკორმანებისა და ზნეობრივად გადაგვარებისა.

ასეთი მთავრობა მხოლოდ ზვიად გამსახურდიას იდეის მატარებელი მთავრობაა, ლეგიტიმური მთავრობაა, რომელიც ქრისტეს გზით მიდის და არა ბარაბასი.

მან მიზნად დაისახა ზვიად გამსახურდიას იდეის აღსრულება, ქართველი ერის სულიერი მისიის აღსრულება. „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო", „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" და „ილია მართლის საზოგადოება“.

აი მიმდევრები ზვიად გამსახურდიას იდეისა!

სანამ ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა არ აღსდგება ჩვენში, ჩვენს ერს გადარჩენა არ უწერია. ამ იდეის განმახორციელებლები არიან ლეგიტიმური, დევნილობაში მყოფი მთავრობის პრემიერ მინისტრი ბატონი ბესარიონ გუგუშვილი, პირველი ვიცე-პრემიერი ბატონი იოსებ ღუდუშაური, „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე და კავშირის ლიდერი - ბატონი ნუკრი ბაღდავაძე, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ თავმჯდომარე - ბატონი მალხაზ მუსერიძე კავშირის ახალგაზრდული ფრთით, ვებ-საიტ „დიდგორის'' რედაქცია ბატონ გიორგი წულაძის ხელმძღვანელობით და საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ აქტიური წევრები ღვაწლმოსილი ქალბატონი კლარა ტონია, ასლან ბარამიძე, ხათუნა ხიზამბარელი და სხვები.

ქართველმა ერმა უნდა უნდა გაითავისოს, რომ ქართველი ერის გადამრჩენი უფალია, მართლმადიდებლობაა. იბერიის გაბრწყინება ნიშნავს ქრისტეს გზით სვლას, ყველა მართლმადიდებელი ქართველის სულიერ და ზნეობრივ განსპეტაკებას.

დასასრულს კი მინდა ზვიად გამსახურდიას სიტყვები შეგახსენოთ:

„ქართული ცნობიერება უნდა აღდგეს ქრისტიანული რწმენითა და ქართული ეროვნული იდეოლოგიის აღორძინებითა და პროპაგანდით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივიზაციით, ქართული სახელმწიფოებრიობის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივიზაციით, ქართული სახელმწიფოებრიობის და ეროვნული ხელისუფლების აღდგენით. ეს კი ჩვენი ბრძოლის უმთავრესი მიზანია წინააღმდეგ შეთმხვევაში მოგველის ეროვნული გადაგვარება და კატასტროფა. ღვთისა და მამულისათვის თავგანწირვა დღეს ერთადერთი გზაა გადარჩენისა.“

დიდება მამასა და ძესა და წმინდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ!

ლუარა (ლულუ) სვანაძე

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - - ეროვნული აღორძინების“ წარმომადგენელი იტალიაში, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კომიტეტის წევრი

ტკივილი, რომელიც სიკვდილზე მეტია

ტკივილი, რომელიც სიკვდილზე მეტია, სამშობლოსა და ოჯახის დატოვებაა.

ეს მწარე განცდა 2010 წლის 5 ოქტომბერს მქონდა, როდესაც იძულებული გავხდი უცხოეთში წამოვსულიყავი. უკეთესობის მოლოდინში დიდხანს ვითრიე ფეხი, მაგრამ ქვეყნის დამანგრევლებმა ესეც არ გვაკმარეს, დიდი პატივით ჩამოაბრძანეს საქართველოს ყველაზე დაუძინებელი მტერი - შევარდნაძე. იმ იმედით, ახლა მოვა ხალხი გონს მეთქი, რომ არ მოხდა და გასაყიდიც აღარაფერი დაგვრჩა, გადავწყვიტე უცხოეთში წავსულიყავი.

სწორედ აქედან დაიწყო ჯოჯოხეთი. თითქოს შევეგუე რისთვისაც წამოვედი სამშობლოდან, მაგრამ საკუთარი თვალით ნანახმა - ე. წ. დამსაქმებლისგან, „პუჩისტებისგან“, ბანკებისგან, ჰიპოტეკარებისგან გაძარცვული ოჯახის ქალები, უბინაოდ დარჩენილები, ზოგიერთს მცირეწლოვანი ბავშვები რომ ჰყავდა დატოვებული, აცრემლებული ატირებული დედები რომ ვნახე, სულით ხორცამდე შემძრა. ფუჭი აღმოჩნდა დამსაქმებლის დაპირება სამ კვირაში დაგასაქმებთო, სინამდვილეში სამ თვეშიც კი ვერ დაგვასაქმა.

საკუთარ ემოციებს სხვისი გაჭირვებაც ემატებოდა. ყოველდღიური იყო ერთ ევროდ შეგროვილი საჭმელი (ზოგს ესეც არ ჰქონდა), ხუთი ევრო ბინის ქირა და მსგავსი გაჭირვებები. სასოწარკვეთილი იყო ჩვენი ემიგრანტები. ზოგჯერ ვერც ვუძლებდი და როგორც კი ირიჟრაჟებდა, ყოველივე რომ არ მენახა, გარეთ, ქუჩაში გავდიოდი. თან საშინელი იყო შიში იმისა, რომ უსაბუთონი არავის გავეჩერებინეთ. თან შენს ტკივილს უარესი სხვისი ტკივილიც რომ ემატება, თუ გული გაქვს, გაუსაძლისია.

მახსენდება, ერთი უპატიოსნესი ქალბატონი აგარიდან, რომელსაც მევახშე შვილების მოკვლით ემუქრებოდა, საკუთარი თავისთვის საჭმელსაც ვერ იმეტებდა, ისე დაუძლურდა, შემდეგ ფსიქიკური პრობლემებიც დაეწყო. ერთიანი ძალით, რის ვაი-ვაგლახით გამოვუშვით საქართველოში.

რამდენმა აქ დალია სული ისე, რომ ვერ მოესწრო წლობით უნახავი შვილებისა და შვილიშვილების ნახვას. რამდენი ოჯახი დაინგრა, რამდენმა ქალმა აქ მოძებნა იოლი გზა. არც მე ამცდა ის საშინელება, რისიც ყველა უსაბუთო ქართველს ეშინია.

დამსაქმებელმა ისეთ ოჯახში მიმიყვანა (რაშიც პირველი ხელფასი გადავიხადე მთლიანად), სადაც აღმოჩნდა ციხიდან მობრუნებული მოსავლელი ავადმყოფის შვილი,

რომელსაც შიდა პატიმრობით შეუცვალეს სასჯელი და დღე-ღამეში ხუთჯერ ამოწმებდა პოლიცია. ბოდიშის მოხდით პოლიციამ საბუთი მომთხოვა. პასპორტის გადამალვა მოვასწარი და ასლი მივეცი. თან ენა არ ვიცოდი, გამჩხრიკეს, გადმომიტრიალეს ჩანთა. ბავშვების სურათები ამოიღეს. ჩანთაში, ცელოფანში, იერუსალიმიდან ჩამოტანილი მიწა მედო. გახსნეს და დაყნოსეს უცებ ვიყვირე: „ - კვესტა ტერა სანტა და იერუსალიმა!“ უცებ დამიბრუნეს. ბავშვების სურათს დახედეს თავი გადააქნიეს. ერთმა პასპორტის ასლი წაიღო ერთი საათი ვიდექი სიცივეში ანერვიულებული. მოვიდა მეორე პოლიციელი და ყველაფერი წესრიგშიაო, ანუ ცუდზე არ არის შემჩნეულიო. თუმცა მაინც უნდოდათ განყოფილებაში ჩემი წაყვანა. აი მაშინ კი, ამოვიდგი ენა, უფალმა ძალა მომცა და როგორ ავუხსენი დამტვრეული იტალიურით, რატომ ვართ აქ ქართველები, რა მოახდინეს საქართველოში რუსმა ოკუპანტებმა, როგორ წაგვართვეს ბანკებიდან ფული და გაგვიძევეს ქვეყნის პრეზიდენტი. ეს რა იყო ვერ ავხსნი. ალბათ გაჭირვება მანახე და გაქცევას განახებო. მე არ ვლაპარაკობდი, ვიღაც ლაპარაკობდა ჩემი პირით. გადმოცემა არ შემიძლია. ეს ძალა უფალმა მომცა. არ დამავიწყდება პოლიციელების უდიდესი თანაგრძნობა და სიტყვები. ვხედავთ სერიოზული ქალბატონი ბრძანდებით, განათლებული, გთხოვთ ამ სახლში მეორედ არ მოხვიდეთ, გვითხარით სად მიდიხართ და წაგიყვანთო. სად წავსულიყავი?! დამსაქმებელთან? თუმცა ის თვითონ კი იყო ღირსი.

სწორედ იმ დღეს, თორმეტი ქართველი უსაბუთო ქალი კიდევ აიყვანეს ამანათების გასაგზავნად რომ მიდიოდა, მათზეც ვნერვიულობდი. შემდეგ დავურეკე და მომაკითხა ერთმა ბაღდათელმა ქალმა, თავის ბინაში წამიყვანა, სადაც მუშაობდა. დიდი პატივით მიმიღო მისმა ქალბატონმა. ეგონა ავტობუსზე დამაგვიანდა, თორემ სახლში არც შემიშვებდა.

ასე ცუდად ექცევა ბევრი ქართველი, ვითომ დამსაქმებელი, ქართველს. ოღონდ ფული აიღოს და არ ანაღვლებს სად გიშვებს. არც სული აქვთ ეროვნული და არც ადამიანობა. როცა დავბრუნდი და გავაანალიზე რაც მოხდა, შემდეგ ჩავვარდი დეპრესიაში. ადგილს ვერ ვპოულობდი. ვიგონებდი, თუ როგორ ვუხსნიდი ჩემს გაჭირვებას იტალიელ პოლიციას, მაგრამ ერთი სიტყვაც არ მახსოვდა.

კიდევ სამი თვე მომიწია ლოდინი. რომ არა ჩემი ორი უმცროსი მეგობარი ცოლ-ქმარი, არ ვიცი რა იქნებოდა, მათ უანგაროდ, მათთან ახლოს მიშოვნეს სამსახური. თბილად მახსენდება ის ადამიანები, რომლებმაც ოჯახის წევრივით მიმიღეს. ჯიუტი და ამაყი ქალბატონიც მოვათვინიერე და ოთხი წელი გავატარე მასთან, სანამ არ გარდაიცვალა. ოჯახმა საბუთიც გამიკეთა და ახალი სამსახურის შოვნამდე, მათთან ცხოვრების უფლებაც მომცა.

აი, ასეთი ჯოჯოხეთისთვის იმეტებს ჩვენი „პუჩისტური“ წარმომავლობის მთავრობა თავის ხალხს. ხალხს კი, უცხოეთში გადახვეწილებს, სამშობლოს სიყვარულში ძვრებათ სული.

ერთხელ, წირვის ბოლოს, მღვდელმა დამსაქმებლებზე ჩამოაგდო ლაპარაკი. მივხვდი ვისი მისამართითაც, რადგან იგი ჩემგან ცოტა მოშორებით იდგა. ვინც ხალხს აწვალებს და ფულებს იღებს არ გაპატიებთ უფალიო. ცოტა ხანში მივიხედე, დამსაქმებელი გაპარულიყო.

როცა ეკლესიიდან გამოვედით, მეგობარს ვეუბნები როგორ უცებ გაიპარათქო, გაგვეცინა. მივდივართ გზაში და ჩემთვის ვლაპარაკობ ლექსად რაც მოძღვარმა თქვა.

არ ვიცი როგორ მოგეწონებათ ჩემი ნაამბობი?!

ზღვაში წვეთია ეს ყველაფერი!

კაცთმოძულე მარიონეტულმა ფაქტობრივმა მთავრობამ ამდაგვარად გადმოგვყარა უცხოეთში. კაცს კაცობა ჩამოართვა, ქალი კი ჩააგდო უცხოთა ხელში. რამდენი დამცირება აქვს თავმოყვარე ქართველ ქალს?! რა უნდა ვქნათ?! ბედად ეს გვარგუნეს, ვემსახუროთ უცხო ხალხს, თავისი ოჯახის მიტოვება რომ მოუხდა და აქ, სხვის მშობლებს უვლის, თავისი რომ ენატრება, აქ კი, სხვის შვილებს უვლის, ოჯახს რომ არ სჭირდებოდეს, ალბათ, ვერ შევძლებდით ამას. ეს მისია ვიკისრეთ და შევასრულებთ ალბად ...

გიორგი წივწივაძე
„საქართველოს კატასტროფების რისკების
შემცირების და მდგრადი განვითარების ეროვნული კომიტეტი“
მწვანე ენერგეტიკის განყოფილების უფროსი
შპს „ედვენსმენტ საინზის“, შპს „ჰაიდროჯენ ტექნოლოგი“
დამფუძნებელი, გენერალური დირექტორი

საქართველოს უახლესი გამოწვევები

საქართველოს უახლესი ისტორიის მანძილზე, ჩვენი ქვეყანა მრავალგზის და მრავალმხრივ აღმოჩნდა სამართლებრივ, პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიურ, თუ დემოკრატიული ცვლილებებისთვის დამახასიათებელი შოკური რეაქციების ქარცეცხლში.

დღეისათვის, საქართველოს მთავრობამ მეტნაკლებად შეძლო დაეძლია ეს კრიზისი და დაიწყო ისეთი სახელმწიფოს მშენებლობა, რომელიც მომავალში, იმედია, დაეფუძნება დემოკრატიის უმთავრეს პრინციპებს: სამართლიანობას, თავისუფლებას, თანასწორობას, კანონის უზენაესობას და ადამიანის უფლებათა პატივისცემას, სადაც ხელშეუხებელია საკუთრება, თავისუფალია ბიზნესი, ხელისუფლების გავლენისგან გათავისუფლებულია სასამართლო და მედია, პოლიცია არ მოემსახურება ერთ პოლიტიკურ ძალას, სადაც ყველას ექნება განათლებისა და სამედიცინო დახმარების მიღების საშუალება და მთავრობის ძალისხმევა მიმართული იქნება რეალური და გეგმაზომიერი რეფორმების განხორციელებისკენ.

ერთის მხრივ, ეს ძალიან პოზიტიური და იმედის მომცემი საწყისია, რომელიც უკვე მეშვიდე წელია გრძელდება! რა თქმა უნდა, სოციალური ამოცანების გადაწყვეტა ქვეყნისთვის პირველხარისხოვანი ამოცანაა, მაგრამ სახელმწიფოს არ ძალუძს ამ ეტაპზე ერთდროულად მოიცვას ეკონომიკური განვითარების მთელი სპექტრი. ანუ ამ მიზნით ჯერ შემუშავებულ არ იქნა მშპ-ს პერსპექტიული ხედვის გასაანგარიშებელი ალგორითმი, მისი სტრუქტურული მოდელირებით რაც საშუალებას იძლევა ამა თუ იმ მოვლენის ნებისმიერ ეტაპზე გასაანალიზებლად გათამაშდეს სხვადასხვა სცენარები და ზუსტად განისაზღვროს არა მარტო პრიორიტეტული მიმართულებები, არამედ მოიცვას ეკონომიკური განვითარების მთელი ჭრილი ფინანსურად, დროსა და სივრცეში. მითუმეტეს რომ ქვეყნის დღევანდელი ეკომიკის ზრდა, მშპ-ს დინამიკური ტრენდის თვალყურის დევნებით არ ხერხდება.

არადა აუცილებელია ნებისმიერ დროს სიტუაციის კორექტირება და გადაუდებელი ღონისძიებების შემუშავება, ისე როგორც ეს ხდებოდა დღეს უკვე მოწინავე ქვეყნების უახლეს ისტორიაში. საქართველოს სამთავრობო გეგმაში ჩვენ შეგვიძლია ამოვიკითხოთ, რომ საქართველოს სწრაფი განვითარებისთვის განსახორციელებელია რეფორმების 4-პუნქტიანი გეგმაა, რომელიც სრულად პასუხობს თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის მთავარ გამოწვევებს და განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ ზრდას. ამ გეგმით, მთავრობა ფოკუსირებას მოახდენს ზუსტად იმ მიმართულებებზე, რომლებიც მოიტანს თვისებრივ ცვლილებებს ქვეყნის განვითარებაში, უზრუნველყოფს ეკონომიკის სწრაფ ზრდას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

სწორედ ამ მხრივ გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ რომ, ზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკური განვითარება პირდაპირ კავშირშია საზღვაო-სამეურნეო კომპლექსის პოტენციალის გამოყენებასთან. ქვეყნებისთვის ზღვისპირა მდებარეობას აქვს როგორც უდიდესი ეკონომიურ-პოლიტიკური ასევე სტრატეგიული მნიშვნელობა. ნავსადგურები განსაკუთრებულად დიდ როლს ასრულებენ ქვეყნის სატრანსპორტო დამოუკიდებლობასა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების საკითხებში, ასევე ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ამაღლებაში, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში და ა.შ.

ანაკლია ძალიან მნიშვნელოვანი სანაპირო დასახლებაა საქართველოს ტერიტორიაზე საზაფხულო რეკრეაციული ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით: ჯანდაცვის ცენტრების, სასტუმროების, დისკოტეკების, რესტორნების, ბარების, კაზინოების, საწყალოსნო-სპორტული ცენტრების, მონადირეთა და მეთევზეთა კოტეჯებისა და სხვა დასასვენებელი ობიექტების მშენებლობისათვის. მისი უნიკალური ბუნებრივი ლანდშაფტი საშუალებას იძლევა, როგორც ჩვეულებრივი, ასევე ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებისათვის. ეს ღმერთითბოძებული სანაპიროა შავ ზღვაზე, სადაც შესაძლებელია და აუცილებელია ღრმაწყლოვანი მრავალფუნქციური პორტის მშენებლობა სხვადასხვა ტვირთების (თხევადი, ნაყარი, კონტეინერი, ro-ro, სამგზავროდაა.შ.) ტრანსპორტირებისათვის. თუმცა, 2015 წლის ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ აქ დაგეგმილია მხოლოდ საკონტეინერო ტერმინალის, ანუ პორტ-ჰაბის მშენებლობა, რომელიც ხშირად, მთავრობის წევრების მიერ, შავ ზღვაზე ლოჯისტიკის ცენტრად მოიხსენიება.

საქართველოს ფართო საზოგადოებას კარგად ესმის ღრმაწყლოვანი პორტის მნიშვნელობა ქვეყანის ეკონომიკური განვითარებისათვის, მაგრამ ისევე, როგორც ზოგიერთ ბიუროკრატსა და პორტის დღევანდელ ხელმძღვანელს მცირე წარმოდგენა აქვს იმის შესახებ, თუ რა ფუნქციების მატარებელია „პორტი-ჰაბი“. დღევანდლამდე, ქვეყნისათვის ასეთი მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობისას, საზოგადოებისათვის არავის მიუწოდებია ისეთი საინტერესო და საჭირო ინფორმაცია, როგორიცაა პორტის პროექტის კონცეფცია, ასევე არ უჩვენებიათ მთლიანად პორტისა და მოლოების საბოლოო ვარიანტის ნახაზები, მათი ზომები, კონსტრუქციული გადაწყვეტა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროექტი, ასევე არ მიუთითებია ადგილი, სადაც გაცნობის მიზნით შესაძლებელია ამ დოკუმენტების მოძიება, რაც არის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ექსპერტიზის მოთხოვნის პირდაპირი დარღვევა. ასევე არ უპასუხიათ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასთან დაკავშირებულ კითხვებზე. ეს ფაქტი არამარტო ადგილობრივი მოსახლეობის, აკადემიური და სხვა ინტელექტუალური წრეების, არამედ მთლიანობაში საქართველოს ფართო საზოგადოების ინტერესების უგულებელყოფაზე მეტყველებს.

მეორეს მხრივ აშკარად განსაცვიფრებელი ფაქტია, როდესაც ამბობენ, რომ საქართველოს სჭირდება ახალი პორტი, ხოლო ადამიანები, რომლებიც აქ ცხოვრობენ და აქვთ პორტის დროულად და წარმატებულად დასრულების სასიცოცხლო ინტერესი, აღიქმებიან როგორც პროგრესის ბარიერი.

სწორედ ამიტომ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ რომ, ხელისუფლების მიერ განცხადებული გეგმა რეალობის მიღმა რჩება, თუ დავაკვირდებით, პორტის დაწყებული, მაგრამ განუსაზღვრელი ვადით მიტოვებული მშენებლობა რა საფრთხეს უქმნის არამარტო ადგილობრივი ტერიტორიის ეკოლოგიურ მდგომარეობას, რომელმაც შეიძლება

რადიკალურად შეცვალოს საქართველოს სანაპიროს მდ.ენგური-რიონის დინამიური სისტემის ჰაბიტატი და მისი ბიოტა. ეკოლოგიაში გაუთვითცნობიერებული პირები ხშირად ჩივიან, რომ ეკოლოგები მეტ ყურადღებას ვაქცევთ ველური გარემოს ბინადართ და ამავე დროს ნაკლებად ვეხებით ადამიანურ გარემოს. როდესაც ვსაუბრობთ გარემოზე ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ეკოსისტემები გვაინტერესებს. ადამიანი, ამ გარემოს რეალურად განუყოფელი ნაწილია და როცა ჩვენ ვსაუბრობთ, რომ საჭიროა ანაკლიის ტერიტორიაზე მშენებარე პორტის უფრო დეტალური განხილვა, მხედველობაში გვაქვს ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხო ცხოვრებისა და ტურისტების კომფორტული დასვენების პირობების უზრუნველყოფა, რაც კანონით არის დაცული. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვიცავთ ჩვენ საარსებო გარემოს, რომელშიც ცხოვრობენ საქართველოს მოქალაქეები და ისვენებენ უცხოელი სტუმრები. ამ თემას კი მთლიანობაში ქვეყნის უსაფრთხოებისა და მისი ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია.

ამდენად როდესაც ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის პროცესის დაჩქარება უნმიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიური განვითარებისათვის და ქვეყანას თავისი სატრანსპორტო არეალის გაფართოება, ევროპა და აზიის სხვადასხვა ქვეყნებთან დაკავშირება მძაფრი კონკურენციის პირობებში უწევს, დამატებითი სატრანსპორტო ლოჯისტიკური ცენტრის მშენებლობა მისასალმებელ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს, არ უნდა დაგვავიწყდეს საერთაშორისოდ აღიარებული ნორმები, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს და მონიტორინგი უნდა უტარდებოდეს ხელისუფლების მხრიდან.

დღეს ჩვენ არ ვიცით რამდენად შეიძლება შეიცვალოს ანაკლიის ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობა და რა ნეგატიურ ზეგავლენას მოახდენს პორტის საქმიანობა და აქ დაგეგმილი სამრეწველო ობიექტების მიერ წარმოებული პროდუქციის ნარჩენები, ახლომდებარე დაცული ტერიტორიების მობინადრეებზე. ადგილობრივი მოსახლეობისა და ქვეყნის საზოგადოებისათვის ასევე უცნობია თუ როგორი ზეგავლენა ექნება პორტის ექსპლუატაციას ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობასა და მის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

დაგეგმილი სამრეწველო ობიექტებისა და სხვა ბიზნეს საქმიანობის სპეციალური წესებისა და ნორმების შემუშავების მიზნით, გარემოსა და საზღვაო ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში დასაქმებულ კანონმდებლებს მოუწევთ არაერთი უძილო ღამის გატარება, ვინაიდან მშენებარე პორტი იკავებს ჭაობის გარკვეულ ტერიტორიას, რომლის უშუალო სიახლოვეს საერთაშორისო მნიშვნელების ჭაობის სავარგულებია მოქცეული, რომლებიც დაცულია რამსარის კონვენციით, ვინაიდან აქ ჩერდება ათასობით გადამფრენი ფრინველი, რომლებიც აპრილ-მაისის თვეებში მიგრირებენ დასავლეთ ევროპიდან დედამიწის ჩრდილოეთ რაიონებში და შემოდგომით იგივე გზით უკან ბრუნდებიან.

ნაკრძალის ასზე მეტი სახეობის ადგილობრივი მობინადრე ცოცხალი ორგანიზმი შეტანილია წითელ წიგნში. რაიონის მდინარეებსა და სანაპირო წყლებში ქვირითობენ ძვირფასი სახეობის თევზები. საქართველოს ხელი აქვს მოწერილი რამსარის კონვენციაზე, რომელიც მოითხოვს ასეთი ტერიტორიების აუცილებელ დაცვას.

უნდა ავღნიშნოთ, რომ გარემოს დაცვის სფეროს არასამთავრობო ორგანიზაციებს ხშირად ადანაშაულებენ, რომ ამ თემასთან დაკავშირებით, გამოთქმული გაფრთხილებებითა, თუ რეკომენდაციებით ქვეყანას ზიანს აყენებენ. რეალურად კი ისენი ანაკლიაში, არა პორტის მშენებლობის, არამედ მისი განხორციელების ვადებისა და ჩასატარებელი სამუშაოების სახეების რიგითობის დარღვევის გამო, მოსახლეობისათვის ფიზიკური და მორალური ზიანის მიყენების წინააღმდეგ გამოდიან.

დაკავშირებით განსაკუთრებით ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ნებისმიერი პროექტი, რომლის უსაფრთხოება არ არის დადასტურებული, ანუ არ არის შეფასებული შესაძლო რისკები, აპრიორში სახიფათოდ ითვლება. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ობიექტის, მათ შორის საპორტო ტერიტორიის განვითარების სქემაც შეიძლება ჩაითვალოს საშიშროების შემცველად არამარტო ანაკლიელებისათვის, არამედ მეზობელი დასახლებებისათვის.

განვიხილოთ, როგორია პორტების გავლენა მიმდებარე ტერიტორიის გარემოზე.

დადებითი მხარეა პორტის, როგორც საწარმოს ეკონომიკური საქმიანობა (გადასახადები) და სამუშაო ადგილების შექმნა.

არაპირდაპირი გავლენაა წინაპირობების შექმნა წარმოების იმპლემენტაციის მიზნით; ასევე მონათესავე სფეროების ფორმირება (დამატებითი ლოგისტიკური მომსახურება).

უარყოფითი მხარეა გარემოზე ზემოქმედება.

•გავლენა სანაპიროს ეკოსისტემაზე, თევზების პოპულაციებზე, ძუძუმწოვრებზე და გადამფრენი ფრინველების ცხოველმყოფელობაზე;

•ფსკერის გადაღრმავების სამუშაოთა გავლენა წყლის დინებებსა და ცირკულაციაზე;

•გავლენა ჩამონადენ და მიწისქვეშა წყლებზე;

•აზოტის შემაკავებელი ჭაობის ფართობების შემცირება;

•ნიადაგის დაბინძურება;

•დაგროვილი დამაბინძურებელი ნალექების გათავისუფლება;

•პორტისა და ტრანსპორტის საქმიანობის ემისიები ატმოსფეროში;

•პორტისა და ტრანსპორტის საქმიანობის ემისიები წყალში;

•საწვავისა და სხვა სითხეების გემებიდან ავარიული დაღვრა;

• ხმაური;

• ვიზუალური „დაბინძურება" (საერთო ხედი, ღამის განათება).

ანაკლიაში, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ჩამოყალიბების შემდეგ გრუნტისა და ჭაობის წყლები დაბინძურდებიან სხვადასხვა მავნე და საზიანო დამაბინძურებელი კომპონენტებით, რაც ჩაედინება ზღვაში და გააღარიბებს ზღვის ფლორისა და ფაუნის ისედაც მწირ მარაგებს.

ხელოვნურად შექმნილი ზვინულის გამო, დაგროვილი ჭაობის წყლები, გაწმენდის გარეშე, ტუმბოს გამოყენებით, ჩაედინება ზღვის წყალში, ნაპირის ხაზზე, რაც მკაცრად იკრძალება ზღვის დაცვის შესახებ კანონით, ანუ სასოფლო-სამეურნეო საქმეში გამოყენებული სასუქების ჩადინება, ზღვის წყლის ეუტროფიკაციას (ყვავილობას) პროვოცირებენ, ანუ „მკვდარი ზონების“ ფართობების გაზრდას იწვევენ და თევზისა და სხვა ცოცხალი ორგანიზმების მასიური კვდომის (დაღუპვის) ძირითადი მიზეზია.

რათა პორტის მშენებლობის ზონაში თავიდან ავიცილოთ საზღვაო სივრცის დეგრადაციის საშიშროება, საჭიროა პრევენციული და არა რეაგირების ღონისძიებების ჩატარებას, რაც მოითხოვს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, გარემოზე ზეგავლენის შეაფასებას საპროექტო სტადიაზე, წარმოების „სუფთა" მეთოდების რეცირკულაციის, კონტროლისა და გადამუშავების ნარჩენების მინიმუმამდე დაყვანის, წყლის გაუმჯობესებული დამუშავების ობიექტების მშენებლობას, მავნე ნივთიერებების, ჰაერზე, ნიადაგსა და წყალზე ზემოქმედების შეფასების ინტეგრირებული მიდგომის პროგრამის გამოყენებას. გარემოსდაცვითი მენეჯმენტი ისეთ ასპექტებს უნდა შეიცავდეს, როგორიცაა ანაკლიის კეთილმოწყობის გაუმჯობესება, მისი რესურსების რაციონალურად გამოყენება და ათვისება, მის სანაპირო ზონაში საზაფხულო ტურიზმის განვითარების მიზნით.

გაეროს კონვენციის შესაბამისი დებულებებით საზღვაო სამართლის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს საზღვაო გარემოს დაცვასა და შენარჩუნებას, ჩვენი სახელმწიფო ვალდებულია, მისი პრიორიტეტების, პოლიტიკისა და რესურსების შესაბამისად, თავიდან აიცილოს და შეამციროს საზღვაო გარემოს დეგრადაცია, რათა შეინარჩუნოს და გააუმჯობესოს მისი სიცოცხლისუნარიანობის პოტენციალი და პროდუქტიულობის შესაძლებლობები.

პორტის მშენებლობის ეკოლოგიური მიდგომების უცხოური გამოცდილების მაგალითები:

- ზემოთქმულის თვალსაჩინო მაგალითს ჰავრის პორტის მშენებლობის პროექტი წარმოადგენს (თითქმის ანაკლიის „პორტის“ ტვირთბრუნვის ტოლი). პროექტის ღირებულება 1 მილიარდ ევროს შეადგენდა. მას «Harpora» ეწოდება. სამი ქალაქი ჰავრი, რუანა და პარიზი გაერთიანებულია ერთი ავანპორტით. გარემოს დაცვაში ინვესტირებულ იქნა დაახლოებით 50 მილიონი ევრო. მშენებლობისთვის მზადების პერიოდი 7 წელს შეადგენდა. აქედან უმეტესი დრო გარემოზე ზეგავლენის შესწავლამ,

- ცოცხალ ორგანიზმებზე დაკვირვებამ და გარემოს შენარჩუნების რეკომენდაციების შემუშავებამ დაიკავა.

კვლევების შედეგად ორი პრობლემა იქნა აღმოჩენილი:

- ნაპირების ეროზია (წარეცხვა), რამაც 5 კმ-ანი სიგრძის მაღალი მოლოს მშენებლობის აუცილებლობა გამოიწვია.

- იმ ფრინველების პოპულაციის შენარჩუნება, რომელიც ბინადრობდა მდ. სენის შესართავის სიახლოვეს. მათთვის, 7 თვის განმავლობაში, სპეციალური, 6 ჰა. ფართობის მქონე ხელოვნური კუნძული შეიქმნა.

- ასეთივე ეკოლოგიურობით გამოირჩევა კალეს ავანპორტი, რომელსაც შეუერთდა ქალაქი ბულონი, მშენებლობისათვის მზადებამ 11 წელს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში გაანალიზებულ იქნა 20 ალტერნატიული ვარიანტი, მხედველობაში მიღებულ იქნა ჩატარებული კვლევების შედეგები. ორჯერ განიხილეს ავანპორტის გავლენა გარემოზე, პირველად დაწყებისთანავე და მეორედ მშენებლობის შუა სტადიაში. რეგიონში გამოიყო 20 ჰა. მწვანე ზოლისთვის, რომელზეც უკვე დარგეს ხეები. ავანპორტი ფუნქციონირებას 2022 წელს დაიწყებს.

პორტის მშენებლობისა და მისი უსაფრთხო ოპერირებისათვის, ეკოლოგიურად გაუაზრებელი ადგილმდებარეობის შერჩევის გამო, ანაკლიის მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის შესაძლო საშიშროების სახეები:

ხმაურის გავლენა ჯანმრთელობაზე. ბოლო წლების განმავლობაში, სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალების მიერ გენერირებული ხმაური, მათ შორის საზღვაო პორტები, გახდა გარემოს დაბინძურების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რაც მსოფლიოში საზოგადოებისა და სამთავრობო უწყებების შეშფოთებას იწვევს. ანაკლიის დაუმთავრებელ და „მიგდებულ“ პორტ-ჰაბს, როგორც საკონტეინერო სექტორს, ზრდის მაღალი პოტენციალი გააჩნია, ამიტომ საკონტეინერო ტერმინალის საქმიანობით გამოწვეული ხმაურის მაღალი დონე ხანგრძლივი დროის განმავლობაში (ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ტექნიკის მუშაობა, სახმელეთო ტრანსპორტის მოძრაობა, გემებისა და მატარებლების გამაფრთხილებელი ბგერითი სიგნალები) უეჭველად უარყოფით გავლენას მოახდენს მის მეზობელ მოსახლეობასა და დამსვენებელ საზოგადოებაზე, პორტის ექსპლოატაციის ნებისმიერ ეტაპზე.

ცნობილია, რომ ხმაური იწვევს ჯანმრთელობის დაზიანებას, შრომითი საქმიანობის შეწყვეტას და ნორმალური ცხოვრების რითმისა და პროცესების დარღვევას. 85dB მეტი ხმაურის ხანგრძლივი ზემოქმედება იწვევს სმენის სრულ დაკარგვას. მეცნიერთა მტკიცებით ხმაურის მაღალი დონე ზრდის სისხლძარღვთა დაავადებათა რისკს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მავნე ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და მისი ავადობის სახეებზე (მაგ. ასაკოვან ადამიანებში იწვევს მძიმე ქრონიკულ დეპრესიასა და შაკიკს).

საკონტეინერო ტერმინალის ოპერაციების ხმაურის დონე დამოკიდებულია ტექნიკის ტიპსა და მიმდინარე სამუშაოს ხასიათზე. ზოგადად, არსებობს ხმაურის გენერირების ორი ძირითადი წყარო:

- ხმაურის კონკრეტული წყაროებია კონტეინერების ამწეების, მატარებლების გემების და საგზაო ტრანსპორტის გამაფრთხილებელი სირენები, გენერატორები და ზარები სატვირთო ტრანსპორტი და ავტომობილებ-მატარებლები დაა.შ. წარმოქმნიან მაღალი სიძლიერის ბგერებს, დაახლოებით 110-115 დბ-ს, რომლის უსაფრთხო სმენა ადამიანს მაქსიმუმ 14 წამის განმავლობაში შეუძლია. ასეთი სიძლიერის ხმაური ზღვის წყლის გარემოში ვრცელდება და ცოცხალი ორგანიზმების (თევზები, ცხოველები) ჩვეულებრივი მდგომარეობისა და ცხოველმყოფელობის დარღვევის ერთ-ერთი მიზეზია.

ადგილობრივ მოსახლეობაზე პორტის ხმაურის რეალური დონის ფაქტობრივი ზემოქმედების პროგნოზირებისათვის აუცილებელი იყო დადგენილიყო დატვირთვას, ან გადმოტვირთვას დაქვემდებარებული ტვირთების რაოდენობა, არიან ისინი პორტში შემომავალი თუ გამავალი, ტვირთების საერთო რაოდენობა, სატვირთო ოპერაციაში ჩართული ტექნიკის რაოდენობა და მატარებლების აქტივობის დრო, ასევე მატარებლით გადასაზიდი კონტეინერების რაოდენობა.

პრობლემის გადაჭრის საერთო წარმოდგენის შესაქმნელად მესაკუთრეებს შეეძლოთ გამოეყენებინათ ანალოგიური ტვირთბრუნვის მქონე უცხოური პორტების მონაცემები და მიესადაგებინათ ისინი ჩვენი პორტისათვის, ადგილობრივი გეოგრაფიული,

ტექნიკურ-ეკონომიკური და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით.

ყველა ზემოთქმული სერიოზულ ეჭვს ბადებს, რომ მშენებარე პორტის სავარაუდო ხმაურის შეფასება, ისევე, როგორც მისი გავლენა პორტის მეზობელ მოსახლეობაზე, კონსორციუმის მოქმედ მენეჯმენტს არ გაუკეთებია. შესაბამისად, საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ამ საკითხის შესახებ ეკოლოგიური უსაფრთხოების დასაბუთება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროექტში წარმოდგენილი არ არის.

საგზაო ქსელზე დატვირთვა (გზის საფარის გაუარესება). რეგიონის საგზაო ქსელზე დატვირთვა შეიძლება მიეკუთვნოს არაპირდაპირ უარყოფით გავლენას. ეს პრობლემა გამოწვეულია პორტიდან გარეთ, ან პირიქით, ტვირთების ავტოტრანსპორტის საშუალებით გადაზიდვის გამო, რომელიც იწვევს გზების საფარის დესტრუქციას.

მტვრის გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე. მტვერი არის სხვადასხვა წყაროებისა და საქმიანობის მიერ გამომუშავებული ჰაერის დამაბინძურებელი. დამაბინძურებელი, ის ნივთიერებაა, რომელიც გარემოში ხვდება და აქვს არასასურველი, ან უარყოფითი გვერდითი მოვლენები. მყარი და თხევადი ნივთიერებების დამაბინძურებელ ნაწილაკებს, განსაკუთრებით უმცირესებს, შეუძლიათ ჰაერში დიდ მანძილებზე გადაადგილება დაბალი სიჩქარისა და სიძლიერის ქარების შემთხვევაშიც კი. მრავალი ნაწილაკი უხილავია. ნიადაგის, ქვიშისა და ქვის ბუნებრივი ეროზია, არის მტვრის ყველაზე გავრცელებული წყარო. მტვრის საკმარისად პატარა ნაწილაკები, იწვევენ თვალების გაღიზიანებას - კონიუქტივიტს, ხველას, ცემინებას, ასთმის შეტევას. მტვრის ძალიან მცირე ნაწილაკები უფრო ღრმად აღწევენ ფილტვებში, ხოლო ულტრადისპერსიული ნაწილაკები პირდაპირ სისხლში ხვდებიან. მტვრის ნაწილაკების ტიპი, ზომები, ქიმიური შემადგენლობა, ჰაერში მათი კონცენტრაცია და ადამიანზე ზეგავლენის ხანგრძლიობა განაპირობებენ მის ტოქსიკურ მოქმედებას იწვევს ცხვირის ნიჟარების გამოკვეთილი ატროფიას, ბრონქიტსა და პნევმოკონიოზს, იწვევს პნევმონიის, ტუბერკულოზის და კიბოს განვითარებას.

მტვერით დაბინძურების შემცირების ერთ-ერთ ღონისძიებას ე. წ. მცენარეული ბუფერის შექმნა (ბუჩქნარისა და ხეების რიგები) წარმოადგენს. ეს ბუფერი მშენებლობის დაწყებამდე უნდა შექმნილიყო ამ ზონაში პორტს, ინდუსტრიული ზონების გზებსა და დასახლებულ ტერიტორიებს შორის. ეს ბუფერები მნიშვნელოვნად შეამცირებდა მტვრის ფართომასშტაბიან გავრცელებას, რის შედეგადაც შემცირდებოდა ანტროპოგენული კატასტროფის რისკი.

ნებისმიერი პორტის მშენებლობა იწვევს ბუნებრივი სანაპირო პროცესების - ნაპირისა და სანაპიროს წყალქვეშა ფერდის ფორმის, ნატანის გადაადგილებისა და დალექვის სიჩქარისა და სიღრმის ცვლილებებს სანაპიროს მიმდებარე უბნებზე.

პორტის საქმიანობის ამ სახის გავლენას პირდაპირი უარყოფითი ეფექტი აქვს გარემოზე და არა მხოლოდ ადგილობრივი მასშტაბით. ამიტომ, პროექტის შემუშავებისას ყველა ეს ცვლილება დეტალურად უნდა იყოს შესწავლილი, გაანალიზებული და გათვალისწინებული. უკანასკნელი კი მოითხოვს გრძელპერიოდიანი სტაციონარული საველე დაკვირვებების ციკლის ჩატარებას და მსხვილმასშტაბიან მოდელირებას.

გარემოზე პორტების ტვირთების გატარებისა და შენახვის პროცესების უარყოფითი გავლენის პრობლემა მსოფლიოში, სამწუხაროდ ჯერჯერობით მოუგვარებელია. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტექნოლოგიური სქემებისა და გამოყენებული ტექნიკის ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებს შემდეგ კი მათ ეკონომიკურ ეფექტურობას. მიუხედავად საერთაშორისო კონვენციებისა და ეროვნული ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებისა გარემოს დაბინძურების შესახებ ძალიან ხშირად ისინი არ სრულდებიან თუმცა ეს პრობლემა რეალურად საკმაოდ მოგვარებადია, საჭიროა მხოლოდ ხელისუფლების ორგანოების რეალური ინტერესი და პოლიტიკური ნება.

პორტის შესაძლო საინჟინრო-ტექნიკური პრობლემები

რაც შეეხება ჟურნალ „ანაკლიაში“ წარმოდგენილ, ზღვაში გატანილ საპორტო ნაგებობის რამდენიმე „ჩანახატს”, უნდა ავღნიშნო, რომ როგორც წესი, ასეთი პორტის აკვატორიაში გავრცელებისას ინფრაგრავიტაციული ტალღები იწვევენ რეზონანსულ ტალღებს, რომელთა პერიოდი ათჯერ და მეტად აღემატება პორტამდე მოსული ტალღების პერიოდს. შედეგად იწვევს გემების დაბალ სიხშირიან ჰორიზონტალურ რყევას,

რაც ბაგირების დაგლეჯვისა და გემების კორპუსების დაზიანების ძირითად მიზეზს წარმოადგენს.

უკანასკნელი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს გემების მომსახურების - დაცლა-დატვირთვის პროცესებზე და რაც ყველაზე მთავარია ტვირთების უსაფრთხოებასა და პორტისშიდა აკვატორიის ეკოლოგიაზე. ამიტომ, ხშირად შტორმული შეტყობინების შემთხვევაში პორტი ვერ უზრუნველყოფს ტვირთების უწყვეტად უსაფრთხო ოპერირებას და გემები გარე რეიდზე, ზღვაში გაჰყავთ, რასაც პორტისათვის მატერიალური ზარალი მოაქვს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ პორტამდე მისული, ერთნაირი პარამეტრების მქონე ტალღები, აკვატორიაში სხვადასხვანაირად მოქმედებენ. ზოგი ძლიერდება ზოგიც უმნიშვნელოდ მცირდება თუმცა საკმარისია პორტის აქვატორიაში გემების რყევების გამოსაწვევად. პორტის მშენებლობის პირველივე ეტაპზე აკვატორიაში შტორმის დროს შექმნილი ჰიდროდინამიკური მახასიათებლების გამო, პირველ ნავმისადგომთან უსაფრთხო მიბმა და მითუმეტეს გემების დაცლა-დატვირთვა მნიშვნელოვან სიძნელეებს შექმნის. ასევე ყურადსაღებია პორტის კომპანოვკის საკითხი, კერძოდ თითქმის 16 მეტრის სიღრმეზე ასაშენებელი ჩრდილოეთ მოლოს მდგრადობის საკითხი, რომელიც მცირედ რეფრაგირებული და პრაქტიკულად არატრანსფორმირებული ტალღების ზემოქმედების ქვეშ მოექცევა.

ნაგებობაზე ტალღების არეკვლის შედეგად მათი სიმაღლე ყველაზე მცირედ ორჯერ გაიზრდება, რაც ფსკერისპირა ეროზიასა და ფხვიერი მყარი მასალის (ქვიშის) გადაადგილებას გამოიწვევს - ჩრდილოეთის რუმბის ტალღების შემთხვევაში კანიონისკენ, სამხრეთ-დასავლეთის შემთხვევაში - მისასვლელი არხის მოლამვას. კანიონის სათავესთან და მის ფერდზე ჭარბი მოცულობის ნატანის დაგროვება და მეწყერის წარმოქმნა, კანიონის წვერის გააქტიურებასა და ხმელეთისაკენ გადაადგილებას გამოიწვევს. სამხრეთის მოლო ასევე გამოიწვევს ფსკერისპირა მასალის წარეცხვის პროვოცირებას.

ჩვენთვის უცნობია ჩატარდა კი ფსკერის ნალექის გეოლოგიური კვლევა- ფრაქციული და გეოქიმიური შემადგენლობა, გეოფიზიკური მახასიათებლების შეფასება და ა.შ. ასევე უცნობია პორტის მოლოს კონსტრუქციული გადაწყვეტა. მოლოები გრავიტაციული, თუ ხიმინჯოვანი იქნება, აიგება კლდის ფლეთილი ქვის ნაყარის სახით, თუ ფიგურული მასივების წყობით.

კონსორციუმის ე. წ. ანაკლია პორტის პროექტისადმი უნდობლობა ძირითადად გამოწეულია ჩატარებული საინჟინრო სამუშაოების შესახებ ინფორმაციის დაფარვით, მისი გაუსაჯაროებით ფართო საზოგადოების წინაშე. ეს ეხება როგორც პორტის ოპერირების არარსებულ კონცეფციას, მისი აგების პროექტს - სამუშაო ნახაზებს, ხარჯთაღრიცხვას, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და ა.შ.

სრულფასოვანი პროექტის შემუშავებისათვის აუცილებელია მონაცემთა ბაზის შექმნა, რისთვისაც საჭიროა ჰიდრო-მეტეოროლოგიური დაკვირვების მიახლოებით 20 წლის მონაცემები, ასევე პორტის აკვატორიაში ჰიდროდინამიკური პროცესების ჰიდრავლიკური მოდელირების შედეგების ანალიზი, მოლოს სხვადასხვა ზომების, კონფიგურაციისა და ამგები ელემენტების, ზღვის დონისა და ტალღური რეჟიმების გათვალისწინებით, რომ არაფერი ვთქვათ ფსკერული ნატანის ნაპირგასწვრივი ნაკადების მიმართულების, მოცულობებისა და მიმდებარე ნაპირების მორფოლოგიურ ცვლილებებზე.

დასკვნითი ნაწილი

1. ანაკლიის პროექტი თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი ქვეყნისთვის XXI საუკუნის პროექტად, თავისი მაშტაბურობით, ინვესტიციებით და პერსპეტივებით;
2. პროექტის რეალიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი კავკასიის და შუა აზიის ქვეყნებისთვის. ანაკლიის სატვირთო-სატრანსპორტო კვანძის მშენებლობით საქართველო განამტკიცებს საზღვაო ქვეყნის სტატუსს და მეზობელი „ჩაკეტილი
3. ქვეყნებისათვის (სომხეთი, შუა აზიის ქვეყნები და ა.შ.) მნიშვნელობან როლს შეასრულებს ევროპისა და მსოფლიო ოკეანისკენ გამავალ გზებზე გასასვლელად;
4. საშუალება მიეცემა ნებისმიერი გაბარიტების და წყალჯდომის გემებს შემოვიდნენ საქართველოს ღრმაწყლოვან პორტში;
5. პროექტის განხორციელებით საქართველო ხდება შავი ზღვის აუზში ყველაზე დიდი საპორტო პოტენციალი მქონე ქვეყანა, შესაბამისად მნიშვნელოვანი შემოსავლებით;

6. დიდი სიმძლავრის სატვირთო აეროპორტის, რკინიგზის და ავტოსტრადების მშენებლობა მნიშვნელოვნად გაზრდის ანაკლიის პორტი ოპერატიულობას და ტვირთნაკადების შეუფერხებელ მოძრაობას;
7. მნიშვნელოვან წილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებაში და შეიძლება მძლავრი ბერკეტი გახდეს ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვის საქმეში.

სახელმწიფოს და მისი როლის განსაზღვრა ეკონომიკურ განვითარებაში

პოლიტიკურ სისტემებში, რომლებიც აგებულია დემოკრატიულ პრინციპებზე, როგორც აღმოჩნდა, ბაზარზე გასვლის მეტი შესაძლებლობები გააჩნიათ ახალ საწარმოებს. აი, ამიტომ, ეფექტურად განვითარებული ქვეყნები, რომლებიც იმყოფებიან ტექნოლოგიურ ზღვარზე, – ეს, უპირველეს ყოვლისად განვითარებული დემოკრატიებია.

საქართველოში შექმნილ სიტუაციაში – უნდა მკვეთრად შეიცვალოს კურსი, გარღვევის სტრატეგიის, ეკონომიკის ინოვაციური განახლების, როგორც მთავარი ორიენტირის მიღებით და ეს უნდა გააკეთოს პირველყოვლისა სახელმწიფომ, თავისი სტრატეგიულ–ინოვაციური ფუნქციის მთელი პასუხისმგებლობით შესრულებით. სახელმწიფო არის განუყოფელი მონაწილე ინოვაციური პროცესისა და ასრულებს ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვან, საპასუხისმგებლო და კვალიფიციურ ფუნქციების, რომლებიც სახელმწიფოს ხელმძღვანელებისაგან, მის ორგანოებისგან და საჯარო მოხელეებისაგან მოითხოვენ მაღალ პროფესიონალიზმს, სტრატეგიულ აზროვნებას და ძალისხმევას.

სახელმწიფო თავისი ხედვის და პასუხისმგებლობის დონით და ჰორიზონტით გაცილებით მაღლა დგას ცალკეული მეწარმის, ან მეწარმეთა ჯგუფის პასუხისმგებლობის დონესა და ჰორიზონტებზე.

ის პასუხს აგებს მომავლი თაობების წინაშე, ქვეყნის მდგომარეობაზე და ბედზე, მისი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის დონეზე, მის ადგილზე გლობალურ ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ სივრცეში, ეროვნულ უსაფრთხოებაზე. სახელმწიფო ვალდებულია იქონიოს მოცულობითი და გრძელვადიანი ხედვა, მიიღოს სტრატეგიული გადაწყვეტილებები მისი შესაძლო შედეგების გათვალისწინებით.

სახელმწიფო ქმნის ინოვაციურ კლიმატს, ინოვაციური საქმიანობის შესრულების ზოგად სამართლებრივი ფარგლებს და ნორმებს, მისი განხორციელების სპეციფიური პირობების და მაღალი რისკის გათვალისწინებით. სახელმწიფო ვალდებულია აიღოს თავის თავზე სტრატეგიის შერჩევა და ეკონომიკის არასაბაზრო სექტორში ინოვაციების განხორციელება როგორც საბაზისო, ასევე გაუმჯობესებაში. საუბარია მეცნიერების, სახელმწიფო მმართველობის, თავდაცვის, მართლწესრიგის, ეკოლოგიური მონიტორინგის, ნებისმიერი მსხვილი პროექტების და ა.შ. ინოვაციურ განახლებაზე. არც მოსახლეობას, არც მეწარმეებს არ შეუძლიათ მთელი მოცულობით აიღონ თავის თავზე ამ სექტორის განახლება. ამასთანავე ამ სფეროში ინოვაციები თამაშობენ მთავარ როლს ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოებაში, ქვეყნის ფუნქციონირების და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

სახელმწიფოს არ შეუძლია განზე გადგეს და უარი თქვას ეკონომიკის საბაზრო სექტორში საბაზისო ინოვაციების ათვისებაზე და გავრცელებაზე. სახელმწიფო ვალდებულია აიღოს თავის თავზე ახალი თაობების ტექნიკის (ტექნოლოგიების) ათვისებაში სასტარტო (შენატანები) ინვესტირება საწარმოებთან პარტნიორობით, მათი წილის ეტაპობრივი ზრდით და განახლებული ინოვაციების ნაკადის წარმოებაში გადაცემით. ეს ასპექტი შეიძლება განხილულ იქნეს ცალკე, ქვეყანაში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით. ასეთი სცენარი სავსებით შესაძლებელია მოკლევადიან გეგმაში, ეკონომიკური განვითარებაში ძალისხმევის მობილიზაციისათვის.

შეხვედრა წარსულთან „ბურჟუაზიის" მოკრძალებული ხიბლი

დიდი ესპანელი რეჟისორის ლუის ბიუნუელის გახმაურებული ფილმი „ბურჟუაზიის მოკრძალებული ხიბლი" სახელდახელოდ წამოტივტივდა ჩემს ცნობიერებაში, როდესაც ა. წ. 14 მაისს თბილისის ტელევიზიით ვიხილე სასტუმრო „მეტეხში" გამართული „სერობის" რეპორტაჟი, ამიტომ ამ წერილსაც ბიუნუელის ფილმის სათაური წავუმძღვარე ნიუანსობრივი ცვლილებით. ვინაიდან საზოგადოების იმ ნაწილს, რომლის ღრეობაც ტელევიზიით გადმოიცა, მხოლოდ ირონიით შეიძლება უწოდო ბურჟუაზია, მიუხედავად განუზომელი სურვილისა – რადგან მათ უფრო „მჭმუნვარე" იერი აქვთ, ვიდრე ჭეშმარიტად დასავლურ ბურჟუაზიას, თუმცა იმდენად სევდიანები არ არიან, რამდენადაც თავდაჯერებულნი და მხიარულებასაც მხოლოდ თავისიანებში ეძლევიან.

მოცალეობის ჟამს ამ გადაცემით მიღებული შთაბეჭდილების დაფიქსირებისას გაჩნდა ერთგვარი ფონი ბიუნუელისეული ბურჟუაზიის სახე-ხატისა, მოგვიანებით ოთარ იოსელიანის „მთვარის ფავორიტებს" რომ დაედო საფუძვლად. სწორედ ამ ბურჟუაზიისკენ სწრაფვა ამოვიცანით „მეტეხში" გამართულ შოუ-ვახშმის ყურებისას. ეს იყო თავდაუზოგავი მონდომება, ლტოლვა, წადილი დასავლურ ბურჟუაზიასთან იდენტიფიკაციისა. მეორე მხრივ, შოუ-ვახშამი გახლდათ უსუსური მცდელობა, რომ იაფფასიანი მასობრივი სანახაობა წარმოეჩინათ როგორც ზნეობრივი ქცევის მწვერვალი, რომლის „გლობალური" მიზანია მთელი კაცობრიობის დამოძღვრა და მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის ქველმოქმედების განუმეორებელი მაგალითის ჩვენება, თანაც მისი უარესი ნაწილისათვის.

„სერობა" ბურჟუაზიის თავშეყრის, ერთად ყოფნის ყველაზე საყვარელი ფორმაა. მათ კლუბებიც იმიტომ შემოიღეს, რომ სოციალური ჩვევები განემტკიცებინათ, თუმცა ჭეშმარიტი ბურჟუები 5-6 კაცზე მეტი ერთად არასოდეს სადილობენ.

ბიუნუელის ფილმის გმირებიც ხშირად იკრიბებიან სუფრასთან და იქ საუბრობენ პოლიტიკაზე, ბიზნესზე, სექსზე. თავდაჭერილად იქცევიან და ხმაურიანი დროსტარების ციებ-ცხელებაც ნაკლებად მოუვლით ხოლმე. მათი ძირითადი საქმიანობა კი ნარკობიზნესია. მათ წვეულებებს ხშირად ამშვენებს სოფლის პასტორი, მოცალეობის ჟამს მებაღედ რომ მუშაობს, ერთხელ აღსარების დროს კაცი რომ შემოაკვდება. პასტორი მათი მუდმივი თანამგზავრი და სულიერი მოძღვარია. ფილმის პერსონაჟების ძირითადი ინტერესი კი ჭამა და სექსია – ასეთია ბიუნუელის ფილმის ირონიულ-პაროდიული პათოსი.

როგორც აღვნიშნე, სწრაფვა დასავლური ბურჟუაზიისაკენ „მეტეხში" გამართულ საღამოზეც იგრძნობოდა. ე. წ. „ნათლიმამამ" - ბადრი ნინუამ „ბანი და კომპანიის" პრეზიდენტმა ჯერ დიდი ფულადი პრემიები დაურიგა ერთად თავმოყრილ საზოგადოებას (ამ პირობებში შეიგრძნობდით მეჯღანუაშვილისეულ დიდ შინაგან ძალას, რაც მას სიმდიდრის მოპოვების საშუალებას აძლევს), შემდეგ შეკრებილებმა ნოყიერად ივახშმეს კლასიკური მუსიკის ფონზე.

ოპერატორი ხშირად აჩვენებდა, როგორ მადიანად ილუკმებოდნენ „ცნობილი პოლიტიკოსები", როგორი მედიდური და თვითკმაყოფილი თავდაჭერილობით წრუპავდნენ შამპანურს. თუმცა, მათდა სამწუხაროდ, ეს არ გახლდათ ნამდვილი ბურჟუაზიის ნატიფი წვეულება, ეს უფრო მეწვრილმანეთა და კომოვოიაჟერთა დროსტარებას ჰგავდა, ყველა პოეტურ მინიშნებასა და გადაკრულ სიტყვას უნდობლად რომ ეკიდებიან, „რომელიც იმგვარ ცხოვრებაზე მიუთითებს, მათ ცხოველურ არსებობაზე რომ ახდენს ზეგავლენას, თითქოს ვიღაცა ჭიპლარს უკეტავდეს და საარსებო წყაროს უხშობდესო (ემერსონი).

ამ ხმაურიან დროსტარებას ეკლესიის მეთაურიც ესწრებოდა. მის სუფრას ორი მანდილოსანი და შამპანურის ბოთლიც ამშვენებდა, თითქოს „ერის სულიერ მოძღვარს" ქვეყანაში დატრიალებული უბედურება, ომი, შიმშილი, სრულიად დავიწყებოდა. ხალისიანი და გაბრწყინებული სახით თვალს ადევ-ნებდა „ერის საუკეთესო ნაწილის" ხმაურიან დროსტარებას. თითქოს ცდილობს, დაანგრიოსო ღვთისმსახურთა საყოველთაოდ მიღებული ჩვეულებანი, ორიგინალობა და მოულოდნელობა გამოიჩინოსო.

შამპანურის წრუპვამ და სასიამოვნო მუსიკამ მართლაც უკლებლივ ყველა კარგ ხასიათზე დააყენა. დამათრობლად მოქმედებდა საღამოს ერთ-ერთი წამყვანის ქეთევან დოლიძის ცელქობა. იგი ხშირად ხვდებოდა კადრში და ოპერატორიც ცდილობდა მთელი სისრულითა და „ესთეტიზმით" ეჩვენებინა. ოპერატორის დაკვირვებულ თვალს არც ქალაქის თავის ნეტარებით აღსავსე სახე გამორჩენია – ლაზათიანი ქეიფი რომ ურჩევნია ომს, ვაჭრობას, სამშენებლო საქმესა და, გნებავთ, მეცნიერებას.

ეკრანზე ნატიფად ჩაცმული „გადამდგარი რაინდიც" გამოჩნდა. გვერდს „ტელოხრანიტელი" უმშვენებდა, რომელიც ფრიად უმწეოდ გამოიყურებოდა. ეტყობოდა კარგად დანაყრებულიყო და აღარ იცოდა, რა ექნა, უხერხულად იშმუშნებოდა „ფიგაროს არიებით" გაბეზრებული. კადრს მიღმა არც ცნობილი ჟურნალისტ-პროკურორები დარჩენილან - „მეფის" ბრძანებაზე წყალში რომ გადაცვივდებიან, განსხვავებული აზრისათვის თვალებს რომ დაგთხრიან. მათ გულით უყვართ მეფე და გულით სძულთ მხევალი...

საგანგებოდ მომზადებულ მრავალფეროვან მუსიკალურ ნომრებს ცვლიდა უხეირო ორატორთა პათეტიკური, ხანაც უკბილო იუმორით ნაზავი ტირადები. ისინი ერთმანეთს სამადლობელ სიტყვებს ეუბნებოდნენ, თუმცა ერთგვარი სიცივითა და უხერხულობით, ემანდ ვინმემ მართლა არ დაიჯეროს მათი გენიალურობაო. გამოდიოდნენ რეჟისორები, პოლიტიკოსები, მსახიობები. პოეტები და თავიანთი ამქვეყნიური არსებობით, იქ ყოფნით მადლობას უხდიდნენ „ნათლიმამას" – აუწონავ სიმდიდრეს. ბრწყინვალე ცერემონიებს, მარადიულ აპეკუნობას რომ ჰპირდება რეჟიმის ტრუბადურებს.

დასასრულ, ისევ ბიუნუელი მახსენდება. ფილმის ერთ-ერთი პერსონაჟი სიზმარს ხედავს, რომ სტუმრადაა მისული ცნობილ გენერალთან. როდესაც მყუდრო ოთახში სტუმრები სუფრას შემოუსხდებიან, ფარდა აიწევა და ისინი სცენაზე აღმოჩნდებიან. ჯერ ისმის მაყურებლის მოკრძალებული ტაში, რომელიც შემდეგ ყვირილსა და სტვენაში გადაიზრდება. მაყურებლი კვერცხებს და პომიდვრებს დაუშენს სცენაზე მსხდომთ – ანუ სიმბოლურად მათ გაშიშვლებულ უზნეობას.

უნდა აღვნიშნო, რომ იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ „ქართული ბურჟუაზიის მედროშენიც", როდესაც მათი უმსგავსო და უზნეო ნადიმი ტელევიზიამ მთელ ქართველ ხალხს აჩვენა – იმ ადამიანებს, რომლებიც ღამეებს ათენებენ პურისა და ტრანსპორტის მოლოდინში, რომლებიც ნახევრად შიმშილობენ, რომლებსაც შვილები დაუხოცეს. ბიუნუელის ფილმი შესანიშნავი კადრით მთავრდება. ფილმის პერსონაჟები, ანუ დასავლური ბურჟუაზია შარაგზას მიუყვება. ეს გზა ფართო და მოსაწყენია.

ასე მივდივართ ჩვენ და ქართველი „ბურჟუაზია" ერთმანეთთან შესახვედრად ორი პარალელური გზით. ჩვენ თანდათან ვუახლოვდებით და ვხედავთ ერთმანეთს, მაგრამ ჩვენ ჩვენს გზაზე ვრჩებით. ეს გზები არასოდეს გადაიკვეთება. ამიტომ ჩვენ ყოველთვის სხვადასხვაგვარად ვიფიქრებთ სამშობლოზე, სიტყვაზე, მუსიკაზე. ყოველ ჩვენგანს დაბადებიდანვე აზის თავისი მოდგმის ბეჭედი. ყოველივე ეს კი იმდენად ნატიფია, რომ მისი გამოხატვა შეიძლება მხოლოდ შთაგონების იმ ბედნიერ წუთებში დაბადებული პოეტური სტრიქონებით, რომლებიც არასოდეს გვეწვევა ასეთ საშინელ სიცივეში.

ქეთევან ქურდოვანიძე

ა რ ქ ი ვ ი



ზვიადი თარგმნიდა გალაკტიონს

„ლიტერატურნაია გრუზიას“ სარედაქციო არქივში აღმოჩენილია გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ზვიად გამსახურდიას მიერ შესრულებული რუსული თარგმანები. ეს არაა ლიტერატურული მისტიფიკაცია. ზვიად გამსახურდია, მიუხედავად მოსკოვის მიმართ რადიკალური გამონათქვამებისა. გახლდათ ჭეშმარიტი მცოდნე და დამფასებელი რუსული ლიტერატურისა და ფილოსოფიისა. ის ამბავი, რომ ქართველი დისიდენტი (ხოლო ეს თარგმანები უსათუოდ მისი დისიდენტობის ჟამსაა შესრულებული) ცდილობდა ქართული პოეზიის ნიმუშებთან ეზიარებინა რუსულენოვანი მკითხველი, ვერ ესადაგება ოპონენტების მცდელობებს – ჯიუტად დაამკვიდრონ მისი, ვითარცა რუსოფობის სახე.

ზვიად გამსახურდიას სახელს უკავშირდება ყველაზე უფრო მღელვარე და ტრაგიკული ფურცლები ჩვენი უახლესი წარსულისა: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და ამავე დამოუკიდებლობისათვის ტრაგიკული მოვლენებიც.

ვინ უწყის, ახსენებდა თუ არა პრეზიდენტობის უკანასკნელ დღეებში მთავრობის სასახლეში ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერვე ნათარგმნი გალაკტიონის სტრიქონები:

ქალაქს დაღუპვა ელის: /ამაოდ გული/აევსება წინათგრძნობებით.

დადგება სიჩუმე: /დაღუპვა ელის: /შავი აჩრდილი...

ალბათ, აღარ ახსენდებოდა. მით უფრო, რომ იდგა არა ავი სიჩუმე, არამედ მაძრწუნებელი. ყოვლისმომცველი გრგვინვა ჯოჯოხეთური იარაღისა. ყოველივე აღსრულდა. თითქოს ბერძნული ტრაგედიისამებრ – როგორც უნდა აღსრულებულიყო კიდეც. გამოხდა ათწლეულნი და განცხადდა საბედისწერო წინასწარგანზრახულობა ქონგურებზე მდგარ ვითომ ლიდერთა და მათკენ სმენამიპყრობლი ეგზალტირებული მასის ყოველი ნაბიჯისა...

ГАЛАКТИОН ТАБИДЗЕ

СТРАХ

В городе – страх.
На улице, скверах,
Подобно афишам Бурже,
Мольера,
Появилась холера.

Кареты белые
Мчатся бесшумно.
Рушатся стены.
Я часто думал
Про дни подобные
Тихо, лукаво.
О трупы. трупы,
Холера, холера.

Подобно коннице
вражеской,
Подобно смерчу самума,
Наводняет нас
Эта чума!

Солнце чернеет,
Ветер холерой
Рышет
Вокруг.
Луна багровая
Бациллами дышит,
Занавеси и окнах
Застыли вдруг.
Артист ступает
По сцене здравый
И падает мигом
Замертво.

В опере вижу:
Оголился череп
У зрителей всех
(Все это мигом).
Брадят скелеты
Холера! Холера!
Город погибнет!
Зловещее чувство
Закралось в сердце.
Царит тишина.

Город погибнет!
Тоскует призрак,
Черный, угрюмый.
Город погибнет!
В ужасе диком
Землю грызет он,
Зовет на помошь,
Кто слышит его,
Никто, о никто,
Он погибает!

Каркает ворон,
Сломалась ваза –
Что значит это?
Дурная примита.

Гроб – впереди.
Город бледнеет...
Город стареет...
Все знают это:
Рано иль поздно
Кождый уверен,
Что растворится...
Чудится ему:
Ветер забвенья –
Конец всему.

У моей швей,
Вполне здоровой,
Власть Городская
Обелила дверь.
А затем ее,
Вполне здоровую,
Послали этой...
Зловешей каретой!

Там моя швея
Тшетно молила
Врачей и прислужных:
"Я не больна!"
Кто их рассудит?
Кот разберается?
Никто, о никто.

Солнце чернеет,
Ветер холерй
Рыщет
Вокруг.
Луна багровая
Бациллами дышит.
Сохнут деревья,
Занавеси в окнах
Застыли,
Застыла луна...
И вот
В один прекрасный
день...
Холера...
Она...

***

Я летея по скалам на
синем коне.
Споткнулся конь.
Я расшибся, безнадежно
ранен,
И... погас огонь.
Гроздьями висят
На поблекшей луне
фонтаны и лилии
В ночной тишине.

Красивым строем
прошли мимо статуи.
Где-то вдали, ветру
подобно,
шептала музыка, тая:
"Кто эта дева,
Кто эта дева,
Столь голубая?"

Миг перед выстрелом,
Клубки дыма густого.
И... черного цветка
Мертвый лепесток.

Люцифер:
"Кто эта дева, кто эта
дева,
Столь голубая? "

***

В лоне, Саваоф,
Спал ты ночами,
В лаврах часовни
Перед свечами,

И лебедь-служанка
у плиты надгробной
Дух испустила
Ниобиде подобно.

И нет любви
Над памятной плитой –
Под камнем сим
Она зарыта.

თარგმანი მოიძია და
მოგვაწოდა ბატონმა
ზაზა აბზიანიძემ

გრ აკლ იანის არტეფაქტი

წინამდებარე სასწაული არტეფაქტები (დაბლა სურათზე) ნაპოვნია გრაკლიანზე ბრწყინვალე არქეოლოგის ვახტანგ ლიჩელის მიერ. პირველ დისკოზე ვხედავთ 34 წერტილს და 4 წრეს, თითოეულში შესაბამისად 4, 5, 6, და 7 წერტილით. მეორე არტეფაქტი კი წარმოადგენს ასომთავრულის ყელისმიერ ხარს 

, რომელიც ხარის (კუროს) თანავარსკვლავედის გრაფიკის იდენტურია(სურათი დაბლა)!!! ის ციდან არის გადმოხატული!!!ეს მთავრემზე პრეცესიის ხარის ეპოქში ყოფნას ნიშნავს რომელიც ძვ.წ. 4520წ-დან - ძვ.წ. 2260 წლამდე გრძელდებოდა. ყელისმიერი ხარი ასომთავრულში 34 -ე ადგილზეა განთავსებული და წერტილებიც 34-ია დისკოზე, როგორც მესხეთში, თორის ხეობის დასახლების, მზეთამზეს ულამაზესი დისკოს 34 ნახევარსფეროები დისკოს გარშემო!!! საქმე იმაშია ჩემო ძვირფასო მკითხველებო, რომ ასომთავრული მარტო ანბანი კი არ არის ის ასტროფიზიკური ცხრილიცაა, და ეს ხდის მას უნიკალურს მთელს პლანეტაზე!!! (რატი სულაძე)

ესეიგი რიცხვი 34 ყელისმიერ ხარზე მიგვანიშნებს, რაც მასთან ერთად ნაპოვნი ყელისმიერი ხარის არტეფაქტით მყარდება!!! ხოლო წრეებში 4, 5, 6, და 7 წერტილები მიგვანიშნებს 

უნ-ზე, 

რადგან მათი ჯამი 22 -ია და უნ-იც 22-ე ადგილზეა ასომთავრულში... მისი რიგითი და რიცხვითი მნიშვნელობები -- 22,4, მიგვანიშნებს მთვარემზე პრეცესიის საიდუმლოს არსებობაზე ასომთავრულში და დედამიწის ღერძის გადახრის კუთხის მინიმუმს გამოხატავს... ეს ნასას თანამედროვე გამოთვლებითაც მტკიცდება... მინიმუმში დედამიწა ახ.წ. 11 800 წელს შევა, როცა დედამიწის ღერძს 67 წელიწადი დასჭირდება ცარგვალზე 1 გრადუსის შემოსაწერად!!!



22.1–24.5° range of Earth's obliquity



რადგან დედამიწის ღერძის მაქსიმუმში ქან-ში ძვ.წ. 8700 წელს ვიყავით, როცა გადახრის კუთხე 24,6 გრადუსი იყო და დედამიწის ღერძს 77 წელიწადი სჭირდებოდა ცარგვალზე 1 გრადუსის შემოსაწერად, მაშინ დაიწყო ამ 41 000 წლიანი ციკლის ერთი ახალი 20500 წლიანი ციკლი, მაქსიმუმიდან მინიმუმამდე ანუ



ქან-იდან 

უნ-ამდე და გრაკლიანის ეს არტეფაქტებიც ამას გადმოგვცემენ, რომ მთვარემზე პრეცესიის ხარის ეპოქაში იმყოფებოდნენ (34 წერტილი ანუ ყელისმიერი ხარი



ასომთავრულში 34 -ე ადგილზეა) და მინიმუმისაკენ,
4 წრეში მოთავსებული 4, 5, 6, და 7 წერტილი ანუ ჯამით 22 , ასომთავრულის 22-ე ასონიშნისაკენ



უნ-ისაკენ მივისწრაფითო!!!

აქედან ჩვენ მთელი სერიოზულობით შეგვიძლია განვაცხადოთ რომ ძვ.წ. 4520 წ-დან - ძვ.წ. 2260 ეპოქაში ქურუმებისათვის უკვე არსებობდა ასომთავრული ანბანი(ასტროფიზიკური ცხრილი), სადაც



ყელისმიერი ხარ-ი 34 ადგილზე იყო და უნ-ი 22 ე ადგილზე!!! ეს პლანეტის მასშტაბის სენსაციაა და ფანტასტიკა არ არის!!! საქმე იმაშია რომ ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის ასომთავრულის პირველი დედანი, რომელსაც აუცილებლად აღმოვაჩენთ, ჩემი მოსაზრებითა და ინტუიციით კავკასიონის (ამარანტის) ხომლის(ხვამლის) კირქვა კლდე-მთაში!!!







მაღლა მე-2-ე სურათზე მოცემულია მზეთამზეს უნიკალური დისკო და აგრეთვე ხარის

თანავარსკვლავედი!!! მთვარემზე პრეცესიის ხარის ეპოქის აღმნიშვნელი ხარ-ის თანავარსკვლავედი და ასომთავრული ანბანის 34 -ე ასონიშანი ყელისმიერი ხარ-ი!!!

წინამდებარე სურათებზე ორიონისა და პლეადების უძრავ თანავარსკვლავედებს შორის



ბრწყინავს ხარის თანავარსკვლავედი. როგორ გავს ჩვენი ასომთავრულის ყელისმიერ ხარ-ს, ხარ-ის თანავარსკვლავედის ერთი ნაწილის, დაბლა ნაწილის იდენტურია და ის ასომთავრულში 34-ე ადგილზე დგას, ხოლო თუ კარგად დააკვირდებით და თვალს მაღლა ავაყოლებთ მის მარჯვენა „რქის “ გაგრძელებას, შეამჩნევთ ასომთავრულის 33-ე ასონიშან

ხან-ს, რომელიც გრაკლიანის წარწერაშია, . ხოლო თუ ხან-ის დაბლა ბოლო წერტილს



შევაერთებთ პლეადებთან მაშინ ფეხიან ხან-ს მივიღებთ!!! ეს ორი ასონიშანი კუროს თანავარსკვლავედიდან არის გადმოხატული და ასომთავრულში გვერდიგვერდზეა მოთავსებული 33-ე და 34-ე ასონიშნად, ისევე როგორც ცაზე კუროს (ხარის) თანავარსკვლავედში ერთიმეორეში არიან ჩაქსოვილები და აი რატომაა სვეტიცხოველის შესასვლელ თაღში, (სადაც ქრისტეს კვართია დამარხული)

ანუ 

ღან-ში, ორი ხარი (რატი სულაძე)!!

როგორც 

ან-ი და

დონ-ი მთვარედან და მზიდან არიან გადმოხატულები!!! (რამაზ პატარიძე)

თან გრაფიკულად და რიგითი-რიცხვითი მნიშვნელობებით გვესაუბრება ასონიშანი, მთვარე დედამიწიდან პირველ ცაზეა მოთავსებული, ხოლო მზე დედამიწიდან მეოთხე ცაზეო.(რამაზ პატარიძე) აი, ამაშია ასომთავრულის მთავარი ხიბლი და „დამარხული“ საიდუმლოება!!! (რატი სულაძე)

ვანის არ ტეფაქტი

არტეფაქტზე სასწაულებრივად მოცემულიამთვარემზე პრეცესიისას დედამიწის ღერძის გადახრის კუთხის ერთ 20 500 წლიან ციკლი რომელსაც აღწერს ვანის ოქროს ეს 3 არტეფაქტი!!! სარკისებურ კან-ში დედამიწის ღერძის გადახრის კუთხე მინიმუმიდან მაქსიმუმისაკენ მიისწრაფოდა. და მაქსიმუმის გავლის შემდეგ ჩვეულებრივი კან-ის კუთხეზე ანუ იგივე კუთხეზე ბრუნდება ...

სარკისებური კან-იდან , მთვარემზე პრეცესიის რკალისა და დედამიწის ღერძის





გადახრის კუთხის მაქსიმუმის, ქან-ის გავლით ჩვეულებრივ კან-ამდე 20500 წელიწადია!!!

ეს ის არტეფაქტია, რომელიც დედამიწის ღერძის გადახრის კუთხის სრული 41 000 წლიანი ციკლის ნახევარს, 20500 წლიან ციკლს აღწერს,მთვარემზე პრეცესიისას. ეს დედამიწის ღერძის გადახრის კუთხეების და მთვარემზე პრეცესიის ეპოქებია ასახული ასომთავრულში, რაც მე ინტუიტიურად ვიწინასწარვმეტყველე!!!

პირველი, სარკისებური კან-ი, ის 180 გრადუსითაა გადაბრუნებული და დედამიწის ღერძის გადახრის კუთხის ციკლის ერთ 20500 წლიან და ამასთანავე სპირალური მთვარემზე პრეცესიის ციკლის ნახევარზე მიგვანიშნებს!!! (რატი სულაძე). ძვ.წ. 19 400 წელს აღნიშნავს და გვაჩვენებს, რომ დედამიწის ღერძი მაშინ მინიმუმიდან მაქსიმუმისაკენ, ანუ სვასტიკისაკენ , ქან-ისაკენ მიისწარაფის და ქან-ში შევიდა პლანეტის ღეძი 8700 წელს ძვ.წ.-ით, ანუ დედამიწის ღერძის გადახრის კუთხისა და მთვარემზე პრეცესიის მაქსიმუმის ეპოქაში შევიდა!!! შემდეგ მოცემულია მაქსიმუმიდან მინიმუმისაკენ დედამიწის ღერძის მისწრაფება და მოცემულია



კან-ი რომელშიც ახ. წ. 1100 (1118) წელს უნდა შევსულიყავით.



თვითონ დედამიწის ღერძის გადახრის კუთხეების საიდუმლოებაც, ხომ უნ-ი



ფარ-ი 

ქან- შია დამარხული, და თვალის ერთი შევლებით, რაღაცნაირად, ქარაგმულად, უფალ ქრისტეს მოგვაგონებს!!!

მაგრამ რადგან მესია -- უფალი ქრისტე, იესუ აწამეს და ჯვარს აცვეს ადამიანებმა, თან დასცინოდნენ, რადგან მათში სატანა იყო შესული, აბა გამოიცანი რომელმა დაგარტყა-ო, აბა ჩამოდი ჯვრიდან და აბა სად არიან მთავარანგელოზნი და მათი დასი-ო და სახარებისეული იგავის მიხედვით, ბოროტი მევენახეებივით არ მიიღეს მესია--უფალი ქრისტე, იესუ, რომელსაც



სწადდა ამ მოდგმის შემზადება ახალი ეპოქისათვის , კან-ისათვის(71 წელიწადი



დედამიწის ღერძის 1 გრადუსი ცარგვალზე) (სინამდვილეში ფარ-ში ჩავრჩით, ანუ 72 წელიწადი 1 გრადუსი ცარგვალზე), და ძნელად წარმოსადგენი არაა, თუ რა დონეზე განვითარდებოდა ცივილიზაცია, ანუ ნახევრადღმერთები გავხდებოდით მესიისათვის რომ დაეჯერებინათ!!!

მამა ღმერთმა, იესუს სიკვდილისწინა თხოვნის მიუხედავად, („მამა ღმერთო შეუნდე ამათ, რამეთუ არას უწყიან რას იქმიანო“), მაინც დასაჯა ადამიანები და დედამიწის ღერძის გადახრის კუთხის ციკლურობა შეაჩერა და დედამიწის ღერძი დაახლოებით ისევ იმ კუთხეზეა გაჩერებული, როგორც იესუს ჯვარცმისას იყო და მხოლოდ მზე და მთვარე იცვლება!!! (იესუს აღსრულების შემდეგ მყისიერად უდიდესი მიწისძვრა ხდება, ისეთი რომ ხმა მცხეთაშიც ისმის და ეს შეჩერება ახ.წ. 360 წლამდე გაგრძელდა (იხ. დედამიწის ღერძის ამჟამინდელი გადახრის კუთხის გრადუსი) და ქრისტიანობა მივიღეთ თხოთის , ძველ ეგვიპტურად თოთის მთაზე ახ.წ. 326 წელს !!!) ანუ მამა ღმერთმა დედამიწა გასაჩერებლად შეამზადა!!! თვითონ იესუ გვეუბნება , რომ წყალით აღარ იქნება ამ მოდგმის დასჯა, რაც ჩემი მოსაზრებით, დედამიწის მყისიერი გაჩერებით იყო გამოწვეული და შთანთქა უდიდესი ცივილიზაცია, რომელთა მიერ შექმნილია ასომთავრული,

არამედ მესიის მოსვლა იქნება ცეცხლითა და მახვილით, რათა საბოლოოდ დაამარცხოს სატანური ძალები დედამიწაზე!!!

მართლაც, დედამიწა რომ ნელ-ნელა გაჩერდეს ერთ მხარეზე იქნება მზე, უდაბნო და ცეცხლი და მეორე მხარეზე წყვდიადი და ყინული!!!

ასე რომ დროა ადამიანებმა მოინანიონ ცოდვები და მზად იყვნენ მესია -- უფალი ქრისტეს, იესუს მეორედ მოსვლისათვის, რათა საბოლოოდ დამარცხდეს სატანური (ღვარძლიანი) ძალები და ათასწლოვანი იდილია დამყარდეს დედამიწაზე!!!

რატი სულაძე

ზაზა კორტანელი
,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - -
-ეროვნული აღორძინების''
საინფორმაციო-ანალიტიკური
ცენტრის ხელმძღვანელი

ნ ო ვ ე ლ ე ბ ი

მ ე კ ვ ლ ე

,,...და ჰრქუა ქრისტემ: ნუ გებრალებათ
ისინი,არამედ გიყუარდეთ!''

-მარიკაააა! მარიკაააა! გამეიხედე, ცა, ერწამა! - გაისმა ჭიშკართან მდგარი ახალგაზრდა ქალის ხავერდოვანი ხმა.

- რომელი ხარ?!-გამოგოგმანდა ეზოში ორმოციოდე წლის ფაშფაშა დედაკაცი.

- დარიკო ვარ, სიმონა დოლიძის ცოლი, რომელი ვიქნები, ეკა ვარ.

- ჩამოი ეზოში მერე, გარედან რომ იძახი უცხოსავით.

- რა ვიცი, ძაღლი არ ჰყავდეს - თქვა,ვიფიქრე.

- პირველად ხომ არ მოდიხარ ჩემსას, არ იცი, ცა, ძაღლი რომ არ მყავს?!

მოი ელანძე, საქმე მაქვს შენთან!

- ჩამოი, გოგო, ეზოში, ქუხნაში ლიანა და ხატია მეხმარებიან საკალანდო საჭმლის გახაზირებაში.

- რადგან მაგენიც შენთან არიან, ჩამოვალ მაშინ, - თქვა და ეზოში ჩავიდა ეკა.

... ოდა-ქუხნაში მეზობელი ქალები ტაბლას შემოსხდომოდნენ და ზედ დაყრილ ნიგოზს არჩევდნენ.

ეკა ქალებს მიესალმა და ნიგვზის სარჩევად ისიც ტაბლას მიუჯდა.

- ოზურგეთში ვიყავი გუშღამ, - დაიწყო ეკამ,

- ,,მაშინა''ვერ დევიჭირე და ავტობუსში ჩავჯექი, ანაზდად გურამია ჩიჩუას ბიჭი, ბესოია, არ ამობლაყუნდა! ... ის მოსასპობი მე მომიჯდა გვერდით, მთელმა გურიამ იცის, აბდალი რომ არის, რომ დოუკვირდები, გიდელს მიუგავს თავი, საწყალი მამამისი და დედამისი მაგისმა სილენჩემ მოინარიკლა.

თვითონ არაფერი გააჩნია დუნიაზე, წავა ხოლმე ოზურგეთში კალანდის დადგომამდე ორი დღით ადრე, დოუვლის ბაზარში ვაჭრებს, ზოგი რას ჩუქნის, ზოგი რას, ჩაყრის ხურჯინში ნამა-თხოვრალ სანოვაგეს, შეარჩევს რამოდენიმე ოჯახს და კალანდა ღამეს მიადგება სათითაოდ ყველას ...

დააფსო ხალხი მაგისმა მეკვლეობამ, ზოგს ძროხა დოუგლიჯა იმ წელიწადს მგელმა,ზოგს ფრინველი გოუწყვიტა ჭირმა და ზოგს ღორები ამოუწყვიტა გრიპმა.

ამ კალანდობაზე ვის მეკვლეობას აპირებდა, რომ ვკითხე, ჩვენ დაგვასახელა მაგ გადასაქარებელმა.

კი იცით,ხუთი წელია, გათხოვილი ვარ, ჩემი ბედოვლათი ქმარი ყოველღამე მოზვერივით მეტაკება ხოლმე ლოგინში, მარა რად გინდა, ბაღანას ვერ აკეთებს, ამფერ დღეში ვარ ქალი და მაგის მეკვლეობა მინდა კიდო მე?!

- რა გვითხარი, ცა, აგი?! - შეიცხადა ხატიამ.

ჩვენ რა გვეშველება, ფრინველ-საქონელი თუ გაგვიწყდა, თვარა შენ რა გიჭირს, ჩემო ეკა ,სოფლის სასაფლაოს გვერდით ავთოია გოგუაძე რომ ცხოვრობს, ის ნაკეთება მშვენიერ ბაღნებს, რუსეთში ორი ბაღანა ჰყოლია განაკეთები, ორივე ბიჭები და ორივე ერთმანეთზე უკეთესები, არც შენ გეტყვის უარს ... - წაიოხუნჯა ლიანამ.

- ხუმრობა იქეთ იყოს და სხვა რა გზაა, წევიდეთ ოთხივე ეკლესიაში და შევთხოვოთ ღმერთს, კარგი ფეხი მისცეს ბესოიას, - მოიფიქრა ხატიამ.

- მხოლოდ უფლის იმედად ვერ ვიქნებით, - ხელები გაასავსავა მარიკამ.

- ძაღლები! - წამოიყვირა უცებ ლიანამ.

- რაის ძაღლები?! - გაიკვირვეს ერთხმად ქალებმა.

- გოდერძიას, დათიკოს და გურის ჰყავთ ქოფაკები, ვეთხოვები ორი დღით, თითო ძაღლს მე და მარიკა წამევიყვანთ, ხატიას და ეკას ერთი ძაღლიც ეყოფათ ზიარად, ერთი ღობე ჰყოფთ, გახსნიან ღობის კარს და ორივეს ეზოში ირბენს ძაღლი, ეკასთან თუ მივა სასურველი მეკვლე, ხატიასთან გადოუშვებს ქოფაკს და ღობის კარს ჩარაზავს, თუ პირიქით მოხდა, ხატია მეიქცევა ასე, ბესოიაც ვეღარ შეძლებს მეკვლედ მოსვლას ქოფაკების შიშით,- გაამხილა თავისი გეგმა ლიანამ.

საღამოს იმედიანად დაემშვიდობნენ ქალები მარიკას და სახლებში წავიდნენ.

წამს წამი მისდევდა, წუთს წუთი, საათს საათი, სწრაფად, შეუმჩნევლად, მალე კალანდა დადგებოდა გურიაში, ოჯახებში სითბო, სიყვარული და ხვალინდელი დღის იმედი დასადგურებულიყო, მხოლოდ სოფლის ფერდობზე მდგარ ყავრით გადახურულ ორთვალიან პატარა ოდაში დაბუდებულიყო მარტოობა, სიცივე და შიმშილი.

ოდის სარკმელიდან ლამპის შუქი გამოკრთოდა.ძველებურ ტახტზე იჯდა ბესო და ხურჯინში ჯანჯუხებს, კანფეტებს ყრიდა. უეცრად თოფების ბათქაბუთქმა და ძაღლების ყეფამ გააყრუა არემარე.

- ე, მევიდა კალანდა! - წამოიძახა ბესომ, ხურჯინი ზურგზე მოიგდო, სახლიდან გამოვიდა და ფერდობს ჩაუყვა.

- ლიანააა! ლიანააა, უუუ! - გაისმა მცირე ხნის შემდეგ ბესოს ძახილი. მის ძახილს ძაღლის ყეფა მოჰყვა და ლიანას ეზოდან ჭიშკარს უშველებელი ნაგაზი მიასკდა. ბესომ უკან დაიხია შეშინებულმა, ქვას ფეხი წამოსდო, წაბორძიკდა და თოვლჭყაპიან მიწაზე ზურგით დაეზღერთა. სწრაფად წამოდგა, ხურჯინი იქვე დააგდო და იქაურობას ჩქარი ნაბიჯებით გაეცალა.

- ჰე! აბდალი კი ვარ, მარა განა ვერ ვხვდები, ეკას ოინები რომაა ეს ყოლიფერი, ხატიას, ეკას, მარიკას, სამივეს ეყოლებათ ძაღლები სახლში, ეკა გააფრთხილებდა მაგენს და მეილაპარაკეს, ქოფაკები ეთხოვებინათ მეზობლებისაგან, მეკვლედ რომ არ მივსულიყავი მათთან, აბა ძაღლები რომ არ ჰყავთ, კი ვიცი მაგი მე. ყველაფერს მე რომ მაბრალებენ სოფელში, რა ჩემი ბრალია, მეზობლებს ძროხებს რომ მგელი უჭამს, ქათმებს რომ ჭირი უწყვეტს, ღორებს ავადმყოფობა რომ უჟუჟავს, მე ხომ არ ვაქეზებ მგელს ჭირს და ავადმყოფობას, მეზობლების საქონელს და ქათმებს დეერიონ გასაწყვეტად, მე ყველასთან კეთილი გულით შევდივარ ოჯახში, - საკუთარ თავთან საუბრობდა ბესო და თვალებზე მომდგარ ცრემლს იწმენდდა.

ის იყო, სახლის კარი უნდა შეეღო ბესოს, რომ ანაზდად ბავშვის მისუსტებული ტირილის ხმა მოესმა, წუმწუმას ღერი აანთო, ძირს დაიხედა: კარების გვერდზე დადებულ მუყაოს ყუთში თეთრ ნაჭრებში გახვეული ჩვილი იწვა.

ბესომ ბავშვი ყუთიდან ამოიყვანა, ოთახში ტახტზე დააწვინა, ეზოდან ფიჩხი ამოიტანა, ღუ-მელში შეუკეთა და ცეცხლი დაანთო, ღუმელი ჯერ გახურდა, მერე გაწითლდა და ოდაში საამო სითბომ დაისადგურა.

- მე ბესოია აბდალი ვარ, შენ ჩემი მეკვლე ხარ, მარა რა გაჭამო ახლა, მითხარი, ჩემი თავიზა ვერ

მიჭმევია, პურს გაჭმევდი, მაგრამ კბილები არ გაქვს, დეიხრჩობი, - ლოყაზე მოუთათუნა ხელი ბესომ ჩვილს, მერე ნაჭრები გახსნა და აღტაცებულმა წამოიძახა:

- ბიჭოს, ვაჟკაცი ყოფილხარ! აგერ კაი მშრომელი ოჯახია, კარგი სახლი უდგათ , მაშინაც'' ჰყავთ, ერთი ეგაა, შვილი არ უჩნდებათ, მაგათ მივცემ შენს თავს, გასწავლიან, კაცად გაქცევენ, აბა ჩემსა-ვით ღარიბი და აბდალი ხომ არ იქნები, ჩემი სიღატაკე და სიაბდლეც მეყოფა, ახლა შენ არ გიყურო მშიერს და აბდალს!

დედისეულ შალის მოსასხამში შეახვია ბესომ ჩვილი, მკერდზე ნაზად მიიკრა, ნელი, მოზომილი ნაბიჯებით ჩაიარა ფერდობი და გზას გაუყვა.

ეკას ჭიშკართან შეჩერდა მეკვლე.

- ეკაააა! ეკაია

ვგონივარ მამაძაღლსა! ათას ორას ლარზე მეტი ღირს ჩემი თაფლა, გაჭირვებას რა ვუთხარი, თორემ ამ ფასად ვინ მისცემს საქონელსა?! რვაასი ლარი ხომ კაცის სულმთლად მასხრად აგდებაა!- ფიქრობდა გიორგი.

პატარა ბოჩოლა იყო თაფლა ,ნათლიმამამ რომ აჩუქა გიორგის. როგორც შვილს, ისე უვლიდა, სადგომს ყოველდღე უსუფთავებდა, ბანდა, შვილებისთვის რომ კანფეტს ან, რაიმე ტკბილეულობას მოიტანდა, ბოჩოლასაც უწილადებდა უცილოდ, ცხოველსაც ისე შეუყვარდა პატრონი, ვენახიდან მოსულს ჭიშკართან შეეგებებოდა და ჯერ ორ ფეხზე კაცივით მდგარი სახეს აულოკავდა გიორგის, მემრე კი დრუნჩს ხელებთან მიუტანდა,ამით ანიშნებდა - ტკბილეულობა მაჭამეო. ტკბილეულობის მოყვარულ პირუტყვს გიორგიმ თაფლა დაარქვა, ის დღე იყო და ის დღე, ყველა ამ სახელით ეფერებოდა ძროხას.

გამთენიის ხანს ჩაეძინა გიორგის, მაგრამ ვაი ასეთ ძილს, თაფლა ესიზმრა: ,,იდგა თაფლა ეზოში და ისეთი სევდითა და ტკივილით სავსე თვალები ჰქონდა, თითქოს გიორგისთვის უნდოდა ეთქვა:

- რატომ გამიმეტე სასიკვდილოდ?! მე ხომ ძლიერ მიყვარხარ, შენთვის არა დამიშავებია რა, სიკვდილის კი არ მეშინია, შენ არ მინდა, დაგკარგო, მინდა ყოველთვის შენს გვერდით ვიყო, შენი ჭირი და ლხინი გავიზიარო, ყელში დანის გამოსმა არ მეტკინება ისე, როგორც შენ მატკინე გული!..

ხედავს გიორგი, აი,მოვიდა შაქრო, თოკი შეაბა თაფლას, გიორგის ფული შეაჩეჩა ხელში და სასაკლაოსკენ წაიყვანა პირუტყვი დასაკლავად, გიორგიმ ფულის დათვლა დააპირა და, ჰოი საოცრებავ!.. ხელები სისხლით ჰქონდა მოსვრილი, ფულიც დასველებულიყო სისხლისაგან, ყვირლით გაეკიდა შაქროს:

- აჰა შენი სისხლიანი ფული, დამიბრუნე ჩემი თაფლა, აღარ ვყიდი, აღარ!..''

- რა იყო, კაცო, რა გული გამიხეთქე! - მუჯლუგუნი წაჰკრა ფერდში გვერდით მწოლიარე ცოლმა ქმარს.

კაცი საწოლიდან წამოხტა, ისე რომ ხმა არ გაუცია ცოლისთვის, პერანგისა და მისი ამხანაგის ამარა ეზოში გავარდა ფარნით ხელში და ბოსელში შევარდა, ელდა ეცა, პირუტყვს ცრემლები მოსდიოდა თვალებიდან, საწყალობლად უყურებდა პატრონს, ვეღარც გიორგიმ შეიკავა თავი, კისერზე მოეხვია თაფლას და ბალღივით ატირდა.

თ ო ვ ლ ი

თმაგაბურძგნულმა კაცმა ნახევრად ღია კარიდან თავი გამოყო, სახეზე გაოცება დაეტყო:

თოვლს დაეფარა ეზოები, სოფლის შარაგზა, მთები, ხეები ... გაოგნებულმა კარი მიხურა და საძინებელში ყვირილით შევარდა:

- ადე, ქალო, ზეზე! საოცრებაა, საოცრება!

- მოხდა რამე, ნოდარა? - იკითხა ქალმა თვალების ფშვნეტით.

- თოვლი მევიდა, თოვლი! - ახარა ნოდარიმ.

- ნეტავი შენ, თოვლი მევიდა, ქვეყანა ხომ არ დაქცეულა! - გაეღიმა ქალს.

- მერე, ცა, ივლისში გინახავს თოვლი?!

ამის თქმა იყო და, ქალი საწოლიდან წამოხტა, ხალათი მოიცვა და სარკმელთან მივარდა.

თვალებს არ უჯერებდა დარეჯანი: ბავშვები თოვლში გუნდაობდნენ, ჯერ ისევ ხვავრიელად ბარდნიდა

ნოდარის ჭიშკრის წინ ხალხი შეკრებილიყო და გაცხარებით რაღაცაზე კამათობდნენ.

- ჩაი, კაცო, ძირს, მეზობლებში გეერიე, გეიგე რას ამბობენ! - მიუბრუნდა ნოდარის ცოლი.

- ჩავალ, აბა, რას ვიზამ!

კაცმა უმალ ჩაიცვა, სახლის კიბეები ჩაირბინა და ბურდღუნით მეზობლებისკენ გაემართა.

-თოვლის მოსვლას გილოცავთ, მეზობლებო! - მიულოცა ნოდარიმ ღრეჭვით.

- ბაღნებს ვერ გაამტყუნებ,თოვლი რომ უხარიათ, მარა შენ რა გიხარია?! ივლისში რომ მოთოვს, კაი კი არაა მაგი, გურიას ვინ ჩივა, მსოფლიო არ მოსწრებია ამფერ ამბავს! - აღშფოთდა სამხედრო ქურთუკიანი კაცი.

- რა იყო, სევერიან, რამ შეგაშინა?! - გაიოცა ნოდარიმ.

- რა იყო და, რაცხა გლობუსის დათბობაო, რომ ამბობენ სწავლულები, მაგის ნიშანია ზაფხულში თოვა, - დაიმოწმა მეცნიერები სევერიანმა.

- მაგი სხვაგან არ თქვა, თვარა თავს მეიჯაყავ, იცოდე! გლობუსის დათბობა კი არა, გლობალური დათბობა ქვია მაგას! - გაიღრიჭა ნოდარი.

- რომ იღრიჭები ყველის ვაჭარივით, შემოდგომაზე ხეები კვირტებს რომ გამოიღებენ,ზამთარში მინდორ-ველი რომ ამწვანდება, გაზაფხულზე ფოთოლცვენა რომ დეიწყება, ზაფხულში ისევ თოვლი რომ მოვა, მერე გამყინვარება რომ მოხდება და ყველანი რომ გავწყდებით, ე,შემდეგ რაფერ გეიცინებ, მაგასაც დევინახავ! - გაჯავრდა სევერიანი.

- ყველა თუ გავწყდით, ჩვენმა მტერმა დეინახოს ისე, ჩვენ რომ რამეს დევინახავთ მაშინ, მხოლოდ ღმერთი თუ შეაჩერებს, რაცხა დათბობაა, ამდენ ლაპარაკს, ერთი კაი სუფრა გავახაზიროთ ჯობია, - თქვა წითურმა გურულმა.

- რაც სევერიანმა ტყეში ნადირ-ფრინველი ხოცა და ხეები მოჭრა, საკვირველია, სულ რომ არ დევიქეცით გურულები ამდენი ხანი, - წაიკვიმატა ვიღაცამ შეკრებილებიდან.

- არ გაგვწირავს უფალი, გვაფრთხილებს მხოლოდ, გონზე რომ მოვიდეთ, აღარ ვჩეხოთ ტყეები, აღარ ვხოცოთ ნადირ-ფრინველი, დავტკბეთ ბუნების სიმშვენიერით, სხვა რა არის ცხოვრება, უფლის შექმნილი სილამაზის მოვლის გარდა! - წაიფილოსოფოსა ნოდარიმ.

ნელ-ნელა გაიკრიფა ხალხი თავშეყრის ადგილიდან, საღამოს კი კრიმანჭული ისმოდა სევერიანის სახლიდან, სოფელში თოვლის მოსვლას ზეიმობდნენ გურულები.

შ ი შ ი

- გოგიიი! ჰაი, გოგიიი! აღარ უნდა მოჭრა ეგ აკაციის ხე? - გადასძახა აივნიდან, ეზოში მოფუსფუსე მეზობელს თანდილამ.

- არა! არა! -გაბრაზებულმა მიუგო გოგიმ.

- როგორ, მაგის ტოტები რომ ჩემს ეზოშია ნახევრადა?

- მემრე მაგაზე კარგი რა არის, სიცხეში თავს შააფარებს კაცი.

- შენა ხუმრობ და აბა ერთი მე მკითხე, რისთვინ უნდა იყოს შენი ხის ტოტები ჩემს ეზოში?!

- რა იყო, კაცო, რა თვალში ამაიღე ეგ ხე, რას გიშავებს?!

-ორ დღესაც დაგაცდი, თუ არადა მე მოვჭრი ჩემი ხელითა, - მიაძახა თანდილამ და გაცოფებული სახლში შეიკეტა.

მშრომელი კაცი იყო გოგი, დღემუდამ ეზოში, ბოსტანსა და ვენახში ტრიალებდა ჯარასავით, ოჯახი ბარაქით ჰქონდა სავსე, არც თანდილა ჩამოუვარდებოდა გარჯაში, მაგრამ გულბოროტი იყო, თუ ვინმე მასზე მეტ მოსავალს მოიწევდა, ბოღმა არ მოასვენებდა - ქელეხში მოიხმაროსო. - იტყოდა ღვარძლიანი ენით.

რთველზე გოგიმ თანდილაზე მეტი ყურძენი დაკრიფა, ღვინოც სანაქებო დააყენა, შურით რომ ვერაფერს გახდა, ხე ამოიჩემა, იცოდა გოგის ხასიათი, ბუნების მოყვარული იყო, ხეებს, ყვავილებს, ვაზს ადამიანივით ესაუბრებოდა,ეფერებოდა.ეცოდებოდა ხე გოგის,მაგრამ მეზობელს ხომ არ მოიმდურებდა, შვილს თხოვა ხე მოეჭრა, - მე ჩემი ხელით ვერ ვიზამ მაგ საქმესო.

დღეს ცულით შეიარაღებული რამაზი ხეს მიადგა მოსაჭრელად.

- ცოტა ხანს დაიცა, შვილო, ერთხელ კიდევ მოვეფერო უკანასკნელად, რა ხანია კაცივით ვესაუბრები, - ნაზად დაუსვა ტანზე ხელი ხეს გოგიმ, ხელის გულზე სისველე იგრძნო, სველი იყო მცენარე, წვიმის წვეთებივით ჩამოსდიოდა სითხე.

- ხე ტირის, შვილო, გრძნობს რომ უნდა მოვჭრათ.

- მე ამის მომჭრელი აღარა ვარ! - მიწაზე დააგდო ცული რამაზიმ.

- თქვენა რას მამაძაღლობთ მანდა?! რა ხანია აივნიდან გიყურებთ და მარტოკა ყბედობთ, რახან არა ჭრით მაგ ხესა, მე მოვჭრი!

სახლის კიბეები ჩამოირბინა თანდილამ, გოგის ეზოში ცოფიანი ძაღლივით შევარდა, პირზე დუჟმორეული ხესთან მიიჭრა, ცულს ხელი დასტაცა და ის იყო, უნდა შემოეკრა ხისთვის, რომ

უცაბედად მაღლა აწეული ხელები ჰაერში გაუშეშდა, დაკოდილი ხარივით დაიზმუვლა და მიწაზე მოწყვეტით დაენარცხა.

ძლივს მოასულიერეს, მთელ კახეთს მოედო ეს საოცარი ამბავი. იმ დღის შემდეგ, თუ სადმე აკაციის ხეს დაინახავდა და გვერდით ჩაუვლიდა, გული აუფორიაქდებოდა, ჩქარი ნაბიჯებით გაეცლებოდა იქაურობას, მას შემდეგ დასჩემდა თანდილას აკაციის ხის შიში.

გოგონა და მხატვარი

ბევრჯერ ატკინეს მხატვარს გული, მაგრამ საყვარელი ქალის ღალატმა სამუდამოდ ჩააქნევინა ცხოვრებაზე ხელი, დროს დარდსა და ფიქრებში ატარებდა იგი.

- ,,მოდი, ულამაზეს გოგონას დავხატავ, მას ხომ ვეღარავინ წამართმევს, ის ხომ უსულო იქნება, უბრალოდ ნახატი, ფიქრადაც ვერ გაივლებს ჩემს ღალატს,” - გაიფიქრა ერთ დღეს მხატვარმა და ხატვას შეუდგა, მაგრამ გოგონა მხატვრის ყოფილ მიჯნურს ემსგავსებოდა ნელნელა, თითქოს თავად კი არ ხატავდა, რაღაც უხილავი ძალა ახატვინებდა მას.

- ,,იმას თაფლისფერი თვალები ჰქონდა, ამას კი ლურჯ თვალებს დავუხატავ,” - მოიფიქრა კაცმა და რაიმეთი განსხვავებული რომ ყოფილიყო ნახატი ძველი მიჯნურისგან, ცისფერი თვალები დაუხატა ქალწულს.

დღეებს ნახატის ცქერაში ლევდა კაცი: იდგა გოგონა სისხლისფერი ყაყაჩოებით გადაპენტილ მინდორში, ქარი უწეწავდა გიშრისფერ თმებს და ისიც ზღვაზე ულურჯესი თვალებით უცქეროდა ტილოდან მხატვარს.

მხატვარი, უყვარდებოდა თავისივე ქმნილება.

- ,,არა! ის ხომ უსულო ნახატია, რა სისულელეა ...” - გაიფიქრებდა ზოგჯერ კაცი, მაგრამ მისი გული უსწრაფესად ეხვეოდა სიყვარულის ცეცხლში.

მიჰქროდნენ წლები, ბერდებოდა მხატვარი, გოგონა კი ისევ ისეთი უმშვენიერესი და ახალგაზრდა იყო, როგორც უწინ.

დაუძლურდა მხატვარი, სასიკვდილო სარეცელზე იწვა უკვე, სევდიანი თვალებით შესცქეროდა ნახატს, უეცრად ნახატი შეირხა, ზღვისფერთვალება ქალწული გადმოვიდა ტილოდან, კაცის სარეცელთან დაიჩოქა, ნაზად ეამბორა ლოყაზე, პირველად შეიგრძნო თავის სიცოცხლეში მხატვარმა ქალის ასეთი უნაზესი ამბორი, ცრემლი ჩაუდგა თვალებში, გოგონამ გაუღიმა მომაკვდავს, თავი მკერდზე დაადო და ულამაზეს, ლურჯთვალა იად იქცა მხატვრის გულზე.

ჩემი რწმენიდან მოვდივარ,
ღვთის შემწეობისა და ადამიანური სიკეთის
ყოვლისშემძლეობის იმედი მაქვს,
მე ჩემი ბრძოლით სრულიად საქართველოს
თავისუფლებისკენ მივდივარ!

ზვიად გამსახურდია

„ვერაფერმა განაქარვოს
ხსოვნა გარდასულისა,
საიქიოც, სააქაოც,
სუნთქვა არის სულისა.“

მერაბი

„აფრაზე გაკრული გველი,
ფერისცვალება ქნარის,
ცის გარდაცვალებას ელი,
ახლოა დარობა დარის!“

ზვიადი

არ ვიცით ამ ეკლესია-გემის მართებულობა, რამდენად თანაფარდობაშია იგი ეკლესიურ კანონებთან და რამდენად კარგი იქნებოდა ასეთი გემი საქართველოსაც ჰყოლოდა საქვეყნოდ მოგზაურობისა და ჩვენი სამშობლოს მსოფლიოსათვის უკეთ გაცნობისათვის?!

თუმცა დარწმუნებულნი ვართ, ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკის ჭეშმარიტი მამულიშვილები, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" წევრები - საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენლები თავიანთ მხარდამჭერებთან ერთად, ჭერჭერობით ვირტუალურად, სწორედ ამ გემს ვგევართ და ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობითა და იდეოლოგიით დამუხტულნი, ასე, ერთად-ერთნი დავცურავთ ამ უკიდეგანო უსამართლო სივრცეში და თავს რომ ვინარჩუნებთ და არ ვჩერდებით ესეც ძალზედ მნიშვნელოვანია მიზნებებისა და ამოცანების აღსრულებამდე!

„ზვიადი და მერაბი,
მერაბი და ზვიადი,
პირნათელი წავიდა
ღმერთთან ორი დიადი.
რა არ ნახეს ამქვეყნად,
რა არ გამოიარეს,
ერთად საქართველოსთვის
ბეწვის ხიდზეც იარეს.
ჩვენც - მიმდევართ მათი გზის
გვსურს ამ ერის დიდება,
ჩვენც მათსავით განვიცდით,
თავგანწირვა გვინდება.
ვწერთ და ვეტრფით მათსავით
საქართველოს ერთიანს!
„ერთადერთი სამშობლო
დღესაც ერთადერთია!"



ISSN 1987-7986 helsinkiunion@gmail.com

სარედაქციო კოლეგია: ნუკრი ბაღდავაძე - კოლეგიის თავმჯდომარე; მალხაზ მუსერიძე - კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე; თამარ გომართელი - მთავარი რედაქტორი; ნოდარ კიკნაძე - მთავარი რედაქტორის მოადგილე; ზაზა კორტანელი - პასუხისმგებელი რედაქტორი; მაია დონაძე - გამომცემელი; რედკოლეგიის წევრები: ნინო რაზმაძე; კლარა ტონია.